ეროვნული ბიბლიოთეკა

32 გვ

კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 37 (282) ◆ 11 – 17 სექტემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995

...აშრიალის კაცობრიობა დიდებაზრკვანსაც კმობრიჭი, ოძსფორდი ან სორბონა აქვთ დამთავრებული

– ათასწლეულის სამიჯნე ჩვენი პრეზიდენტის ხუთწუთიან გამოსვლაში ამხელუტურად არ ჩანდა, რომ სწორედ ის, პრეზიდენტია პასუხისმგებელი თავის სახელმწიფოზე.

– ჩემთვის სრულიად მოულებელია ასლან აბაშიძე და მისი პარტია, მაგრამ პრეზიდენტის მიერ ნათქვამი ის ერთი ფრაზა დისკრედიტაციაა დემოკრატიისა.

– შეურისძიების ქცევა გრძნობები უნდა აძოვიგდოთ თავიდან და ჩვენი მძღოლიერები ჩავაყენოთ სახელმწიფოს სამსახურში.

ბ3.3

სამეცნიერო წრეებში ჯულუარული „მყლავქიდია" მოსალოდნელი

ᲘᲘᲘᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ „ᲨᲣᲐ" (ᲐᲠ ᲛᲔᲫᲔᲒᲜᲐᲚᲝᲗ „ᲨᲣᲐ-ᲨᲘ...)

...ვივი სანაბე არც პოსტის და არც წოდების დაობობას არ აპირებს...

ბ3.5

...პოზიციებს უთუოდ მოსინჯავს უნივერსიტეტის რექტორი...

...როგორ იღებენ სამეცნიერო ხარისხს საქართველოში...

ᲒᲖᲐ ᲝᲠᲘᲐ – ᲞᲐᲢᲠᲚᲐᲕᲔᲜᲢᲘ ᲐᲜ ᲒᲝᲖᲜᲐᲚᲝ...

შესამე და ყველაზე სწორი, არ ფიგურირებს.

– მონაცემები ყველა დეპუტატზე გავქვს... გადამოწმდა დეკლარაციები... ამ კვირაში ვიტყვი, ვის რა შეუთავსებლობა აქვს

ბ3.5

ᲠᲝᲖᲐᲚᲘᲓ ᲒᲝᲚᲘᲪᲘᲜᲘ

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲮ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲨᲘᲨᲚᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ვინ არის ამ საქმეთა ორგანიზებული აქციის ავტორი?

არის თუ არა ეს ცოლვა?

ვინ ვართ ჩვენ და რა გვეხება?

ბ3.6

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ:

დასავლეთის არ სურს თურქეთი შავ ზღვაში უალტერნატივო მბრძანებლად დარჩეს...

არც საფრანგეთს სურს ჩამორჩეს ვინმეს

– ბათუმში ოფიციალური ვიზიტით შემთვალს საეკლესიო ნაწილში SUFFREN-ი.

ბ3.9

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲒᲘ: ᲛᲘᲡᲘᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ...

92-93 წლებში მისი სახელი „ქუხდა". მრისხანე ავგორიტეტის, უცხო ჯიშისა და ბურუსით მოსილი ქალი ... ხმელა ხელისუფლებას „ითაკვებს", მოწინააღმდეგეს აკრძალული ხერხით აშორებს... რუსეთში უამრავ სასხლს ფერის... აპატიმრებენ.

ბ3.7

ქახეთში შიმია – კლავენც შესაძლებელ თელთან მას ხელახლა აღმეგებას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ბ3.31

ᲡᲐᲐᲠᲩᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲪᲔᲢᲘᲜᲒᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲐᲚᲮᲔᲚᲐ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲐ...

ცალხელა ქართველი გოლიათი ფრენდამთავრებულ ორთაბრძოლაში წაგებულად გამოაცხადეს და ოლიმპიადის ოქროს მედალი დააკარგვინეს.

ბ3.14

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ

ბ3.24

ᲑᲝᲒᲔᲮᲘᲫᲘ ᲩᲮᲝᲚᲔᲚᲘ

ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ:

– სიტუაცია რუსეთის სასარეცხლოლ წყლება...

პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მიშპშეწონილად მიაჩნია კასპაის ნაეთობის გრანსპორტირება რუსეთისა და ირანის ტერიტორიის გავლით.

ბ3.12

ᲛᲝᲮᲚ, ᲛᲝᲮᲚ, ᲙᲐᲠᲒ ᲐᲛᲑᲔᲒᲡ

ᲛᲝᲒᲒᲘᲧᲔᲒᲘᲡ...

– პარიზელი გოგონები გიჟდებიან ჩემთვის...

– სხვათა შორის, ცოტა ხნით ადრე დელონი და შერე ლენინიც ვყოფილვარ – ოფიციალურად, პასპორტში... „ლენინობისთვის" ცხნები დალობით დამეკვნენ, თბილისიდან დარეკეს – პოლიტიკურებთან არ ჩასვან, გიჟია და იმათაც გაგიგებსო... გადავრჩი...

ბ3.26

ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ...ᲮᲔᲠᲮᲘᲡᲐᲜ"

ბრძყვილი სახელარავების, საკირკვლების და აუზების პიდრომასაჯიროვაციო სავაჭაობის აღჭილობრივი და უცხოური ბასალების, რესაუსლების შენობრობაზე. გარანტია 10 წელი.

ნუროულის ქ.№55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

ᲡᲐᲒᲕᲘᲠᲐᲝ

ტელე-კინოაფიშა 11 - 17 სექტემბერი

ბ3. 16-17

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ, 2000-2001 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ–ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ბ3.29

ᲯᲣᲛᲐᲚ ᲒᲐᲮᲚᲐᲠᲘᲫᲔ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ" ᲡᲬᲣᲛᲐᲠᲘᲐ

„ცნობილი შეყვინის, ნუცლა ბაკაშვილის შეულეს ორი ჩემოლნით დიდი თანხა მიაქონდა.

„შერეშეგიყვოში" სამი დღე-ღამე თვალი არ შეუხუხუჭავს... როგორც იქნა, გაბნიწდა...

ამდენი ფული თვალით არასოდეს შენახა, თანხას MVP-ის ეკვირნებიც კი გაბაღება... ამდენი სამღიღრე ბაბუთა კაცშორეი დამშაკეთაგან არასოდეს ამოუღიათ.

ბ3.10

ᲗᲕᲘᲗᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ!

Известия
Труда
Совершенно секретно
Аргументы и факты
Иностранец
Figaro magazine
Match
ТВ парк
Лиза
Огонек
daily
Le nouvel Observateur
Итоги
Коммерсантъ
Частная жизнь
Телохранитель
За рубежом
Московские новости
Newsweek
Focus
Общая газета
Der Spiegel
Комсомольская правда
Stern
Сегодня
Собеседник
Неделя

სამუშაოს ინტენსივობა და შეკვარდნილი ეზოსფეროები

გიორგი ათასწლეულის სამრეში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელმძღვანელმა და სამთავრობო დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ირის, იუგოსლავიის პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის, ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფისა და ეკვის დიქტატორ სადამ ჰუსეინის გარდა (სხვათა შორის,, საშიშ რეჟიმთან დაკავშირების მიზნებით). სახელმწიფოების ლიდერებმა მიიღეს დეკლარაცია იმ იმედით, რომ 21-ე საუკუნის მსოფლიო ეზოში მშვიდობიანი და ავკეთილ ეზოში.

დიდი გამოხმაურება გამოიწვია გიორგი III საერთაშორისო თანამშრომლობაში ონის პრეზიდენტის მოპაშედ ხათამის ინიციატივამ — გაიმართოს შრეული მაგიდა ცივილიზაციათა დიალოგის შიზნით! დღეს, როდესაც ყველა დონეზე წინასწარმეტყველებენ ცივილიზაციათა შესაძლო დაპირისპირებასა და თვით ომსაც კი, ირანი გამოდის წინადადებით, შეიქმნას საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიებიდან ახალი სისტემა, რომელიც გამორიცხავს ცივილიზაციათა დაპირისპირებას... ამ იდეას მხარს უჭერს საქართველოც. პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამოთქვა მხადაყოფნა, რომ მრეული მაგიდა თბილისში გაიმართოს. აღნიშნულ პრეზიდენტს შევარდნაძეს სამიზნე გიორგის ორდენით ჯილდოვა. პრეზიდენტი გამოეცხო ნიკო ლეჩხი, უშიშროების საბჭო უნდა გაფართოდეს, რათა ფართო სრულად წარმოდგენის გიორგის წევრი ქვეყნები. ასევე, მისი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების შეზღუდვა, რათა ერთმა სახელმწიფომ იოლად ვერ მოახერხოს გიორგისთვის თავისი ნება-სურვილის თავს მოხვევა. გიორგის რეფორმის აუცილებლობის დამადასტურებელ მაგალითად საქართველო მოიყვანა, რომელსაც, უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მიუხედავად, გიორგ დიდად ვრ დაზარალი...

ეე ეუდაე თავისუფალი ერთები

ამაოდ დაფრა 81 პარლამენტარი და ქვეყნის იმპუხდასენი, რომლებმაც გურამ ბანაძის თავდებით გაშვებისთვის არათუ ოფიციალურად მიმართეს სასამართლოს, არამედ პრიცესსაც ესწრებოდნენ. პროკურორება კიდევ დადანაშაულეს პარლამენტარები სასამართლოსზე ზეწოლაში. მათ ეკ სასამართლოს გადასწყვეტილება „გაუგებარი“ უწოდეს და ნორნამდვრებმა დაბოლოს იქ ეარსება. თუმცა გაუგებარი კი არაფერია, აბსოლუტიც გამაგონებელია საკითხ ერთგვარ სპეკულაციას ქვად ოქცა დანაშაულის ხასიათისუფლების წრეებს, უწინარესად, პარლამენტის ნაწილსა და სამართლდამცავებს შორის. ჯერჯერობით, პარლამენტარები და მათთან ერთად იმპუხდენი მარცხს — მარცხზე განიცდიან აბსანის სამეზში... „არ მჭირება პაპუასების თანხმობა გთავაზებულია“ — ეს ფრაზა ცხადყოფილად ვიგრძნობით თავს, პროკურორებს რომ მხარი დაეჭირათ ჩვენ თავდებში გაშვების საკითხისთვის... მე მუდამ თავისუფალი ვიყავი და თავისუფალი ვარ დღესაც“, — თქვა აბსანძემ.

„ხალხურობისა“, რა ეპოდანაც აქეთ კიდევ?

სტამბოლის ეუთოს სამიტის გადასვეტილებები, ჯერჯერობით, მხოლოდ ნანილობრივ ხორციელდება. მართალია, რუსეთს ვაზიანის სამხედრო ბაზიდან ტექნიკა გაიქვეთ, მაგრამ გაუკეთებლი რჩება ვაზიანის სამხედრო ბაზის ბედი, საიდანაც ან ბუნდოვანი, ან არანაირი ინფორმაცია არ მოდის თავის ნადარეთის ადგილებიდან, ეუდაეის სამხედრო ბაზის გაყვანის არანაირი სამზადისი და შედეგიც არ შეინიშნება!! როგორც ჩანს, რუსეთს ცხადედად აქეთ გადაწყვეტილი, ეუდაეის ბაზა დაუქმედშეიარაღ ენაფრენ, რუსეთი ზუსტად დაიკავს ეერთაშირ ჩეეუღლრეი შეიარაღების შემცირების შესახებ მილეული დოკუმენტით ცალს ჰუქვნის... ეუდაეის ბაზა ვაზიანში ეარსებობს ეუთოს სამიტზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტია, ამას 2001 წლის ილეისში შეეიტყობთ, როცა ამოიწურება ვაზიანის ან ეუდაეის ბაზების გაუქმებისათვის დადგენილი ვადა! თუმცა, რუსი გენერლები ლეარძლიანად აცხადებენ, რომ ისევე, როგორც ბაზაზე იმდენი ტექნიკა მაინც ეუნებათ, რამდენიც სახირი იქნება „სხვადასხვა ამოვანის შესასრულებლად(!)“. „სიინჩტერიან“, რა ამოცანები აქეთ კიდევ??

კომპილაციის ეუნვედა ტიპერატურა

რუსეთ მხარე კვლავ აჭიანურებს სოფელ ფიჭვნიან დაკავშირებით ორი ქვეყნის საეუნლეებიანი კომისიების შეხვედრს. ამის გამო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსულ მხარეს ბოლო პერიოდში რამდენიმე სპარტებერი ნოტა გაუგზავნა, თუმცა მოსკოვი კვლავ ინარჩუნებს ყრუ-ეუნვის პოზიციას. საქართველოს სადემოკრატიო კომისიის თავმჯდომარის ზაზა კანდელაკის განცხადებით, რუსები მოლაპარაკებას იმიტომ აჭიანურებენ, რომ რუსებისაგე მტკიცებით, დღესდე ეეერ დაუნიშნავთ თავიანთი სადემოკრატიული კომისიის თავმჯდომარე(!). სამწუხაროდ, ეს ფაქტობრივად ნიშნავს, რომ ფიჭვნის ხეობაში ომიანობის ალეკვნების არეგულირების მოსაძებნად იმის დასაზუსტებლად, რომ ფიჭვნი რუსეთის ეუთონის. საქართველოს მხარე კი ხელთ აქვს უმყარეი დოკუმენტები, რომლის თანახმად, ფიჭვნის საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიაა...

ჯუმბრანშორების ისსიუნეის წყალი ეეუნდა

საქართველოში დღემდე „წარმპაღნილ“ მოქმედი ეუუნენაციური ისსიტანეის ანსე ბოძას წყალი შეუდგა (თუ შეუეენება?). სახელისუფლები კულუარებში უკვე უსინჯავენ კბილს ამ პოპულის მოხრე-მონიანაღმდეგებს, რათა ამთავითვე განსაზღვრონ ძალთა თანაფარდობა და ამის გათვალისწინებით მიიღონ გადაწყვეტილება... ასე ეაპარაკობენ ეაწყებულები და პარლამენტში, თუმცა საქართველოში გუბერნატორთა პოციის რომ დიდი ეე ეჭირი ალარ უნდათ, ამას თვით პრეზიდენტის უახლოეს გარემეცვაც არ უარყოფს... მეტიც, დასავეული პირფათით სთხოვს, შეეარდნაძეს, პოლოს და პოლოს, შემოიღოს არჩევით სისტემა და მხოლოდ პრეზიდენტს ხელმძღვანელთა არჩევა ხალის მიანდოს... ეს იქნება ხელისუფლებაში გადაწყვეტილი ნაბიჯი და მხოლოდ მაშინ არ აპირებს, სანამ უშუალოდ ეკრძალის მიღების შანსი გაუჩნდება!

ენნეეიდენი ეოიეი

„ეერაო საყორება ხელშეუხებელია“. ეს ცნება (საკოსმიტატეიით და ზნეობრივად) ეეი ხანია მკეიდრება საქართველეში და, როგორც ჩანს, დღეს უკვე ისეი კონეიციას ეეეძინა, რომ საყორების დიმეცვლინ პირადი საკუთრების დასაცავად თვით „ეიშმაის“ ხელახლა ალარ ეერიდებიან.. ამის ნათელ მაგალითად იქცა თბილისის საბჭოო მეურნეობრივ დირექტორის შოთა მეფარიძის საკუთარ კარ-მიდამოში გათამაშებული ტრაგიკომედია, რომელ წყნეთის ტყის მასივის გარეხ-განადგურებით „აღმფოთებულ“ შიშა სააკაშილი ეერანაირებით ამაღლითრ მიადგა მეფარიძეს და სასახლოდ „დაუპატიჟებელმა სტუმრებმა“ ეყარ ლანძღვა-გინებაც, შემდეგ კი „მაკარიის“ ბაძანებეთ მიიღეს. ადმინარეზეეეთი ეეი, მძიმე ნერვულ-ეიშიეური შეტევით საავადმყოფოში მოხვედ მეფარიძე სამოადგილეს და მამეფიდაში გამოსწერას მაჭან არ აპირებს, სანამ უშუალოდ... შეეარდნაძეს არ ნახავს და არ მოახსენებს მომხდარის შესახებ(!)

ეეჯანეეენი ეხაპრავი ჩიეეეის ეპირაეეს

თბილისის სამხატვრო გალერეაში გახსნილი და სანდალურად ორიენტირებული თანამედროვე გერმანულ მხატვრობა გამოეცხა, ხელოვნებათმცოდნეთა თქმით, დიდი ეერაფერი შვილი აღმოჩნდა და ნარმოდგენილი ნამუშევრები ეერაფერ რეალით მამოუხნიათ ეიდევ ეერც ეერ ეერიანი ეერაფერი ნამუშევრები ეერ ე

ამ საუკუნეში გაეროს გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზე ათასწლეულის სამიტად ნოდებული ფორუმი შედგა და კაცობრიობამაც უკეთესი მომავლის იმედით გაუსწორა თვალი 21-ე საუკუნეს! ამ მხრივ ყურების ჩამოყრა არც ქართველებს გვმართებს, მაგრამ იმას ვიტყვით, რომ მსგავსი უპრეცედენტო ფორუმების დეკლარაციებით ვერ მოევლება ჩვენს სატკივარსა და პრობლემებს... სამიტის დღეებში, ვფიქრობ, ერთი ფრიად ნიშანდობლივი ფაქტიც მოხდა: სწორედ იმ დღეს, როცა პრეზიდენტი შევარდნაძე ნიუ-იორკში ჰენრი კისინჯერთან და ჯორჯ სოროსთან შეხვედრისას საქართველოში არსებული კორუფციის აღმოფხვრის საკითხებზე ბჭობდა, ღვაწლმოსილი მეტყევე, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის წმიდათაწმიდა კანონითა და პრინციპით აღჭურვილი, საკუთარ კარ-მიდამოში სროლით „იგერიებდა“ წყნეთის ტყის მასივის გაჩეხა-განადგურების გამო იქ „რევიზიის“ მისიით მისულ მიშა სააკაშვილს და ჟურნალისტთა კორპუსს. (ამასთან, უპრიანი იქნებოდა ბატონ სააკაშვილს საქართველოს სხვა რაიონებიც დაეთვალიერებინა იმავე მისიით)... ასე გაივლო სიმბოლური ხაზი ნიუ-იორკსა და წყნეთს შორის კორუფციის უკვდავი თემის გამო, „მით უმეტეს“, რომ ნიუ-იორკში სოროსი შეჰპირდა პრეზიდენტს კორუფციასთან ბრძოლის პროგრამების დაფინანსებას. აქ კი იარაღმომარჯვებულ მეტყევეს პოლიციელებმა, შემდეგ კი სამართალდამცავებმა ყურებზე ხახვიც რომ ვერ დააჭრეს, მრავლისმთქმელია...

ვესაუბრები პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილს**.

— ეს იმის მაჩვენებელია, რომ პარალიზებულია ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, ყველას ეშინია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. ის პოლიციელები, ვინც პრეზიდენტის კლასელი (როგორც თავად მეფარიძე ამბობს) მეტყევის გამოხდომას დაესწრნენ, აღშფოთებულნი არიან მისი მოქმედებით, მაგრამ ისინი უუნარონი არიან, ეშინიათ, რომ კანონიერი ქმედების გამო არ დაისაჯონ(!). მათ არანაირი გარანტია არა აქვთ საამისოდ... მე არ ვამბობ, რომ აბსოლუტურად ყველა კორუმპირებულია, არამედ ვაცხადებ, რომ ყველა წვრილი თუ მსხვილი ხელისუფალი დაშინებულია. ამ კონკრეტული ფაქტის მიმართაც უუნარონი არიან და ყველა ელოდებოდა, როდის ჩამოვიდოდა პრეზიდენტი. სხვათა შორის, საქართველოში შექმნილი ვითარება ნათლად აისახა ათასწლეულის სამიტზე პრეზიდენტის 5-წუთიან გამოსვლაშიც, სადაც აბსოლუტურად არ ჩანდა, რომ ის, პრეზიდენტია პასუხისმგებელი სახელმწიფოზე. სამაგიეროდ, დააფიქსირა, რომ საქართველოს ბედზე პასუხისმგებელი არიან გაერო, საერთაშორისო ორგანიზაციები, ერთი მუჭა სეპარატისტები; პასუხისმგებელია „ვიღაც“, „გარკვეული“ გარეშე, სხვა ქვეყნის ძალები... დიახ, ყველა პასუხისმგებელია, ჩემ გარდა! ამ 5-წუთიან გამოსვლაში თუკი სადმე იყო დაფიქსირებული სიტყვა „ჩვენ“, ისიც იმ კონტექსტში, რომ „ჩვენ დავაფუძნეთ დემოკრატიული ღირებულებები, ჩვენ გავაკეთეთ ეს, გავაკეთეთ ის“, თითქოს მართლა რაღაცა გაკეთდა. ფაქტია, რომ არ მუშაობს ეს ყველაფერი... მოკლედ, საუბედუროდ, უპასუხისმგებლობის სინდრომი ჩანდა პრეზიდენტის მთელი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე. იმთავითვე აცხადებდა, რომ მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე, აფხაზეთზე, ქვეყნის სტაბილურობაზე და ა.შ. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ აფხაზეთის ტრაგედიაში დამნაშავეა კიტოვანი, ქვეყანაში გამეფებულ ძარცვა-გლეჯაში იოსელიანი, პეტრე, პავლე და ა.შ. შეიძლება მათაც მიუძღვით ბრალი, მაგრამ პრეზიდენტის პასუხისმგებლობა სადღაა?! ამას კი ის მოაქვს, რომ მისი უპასუხისმგებლობა ტირაჟირდება და გადადის პოლიციელზე, მებაჟეზე, ყველა იმ სახელმწიფო მოხელეზე, რომელიც ვალდებულია წარმოაჩინოს სახელმწიფოს სახე, იმიჯი... ამას ჰქვია სრული პარალიზაცია მმართველობითი სტრუქტურებისა...

— შესაბამისად, უპასუხისმგებლობის სინდრომითაა დაავადებული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომლისთვისაც პრეზიდენტის მიერ, ვთქვათ, იმავე ათასწლეულის სამიტზე წარმოთქმულ სიტყვას ისეთივე ფასი აქვს, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მჭევრმეტყველებას...

— საუბედუროდ, პრეზიდენტმა მიაღწია იმას, რომ მოსახლეობა მას უყურებს და აფასებს ზუსტად ისევე, როგორც პრეზიდენტი უყურებს და აფასებს საკუთარ ხალხს! არადა, ძალიან დიდი ხნის მანძილზე ხალხს სწამდა მისი, იმედი ჰქონდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტისა... დღეს კი, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი „ჩრდილავს“ ქვეყანას და როცა ვსაუბრობთ, რომ საქართველო ჩრდილოვანი ეკონომიკის სახელმწიფოაო, ჩემი აზრით, სწორედ პრეზიდენტის „ჩრდილი“ არის ეს. პრეზიდენტის წუხილი, პრობლემებზე საუბარი უკვე აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის. იმავე გაეროს ასამბლეაზე მთელი მისი გამოსვლა აფხაზეთის პრობლემაზე იყო აქცენტირებული, მაგრამ როცა ხმას არ იღებ, რომ ამ ტრაგედიაში ჩვენც მიგვიძღვის თუნდაც მცირე წვლილი და ომის გაჩაღებას ერთ მუჭა სეპარატისტებს აბრალებ და მათ ზურგს უკან მდგარ „ინკოგნიტო“ ქვეყანას, არ დაგიჯერებენ. არადა, ბოლოს და ბოლოს, დაასახელე ეს ქვეყანა, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, რომელიც ბლოკავს და არაფრად აგდებს უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთის საკითხზე მიღებული 23 რეზოლუციის განხორციელებას! კი მაგრამ, როგორ შესრულდებოდა ეს რეზოლუციები, როცა ის სახელმწიფო, რუსეთი, რომელიც ამ პროცესს ხელს უშლის, სწორედ შენ აირჩიე შუამავლად?!

— ამიტომ, გაცილებით მომგებიანი იქნებოდა საქართველოსთვის რუსეთის მიმართ პრინციპული პოლიტიკის გატარების ფონზე ამ საკითხების წამოჭრა და შემდეგ გაეროს და გნებავთ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დადანაშაულება აფხაზეთის კონფლიქტის მოუგვარებლობაში...

— რა თქმა უნდა. მით უმეტეს, რომ სახეზე გვაქვს შესანიშნავი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, არც ერთხელ არ მისცა საშუალება გაეროს, ჩარეულიყო და გაერჩია ჩეჩნეთის საკითხი, მეტიც, განსახილველადაც არ დააყენებინა ჩეჩნეთში შექმნილი მდგომარეობა, იმიტომ, რომ ეს მისი საშინაო საქმეა. სხვა საკითხია, მართალია თუ არა რუსეთი, მაგრამ პრინციპულია! ჩვენ კი, აფხაზეთის საკითხი გამუდმებით გარეთ გაგვაქვს და უნარი არ გვაქვს ჩვენვე, ქვეყნის შიგნით დავიწყოთ ამ პრობლემის მოგვარების თუნდაც მცდელობა... და ამ 5-წუთიან გამოსვლაში, სადაც პრეზიდენტს საქართველოს სახელმწიფოზე უნდა ესაუბრა, ილაპარაკა, ფაქტობრივად, მასსა და სეპარატიზმს შორის ურთიერთობაზე და თქვა კიდეც, საერთაშორისო თანამეგობრობის გასაგონად — თუ არ მომიგვარებ ამ კონფლიქტს, შენი ბრალი იქნებაო... ასეთი პოზიცია კი კვლავ ადასტურებს ქართველების ერთ-ერთი უდიდესი სენის, ინფანტილიზმის კვლავაც მძლავრობას... ან ის „რად ღირდა“, როცა იმავე 5-წუთიან გამოსვლაში ითქვა, რომ კორუფციას და ჩრდილოვან ეკონომიკას მაინც ვერ ვერევით, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისაო(!). არადა, რა წარმატებებზე შეიძლება საუბარი, როცა კორუფციის ჭაობში იხრჩობა მთელი ხელისუფლება?!



მე არ ვამბობ, რომ ყველა კორუმპირებულია, უბრალოდ, წვრილი თუ მსხვილი ხელისუფალი, ყველა დაშინებულია

— ათასწლეულის სამიტზე ნათლად წარმოჩინდა ისიც, თუ რა ყოფაში შეიძლება ჩაიგდოს თავი ქვეყნის ხელმძღვანელმა, მთავრობამ, რომელიც არაფრად აგდებს დემოკრატიულ ფასეულობებს... მხედველობაში მყავს პრეზიდენტი ლუკაშენკო, რომელიც არ დაუშვეს სამიტის შემდეგ გამართულ სახელმწიფოთა ლიდერთა მიღებებზე — კლინტონმა ის საკუთარი ხელით ამოშალა სიიდან და ფაქტობრივად გამოაპანღურა ფორუმიდან...

— საინტერესოა, რომ ლუკაშენკო სიიდან ამოიღეს არა სამიტზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, არამედ უკვე გამოსვლამდე. მან უკიდურესად გააკრიტიკა გაერო და იგი გაუთანაბრა ნატოს, განუწყვეტლივ გმობდა იუგოსლავიის დაბომბვის ფაქტს და ა.შ. სიტყვის დამთავრებისთანავე, წინასწარი სცენარით, ბელორუსიის მთელმა დელეგაციამ დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი და პირდაპირ აეროპორტს მიაშურა...

საბედნიეროდ, ჩვენს პრეზიდენტს საერთაშორისო ავტორიტეტი მაინც აქვს შენარჩუნებული იმ დონეზე, რომ მას სიიდან ამოშლის საფრთხე არ დაემუქრებოდა არავითარ შემთხვევაში, მით უმეტეს, რომ ლუკაშენკოსგან განსხვავებით, შევარდნაძეს შეუძლია დემოკრატიულ ვითარებაშიც ცხოვრება, მას დემოკრატიის ფასადის შექმნა მაინც ძალუძს და შესაბამისად, შევარდნაძე სანდოა დასავლეთისთვის! საინტერესოა ისიც, რომ პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ყურადღება მიაქცია დემოკრატიული ფასეულობების დისკრედიტაციას, რომელიც ხდება საქართველოში სწორედ იმიტომ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს არ უჭერენ(!). ე.ი. გამოდის, რომ ჩვენ დავაფუძნეთ დემოკრატიული ინსტიტუტები, ღირებულებები, მაგრამ ვინაიდან საერთაშორისო მხარდაჭერა არა გვაქვს, ხდება მათი დისკრედიტაცია(!). არადა, ვინ-ვინ და სწორედ მან მიაყენა ყველაზე დიდი დარტყმა დემოკრატიულ ფასეულობებს, როცა თუნდაც შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების წინ პირდაპირ და ცოტა არ იყოს, უტიფრადაც განაცხადა, რომ თუ „აღორძინება“ მოვიდოდა უმრავლესობით, ეს იქნებოდა საპარლამენტო გადატრიალება! ჩემთვის ყოვლად მიუღებელია ასლან აბაშიძე და მისი პარტია, მაგრამ პრეზიდენტის მიერ ნათქვამი ეს ერთი ფრაზაც კი პირდაპირი დარტყმა და დისკრედიტაციაა დემოკრატიისა. ანუ, მან თქვა რომ მთავარი არა არჩევნები და ხალხის ნებაა, არამედ ის, თუ ვინ მოვა ხელისუფლებაში! სამწუხაროდ, ამან არანაირი შეშფოთება არ გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში, არადა პრეზიდენტმა, რომელიც დემოკრატიის უპირველესი გარანტი უნდა იყოს ქვეყანაში, ეჭვი შეიტანა დემოკრატიული ღირებულებების საფუძველთა-საფუძველში, არჩევნებში!

— ათასწლეულის სამიტზე ბევრი ითქვა განვითარებადი ქვეყნებისთვის ვალების შესაძლო ჩამოწერის შესახებ, რაზეც საკმაოდ იმედიანად და ნიშნის მოგებითაც კი გვაუწყა პრეზიდენტმა მთავრობის ერთ-ერთ ამასწინანდელ სხდომაზე: ძალიან მეეჭვება, რომ ყველა ვალს ჩამოგვაწერენ, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ე.ი. გამოდის, რომ პრეზიდენტი ცხოვრებას არ ირთულებს და არ აპირებს შექმნილი კრედიტებისთვის პასუხი აგებინოს ხელქვეითებს...

— ბუნებრივია, ერთი მხრივ მოხარული ვიქნებით ამ ვალების ჩამოწერისა, მაგრამ მეორე მხრივ მსგავსი ომახიანი განცხადება აღმაშფოთებელია, რადგან ეს არის ქურდებისთვის ხელის დაფარება და მეტი არაფერი. ე.ი. რადგან იმედი მაქვს, რომ ვალებს ჩამოგვაწერენ, მიდი და იქურდე, რამდენიც გინდა. მეტიც, მან მწვანე შუქი აუნთო, ინდულგენცია მისცა ამ ხალხს ქურდობისთვის და თან შთამომავლობასაც მოხსნა „მძიმე უღელი“ არგუმენტით — მაინც ჩამოგვაწერენ! მაგრამ ტყუილად ჰგონიათ, რომ ვალები ბოლომდე შერჩებათ. სხვადასხვა მოდელი არსებობს ვალის გადახდისა დ შეიძლება ისეც მოხდეს, დასავლეთმა აიძულოს ჩვენი ხელისუფლება, დასავლეთისთვის კუთვნილი ვალები შინა ვალად გარდაქმნას, ანუ ისეთი მექანიზმები მუშაობს დღევანდელ მსოფლიოში, რომ ხელისუფლება იძულებული იქნება, ამოიღოს ეს თანხები და მოახმაროს ხალხს, ქვეყანას.

— მაგრამ, საამისოდ საჭირო იქნება ქვეყანაში ვითარების ცოტათი მაინც გაჯანსაღება, საზოგადოებრიობის გააქტიურება. თქვენ, ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის აპარატის ხელმძღვანელი ბრძანდებით და როგორ ფიქრობთ, ეყოფა ხელისუფლებას იმის ვაჟკაცობა, პოლიტიკური ნება, რომ ჯგუფის მიერ შემუშავებული ანტიკორუფციული პროგრამა რეალურად განახორციელოს?

— სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ პოტენციურ კორუმპირებულ ჩინოვნიკს, ადამიანს ხელი შეუშალოს ქურდობაში, ანუ უნდა შეიმუშაოს სათანადო საკანონმდებლო მექანიზმი. დღემდე არ არსებობს კანონი ხაზინის შესახებ და ტრაგედიაა, რომ, ფაქტობრივად, ხაზინას პასუხს ვერ სთხოვ, თუ როგორ ხდება ფულის გაცემა, რატომ იგვიანებს ხელფასი, პენსია და ვერც უჩივლებ სასამართლოში, არ არსებობს ამის საკანონმდებლო საფუძველი. საზოგადოების უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს ის, რომ ვაიძულოთ ხელისუფლება წინ აღუდგეს კორუფციის პროცესს. სამწუხაროდ, ბევრ უკანონოდ გამდიდრებულს ვერ დავიჭერთ... დასავლეთის ქვეყნების მაგალითებმა აჩვენა, რომ პირველადი უკანონო კაპიტალის ამოღება შეუძლებელია. როგორც კი იწყება ამ პირველადი კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთოდ იკარგება ეს კაპიტალი, ამიტომ აქ უაღრესად გააზრებული მოქმედებაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, რომ ის დოკუმენტი, რომელსაც ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი დადებს დეკემბერში, რეალურად შეისხამს ხორცს და ამოქმედდება, ამას რამდენიმე თვეში აშკარად სასიკეთოდ იგრძნობს მოსახლეობა. ოღონდ საჭირო იქნება მთელი პროგრამის რეალიზება და არა მისი ცალკეული პუნქტებისა, თორემ მას აზრი არ ექნება.

საქართველოში შემოსული იმ უზარმაზარი თანხების 60% მაინც რომ გადანაწილებულიყო მოსახლეობაზე და ჯანდაბას, 40% ხელისუფლებას შეეჭამა, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს შეხვდებოდა რამდენიმე ათასი დოლარი, მაგრამ სად არის?

— „ალბათ“, საირმის ქუჩაზე, წყნეთში...

— დიახ, ეს საუკეთესო შემთხვევაში, რადგან მაინც ჩვენი ქონებაა, მაგრამ უარეს შემთხვევაში უდიდესი ნაწილი გაზიდულია უცხოეთის ბანკებში. ხოლო ის, რაც აქ რჩება უძრავი ქონების სახით, მისი დაბრუნება რაღაცნაირად მაინც შეიძლება...

— როგორ? „ნაციონალიზაციის“, „ექსპროპრიაციის“, „რევოლუციის“ თუ რა გზით?

— კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მსგავსი მეთოდებისა, მაგრამ თუ ჩვენ შევუერთდებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენციებს, მაშინ ამ კონვენციების თანახმად, ვალდებულნი ვიქნებით მოვახდინოთ უკანონოდ დაგროვილი ქონების კონფისკაცია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კანონმდებლობა კრძალავს ამას. მართალია, დრო ამ უკანონოდ გამდიდრებული კორუმპირებული ჩინოვნიკების სასარგებლოდ მუშაობს და, რაც დრო გავა, მათი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა სულ უფრო და უფრო გაჭირდება. მაგრამ ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია სახელმწიფომ შეიმუშაოს ისეთი მექანიზმი, როდესაც ამ ადამიანებს გახდის სახელმწიფოს მოვალედ. ანუ, სახელმწიფო ეტყვის მათ — მე არ გართმევთ ქონებას, მაგრამ კეთილი ინებეთ და სახელმწიფოს გადაუხადეთ ამდენი და ამდენი თანხა ყოველთვიურად, წლიურად და ა.შ. შურისძიების ქვენა გრძნობები უნდა ამოვიგდოთ თავიდან და ვეცადოთ, რომ ეს ხალხი ჩავაყენოთ სახელმწიფოსთვის სასარგებლო სამსახურში. საერთოდ, ისტორიული ფაქტია, რომ ადამიანი პირველ ფულს იპარავს ხოლმე. ყველა ცნობილ ამერიკელ მილიონერს პირველადი ფული უკანონო ჰქონდა, მაგრამ შემდეგ, როცა გაინაღდეს და დაიცვეს ეს კაპიტალი, გულუხვებიც გახდნენ და უამრავი საქველმოქმედო საქმეც გააკეთეს. მოკლედ, საქართველოშიც თუ დავინახავთ, რომ ადამიანმა უკანონოდ ნაშოვნი ფული დაატრიალა და ამან მოგება მოიტანა, არ უნდა ჩავქოლოთ ეს წყარო, არამედ უნდა დავუწესოთ განსაკუთრებული გადასახადი და გადავახდევინოთ გარკვეული დროის მანძილზე...

— მაგრამ გაცილებით ძნელი იქნება ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის გაჩენილი უფსკრულის ამოვსება, აღარაფერს ვამბობ ხელისუფლებასა და ხალხს შორის ურთიერთობის არარსებობაზე...

— საქართველოს ლათინური ამერიკის ქვეყნებისაგან ის განასხვავებს, რომ ჩვენ მწიგნობარი ხალხი მაინც ვართ და, საბოლოო ჯამში, ჩვენი მოსახლეობა არ აპატიებს ხელისუფლებას იმას, რასაც ბანანის ქვეყნების უწიგნური მოსახლეობა პატიობს თავიანთ მთავრობებს. ჩვენთან ინტელექტი არის, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენი ხელისუფლების ნაწილი უკვე იმით ამაყობს, რომ დასავლეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში აქვს მიღებული განათლება. მინდა შევახსენო მათ, რომ ყველა აფრიკელ კაციჭამია დიქტატორს დამთავრებული ჰქონდა სორბონის, კემბრიჯის, ოქსფორდისა და სხვა უნივერსიტეტები, მაგრამ საქმე ის არის, რომ სანამ ამ უნივერსიტეტებში შევიდოდნენ, ადამიანის ხორცს ჭამდნენ ხელით, განათლების მიღების შემდეგ კი... დანა-ჩანგლით! ანუ, უცხოეთის უნივერსიტეტების დამთავრება არ არის იმის გარანტი, რომ შენ კარგი ხელისუფალი ხარ. დღეს საქართველოში ადამიანებს თანამდებობებზე ანიაურებენ მხოლოდ ერთგულების ნიშნით და არა პროფესიონალიზმისა. მაგალითად, მე არასოდეს ვიქნები შევარდნაძის ერთგული, მაგრამ ყოველთვის ვიქნები საქართველოს სახელმწიფოს ერთგული. აი, ამ ცნობიერების დეფიციტია დღეს...

— საუბედუროდ, ეს დეფიციტი უკვე თავის სავალალო კვალს ამჩნევს ქვეყნის საგარეო პოლიტიკასაც, კორუფცია კი გვაკარგვინებს იმ ჯანსაღ, ცივილიზებულ ორიენტირებსაც, რასაც, თუნდაც 2-3 წლის წინ იმედიანად და თამამად მივუყვებოდით, ანუ ვერა და ვერ მოხერხდა შინაპოლიტიკის საგარეო პოლიტიკის ორიენტირზე მოქცევა.

— ერთადერთი, რაც პრეზიდენტს და ხელისუფლებას შეიძლება მოვუწონოთ, ეს საგარეო პოლიტიკაა და ამის დაუნახაობა დანაშაულია. დიახ, საქართველო, თავისი პროდასავლური კურსით, აშკარად დაუპირისპირდა რუსეთს, მაგრამ არ დაუპირისპირდა შინაპოლიტიკით, ეკონომიკა არ გადაიყვანა დასავლურ რელსებზე, რათა ის ჭიპლარი მოეწყვიტა, რითაც დღემდე მიბმულია რუსეთზე. რუსეთს კი, ამ ეტაპზე უფრო საქართველოს ეკონომიკური დასუსტება აინტერესებს, ვიდრე ის, თუ რა პოლიტიკურ კურსს ადგას შევარდნაძე. ვხედავთ, როგორ ცდილობს რუსეთი დაეპატრონოს საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებს, ენერგეტიკას, რათა ამ ბერკეტებით გვმართოს. მისთვის მთავარია ეკონომიკაში პოლიტიკა, ანუ ეკონომიკა როგორც ბერკეტი ზეწოლისა და არა ბერკეტი თანამშრომლობისა. რუსეთს ძალიანაც აძლევს ხელს, თუ აქ კორუფცია არ აღმოიფხვრება და ხელსაც უწყობს ალბათ კორუფციის პროცესს. ამიტომაა, რომ ჩვენი შინაპოლიტიკა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. რუსეთი არის დიდი გაფუჭებული მანქანა, საქართველო კი პატარა გაფუჭებული მანქანა. სანამ ის არ ჩაირთვება, ჩვენ ვერ ჩაგვიბამს და ამიტომ უფრო ადვილად შეგვიძლია გამოვასწორდეთ, დავასწროთ რუსეთს ეკონომიკური წინსვლა, რათა შემდეგ რუსეთმა არ დაგვითრიოს. აი, ამას არ ვაკეთებთ. შევარდნაძის გარემოცვა სწორედ რუსეთზეა მიბმული. იგივე რუსეთის ბაზები ჩვენი ვაჟკაცობით კი არ გადიან, არამედ ამერიკის ძალისხმევით. ვაშინგტონში დაიწერება საქართველოს პოლიტიკა თუ მოსკოვში, ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს. საქართველოს პოლიტიკა თბილისში უნდა იწერებოდეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და სადაც საჭიროა, ვაშინგტონს უნდა შევეკრათ და სადაც დაგვჭირდება, მოსკოვსაც. ორივე ჩემს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა მე უნდა ვემსახურებოდე მაგათ ინტერესებს. დღეს კი, საქართველოს პოლიტიკა ჰგავს მეძავის ქმედებას — გადამიხადე და შენი ვარ!

— 12 სექტემბერს იწყება პარლამენტის საშემოდგომო სესია და იწყება ფრიად საინტერესო პროცესების ფონზე. ფაქტობრივად, აღარ არსებობს არც უმრავლესობა, არც უმცირესობა, აგერ შეიქმნა „ახალი მოძრაობა“, რომლის ლიდერები პარლამენტში აპირებენ ცალკე ფრაქციის შექმნას და საინტერესო ის არის, რომ ყველა ეს ძალა, პრეზიდენტის ე.წ. დაბალანსების პოლიტიკის შედეგად, კვლავაც ერთგული რჩება მისი... სხვათა შორის, მიშა სააკაშვილმა „ახალ მოძრაობას“ მილიონერთა გაერთიანება უწოდა ირონიით. თქვენი კომენტარი:

— დიახ, პრეზიდენტს ძალიანაც აძლევს ხელს, რომ პარლამენტში არც ერთი ძალა თუ ჯგუფი არ არის უმრავლესობაში... ეს პარლამენტი აშკარად უუნაროა წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით. ამასთან, თუ წინა პარლამენტში ზურაბ ჟვანიას შეეძლო ეთქვა „მოქალაქეთა კავშირის“ ნებისმიერი წევრისთვის — მე რომ არა, შენ არ იქნებოდი პარლამენტში — დღეს, პრაქტიკულად, მოქკავშირის ნებისმიერ წევრს თუ არა, მნიშვნელოვან ნაწილს შეუძლია იგივე უთხრას ჟვანიას — მე რომ არა, შენ არ იქნებოდი პარლამენტში! ე.ი. სუბიექტი — ობიექტად შეიცვალა... არავინ იცის, რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, ამიტომ, სჯობს, არ მიიღონ სერიოზული გადაწყვეტილებები... რაც შეეხება დავით გამყრელიძის, ლევან გაჩეჩილაძისა და სხვათა მიერ შექმნილ „ახალ მოძრაობას“, ჯერ ის ვთქვათ, რომ ეს ბირთვი მოქკავშირის რეფორმატორებმა შეაკონინეს, რომელიც შემდეგ ასე ეფექტურად გამოეყო მათ... სწორედ ეს ხალხი ეუბნება დღეს რეფორმატორებს — ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, თქვენ ვერ მოხვიდოდით პარლამენტში! არადა, როცა შარშან წინასაარჩევნო კამპანიისას ედპ-ის სარეკლამო კლიპებში ლევან გაჩეჩილაძის ძმა „უცნობი“ მონაწილეობდა განუწყვეტლივ, მოთმინებადაკარგულმა სააკაშვილმა ისიც კი თქვა — რა გახდა ეს „უცნობი“, როდესაც მისი ძმა ჩვენი მხარდამჭერიაო, ანუ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლევან გაჩეჩილაძე მოქკავშირის კაციაო... დღეს კი, რეფორმატორები აშკარა უმცირესობაში არიან და საკმარისია შევარდნაძეს თუნდაც წამოსცდეს, მე აღარა ვარ მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეო, ჟვანია-სააკაშვილს 15 კაცი თუღა შემორჩება გვერდით. სამწუხაროდ, მათ ვერ გამოიყენეს ის დრო, რაც ჰქონდათ და მთელი ეს დრო დაკარგეს პრეზიდენტთან გაუთავებელ ვაჭრობაში, თუ რომელი მინისტრი მოეხსნათ და რომელი დაენიშნათ, შესაბამისად ატარებდნენ პრეზიდენტის პოლიტიკას, რასაც დღეს უკვე ძალიან უჭკუოდ და უნიჭოდ აკრიტიკებენ...

ზურაბ მჭედლიშვილი

11 სექტემბერი — თავისკვეთა წმინდა იოანე ნათლისმცემლისა

ფსალმუნში ვკითხულობთ: „მართალი; ვითარცა ფინიკი, აყვავდეს და ვითარცა ნაძვი ლიბანისაი, განმრავლდეს“.

წმინდა იოანე ნათლისმცემელი სწორედ ისეთი სიმართლის გზის მქადაგებელი იყო, რომელზეც თავად უფალმა იესო ქრისტემ ბრძანა, რომ მისი მსგავსი არ დაბადებულა დედამიწის ზურგზე. ზოგიერთ ხატზე წმინდა იოანე ნათლისმცემელს ფრთებით შეხვდებით, როგორც მიწიერ ანგელოზს.

იოანე ნათლისმცემელს სდევნიდა გალილეის მმართველი ჰეროდე ანტიპა, მისი მოკვლაც სურდა, რადგან წმინდანი ჩადენილი ცოდვისთვის ამხილებდა: მეფემ მიატოვა კანონიერი მეუღლე (არაბეთის მეფის ასული) და თავის ძმას სიცოცხლეშივე წაართვა ცოლი, ჰეროდიადა. ჰეროდემ წმინდანი დილეგში ჩასვა.

ერთხელ, ჰეროდემ დაბადების დღე დიდი ზეიმით გადაიხადა, მრავალი დიდებული დაპატიჟა. ებრაელებს ასეთი თარიღის აღნიშვნა წესად არ ჰქონდათ, მაგრამ ჰეროდე ანტიპა ყველაფერში სხვა ქვეყნის მპყრობელებს ბაძავდა.

სუფრაზე ღვინო მდინარესავით იღვრებოდა.

ლხინი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სალომე, ჰეროდიადას ასული გამოჩნდა. სალომემ მუსიკის ხმაზე ცეკვა დაიწყო. მოხიბლულმა ჰეროდემ ძმისწულს შეჰფიცა, რასაც სთხოვდა, ყველაფერს მისცემდა, თუნდაც ნახევარ სამეფოს. სალომემ დედას ჰკითხა, რა ვთხოვოო. ჰეროდიადას გული სიხარულით აუძგერდა, რადგანაც ნანატრი ჟამი დაუდგა, მან სინი გადასცა შვილს და უთხრა, ახლავე იოანე ნათლისმცემლის თავი მოეთხოვა.

მახარებლები გადმოგვცემენ, რომ ჰეროდეს სახეზე წუხილი აღებეჭდა. გულწრფელი იყო კი ეს წუხილი? ანტიპამ უამრავი მოწმის წინაშე ფიცის გატეხას უკანონო მკვლელობა არჩია და წმ. იოანეს თავის მოკვეთა ბრძანა.. სალომემ მოკვეთილი თავი ძვირფას ძღვნად მიართვა დედას. ქალმა კი ენა, რომლითაც წმინდანი მას უსულგულობაში ამხილდა, ნემსით დაჩხვლიტა. შემდეგ უწმინდურ ადგილას დაფლა. მხოლოდ მისმა მსახურმა დაასაფლავა სუფთა ადგილზე. სხეული კი, როგორც დასჯილის გვამი, ციხის კედლებიდან გადააგდეს უდაბნოში.

მოწაფეებმა პატივით დაკრძალეს იგი სამარიაში, ელისე და აბდია წინასწარმეტყველების გვერდით.

ჰეროდეს და მის ოჯახს, წინასწარმეტყველის დასჯის გამო ღვთის რისხვა დაატყდათ თავს. გადმოცემა ამბობს, რომ ჰეროდე სიმშვიდეს ვერსად პოულობდა. ნადიმებზე, ტკბილეულით სავსე ლანგარზე და ღვინის სასმისში ყველგან ელანდებოდა იოანეს მოკვეთილი თავი. სალომეს კი ზამთარში ფეხქვეშ ყინული ჩაუტყდა და თავი ყინულმა მოკვეთა. მისი სხეული დაიკარგა. ხოლო თავი სინით მიუტანეს დედას, როგორც ოდესღაც წმ. იოანე ნათლისმცემლისა. იმპერატორმა კალიგულამ ჰეროდე ესპანეთში გადაასახლა, სადაც მას და ჰეროდიადას მოულოდნელად მიწა გაეხსნათ და ორივე ცოცხლად ჩაიტანა.

მართალია, წმ. იოანე ნათლისმცემლის ხრწნადი სხეული შეურაცხყოფილ იქნა მიწაზე, მაგრამ მისი სული შემდეგში ზეციურ გვირგვინთა ღირსი შეიქნა, როგორც ქალწული, მეუდაბნოე, სინანულის მქადაგებელი, წინასწარმეტყველი, ნათლისმცემელი და ბოლოს, როგორც მოწამე.

ცნობილია, რომ წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა მოხდა საქართველოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფელ კამანში (იხ. „კვირის პალიტრა“ №27), ამჟამად კი ინახება დამასკოში, მეჩეთში, რადგან მუსლიმანთაც სწამთ იგი, როგორც დიდი წინასწარმეტყველი.

ანა ჩხეიძე

მშვიდობით, ცეკვის დედოფალო...

სრულიად საქართველომ დაიტირა და უკანასკნელ გზაზე გააცილა ქალბატონი ნინო რამიშვილი, რომელმაც დიდუბის პანთეონში მეუღლისა და კოლეგის, ილიკო სუხიშვილის გვერდით ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

მათ მიერ შექმნილი ქართული ხალხური ცეკვების ლეგენდარული ანსამბლი დახშულ საბჭოურ პერიოდში, ფაქტობრივად, ერთადერთი კოლექტივი იყო, რომელიც პერიოდულად შეახსენებდა საერთაშორისო საზოგადოებრიობას საქართველოსა და ქართველი ერის, მისი კულტურისა და ხელოვნების არსებობის შესახებ და ამას აკეთებდა ფანტასტიკური ტრიუმფით მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე!

მაგალითისთვის ერთი ფაქტიც კმარა: დღემდე მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის და ერის ხალხური შემოქმედების ანსამბლს არ ღირსებია სახელგანთქმულ მილანის ლა სკალას ოპერის თეატრში გამოსვლა. ეს პატივი 60-იან წლებში ხვდა წილად სწორედ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ანსამბლს, რომელმაც ლა სკალას ოპერის თეატრში ლეგენდარული ენრიკო კარუზოს რეკორდი მოხსნა. კარუზოს ერთ-ერთი საოპერო სპექტაკლის დამთავრებისას მაყურებელმა 11-ჯერ „გამოიძახა“ სცენაზე დიდი მომღერალი და შესაბამისად 11-ჯერ აიხადა ფარდა. ჩვენი ანსამბლის კონცერტის დამთავრების შემდეგ კი 14-ჯერ აიხადა ფარდა და, შესაბამისად, დასი 14-ჯერ იქნა „გამოძახებული“ სცენაზე აღფრთოვანებული მაყურებლის მიერ სათანადო ოვაციით!

მშვიდობით, მშვენიერო ქალბატონო ნინო, მადლობას გიძღვნით იმ დიდი სიხარულისთვის, ასე უშურველად რომ გვანიჭებდით თქვენი შემოქმედებით, დიდბუნებოვნობით, სინატიფით...

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობელი მიწა...

ბალახგადავლილი საფლავები

ერთ რჩეულ საზოგადოებაში ერთი კეკლუცი და, როგორც ჩანს, კუდაბზიკა ქალბატონი საკმაოდ პრეტენზიულად ეცნობოდა სტუმრებს: „ჩტცნჰფ გჰჯატცცჯჰფ ფვბიდბკბ“. უფალმა უწყის, სად და რა მიზნით აკეთებდა მახვილს. ამ, თავის მიერვე შეთხზული ტიტულით გასცნობია იგი გალაკტიონს, რომელსაც საკმაო სარკაზმით უპასუხია: ჩჯცტლ უტყტჰფკფ ტცტკბლპტ

დიახ! ვინ ჭკუათმყოფელს მოუვა აზრად ამგვარი დაკონკრეტება: „პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“ ან „მწერალი ილია ჭავჭავაძე“? ეგ კი არა, ამ დიდ სახელებთან გვარის წარმოთქმაც კი უხერხულია. ვამბობთ: შოთა, საბა, ვაჟა...

და განა ისინი ვინმეს ვინმეში ეშლება?

და განა, ვიდრე ქართველი ერი იარსებებს, ამის საშიშროება შეიქმნება?!

ნუ შევაწუხებთ ტიტანთა სულებს — ჩავინაცვლოთ დიდუბის პანთეონში!

თუ მთაწმინდას საგანგებოდ უნდა ესტუმრო, დიდუბის ეკლესიაში სანთლის დასანთებად შესულს რა გული გაგიძლებს, ქართველთა სათაყვანებელ საფლავებთან წუთით მაინც არ ჩაიმუხლო, მოკრძალებით არ დახარო თავი მათი ღვაწლისა და ნათელი ხსოვნის წინაშე და... იგივე პრობლემა — „აკადემიკოსი ესა და ეს“, „მხატვარი ისა და ის“... და ა.შ.

კაცს რომ ერი პანთეონში მიუჩენს ადგილს, მას ამგვარი დაკონკრეტებით ხიბლს ვუკარგავთ, ვამცრობთ... კაცი არ მეგულება საქართველოში, გიორგი ცაბაძის სიმღერა არ წაეღიღინოს და მის სამარეს ან „კომპოზიტორმა“ რა უნდა შეჰმატოს, ან „უკომპოზიტორობამ“ რა უნდა დააკლოს?!

ერთი კი ცხადია, სახელმწიფომ ერის რჩეულ შვილთა სავანეს მოვლა-პატრონობა დააკლო. განა პანთეონში ბალახგადავლილი საფლავები უნდა იყოს?! ეს ხომ საკუთარი თავის შეურაცხყოფაა. განა რა ღირს მესაფლავის შტატი დიდუბის პანთეონში? რისთვის მიიღო დედაქალაქის მერმა ღირსების ორდენი?

შემოქმედებითი კავშირების მესვეურები ინტრიგების ქსელვასა და ურთიერთშეურაცხყოფას არიან გადაყოლილნი. კაცი, რომელიც მათი კავშირის საწევროს წესიერად იხდიდა, მოუპირკეთებელ სამარეში განისვენებს და გულზე ბალახი უბიბინებს! საქმე საქმეზე რომ მივა, ამ კავშირთა ე.წ. ხელმძღვანელები ნაირ-ნაირ ქაღალდს აგაფარებენ თვალებზე. ეჭვი ნუ შეგეპარებათ, ქაღალდზე ყველაფერი კოხტად არის ჩაწიკწიკებული, ცხოვრებაში — მით უფრო, პანთეონში კი... ერთი ცნობილი პიროვნების გვარს ორი ასო დაკარგვია, მეორეს საფლავის ჯვარი მოღრეცია, სხვაგან წარწერა საერთოდ გადაშლილა, ზოგან ბალახი კი არა, ბუჩქნარი და ეკალბარდია გადავლილი. საფლავების უმეტესობა შთამომავალთა მიერ არის ნაპატრონები, მაგრამ იმას, ვისაც არავინ დარჩა?! უკეთ — დარჩა ნალვაწი, თავისი ხალხი, სამშობლო, მუხლზევით გალაღებულ ბალახში ეკადრება საუკუნო ძილი?!

მამულის რჩეული შვილის სამუდამო სამყოფელი ქვეყანას მოუვლელი რომ ექნება, იმან მსოფლიოს წინაშე „ტრასეკათი“ უნდა იკეკლუცოს?!

საქმე მარტო ბალახი ხომ არ არის!

იმ ბალახს ვინმე გულშემატკივარი ქართველიც გამოხშირავს, მაგრამ ალბათ წინაპართა კულტის ქვეყანაში ერის დეგრადაციის ბარომეტრად მარტო კერძო საფლავების ძარცვა არ უნდა ჩაითვალოს.

განა იმ კავშირებისა და ქვეყნის მესვეურები პანთეონებში მხოლოდ მორიგ ცერემონიალზე უნდა შედიოდნენ, რათა კამერის წინ დამწუხრებულ-შთაგონებულებმა ფრთიანი ფრაზები აფრქვიონ?

მანანა ბეგიაშვილი

ახალი რუბრიკა

უკომენტაროდ...

ფოტო გიორგი აბდალაძისა



საიდან მოაქვთ თბილისში ყვავილები?

ამ კითხვამ ყოფილ დეზერტირების ბაზარში მიმიყვანა, რომელიც ახლა სააქციო საზოგადოება „ცენტრალურ სუპერმარკეტად“ უქცევიათ. აქ ყვავილების სექცია ბაზრის გარეთაა, თევზის რიგის გასწვრივ. ასე რომ, თევზის სუნით გაჟღენთილს კარგა ხნის ლოდინი მოგიწევთ, სასურველი სურნელის ყვავილთა ასარჩევად. თუ აქ წვიმაში მოხვდით, დასველება არ აგცდებათ, ვერც სიცხესა და ქარს დაემალებით. ყვავილების გამყიდველები კი მორჩილად დგანან და თვალებში შემოგციცინებენ, ყველა თავის საქონელს გიქებს.

ჩემი ყურადღება შუახნის ქალმა მიიპყრო, უამრავი წითელი გლადიოლუსი რომ ჩამოუტანია ვარიანიდან (გორის რაიონი).

— ამ ყვავილს ხმალას, ხანაც ხანჯალას ვეძახდითო, — მითხრა სტეფანიშვილმა. — სამ დღეში ერთხელ ჩამოვდივარ. ადგილი ბაზარში 2 ლარი ღირს, მგზავრობა ნიქოზის მატარებლით 1 ლარი და 70 თეთრი. თითო კონაში 30 თეთრს მახდევინებენ მატარებელში. 20-25 კონის მეტს ხომ ვერ წამოვიღებ? ვწვალობ, მაგრამ რა ვქნა, სხვა რა გზა მაქვსო.

ჩემს სოფელში ბევრსა აქვს ხმალა, ასტრაც, ტიტაც, ვარდიცო. მერე ისიც დასძინა, გიორგი კანდელაკი ხომ გაგიგია, მოკრივე, ჩვენებურიაო.

ვკითხე, არ გეხმარებათ თქვენი ჩემპიონი-მეთქი?.

— როგორ არა, სპორტული სკოლა აგვიშენა, აბა ყვავილებს ხომ ვერ გამიყიდისო.

აქვე კოპნია კალათებითა და თაიგულებით დავინტერესდი. სოხუმელი ვალოდია კალანდიასი გამოდგა. აფხაზეთის ომში ცალი თირკმელი დაუკარგავს და სამ ტყვიას ახლაც სხეულით ატარებს. ავჭალაში დაგირავებულ ეზოიან სახლში ცხოვრობს და მცირე ნაკვეთზე გაუშენებია ვარდები და გვირილები. თუმცა ბაზარში შემოტანილ ყვავილებსაც ხშირად ყიდულობს წავკისელი, ლაგოდეხელი, ქუთაისელი, სამტრედიელი, ლანჩხუთელი მეყვავილეებისაგან — თითქმის მთელი საქართველოდან მოაქვთ თბილისში ყვავილები.

ბაზარშივე შევხვდი წავკისელ ოთარ ქოროღლიშვილს, მებაღე-დეკორატორის „პატარა დიპლომით“ თავს რომ ინონებს და აგერ უკვე 30 წელია, ყვავილებით ვაჭრობს. ოთარს თურმე ბევრი თბილისელი იცნობს, მუდმივი კლიენტებიც მრავლადა ჰყავს. წავკისში სამსართულიანი ლამაზი სახლიც ჰქონია, 500 კვმ სათბურიც, ცოლი გვიან შეურთავს და პატარა შვილები მყავსო. სანევავის გაძვირებაზე წუხს ძალიან. მიჭირს სათბურის სრულად ამუშავებაო. ყველაზე მეტად ალისფერი სურნელოვანი ვარდი მიყვარსო. ტიტაც ბლომად ჰქონია, ქრიზანთემაც, ასტრაც, მიხაკიც და თეთრი შროშანიც.

ზურაბ დორეულიც წავკისელია

— 7 ათასი ძირი შავი ვარდია ჩემი სიმდიდრეო, ირანიდანაც მე ჩამომაქვს ზამთარში წითელი ვარდები და გლადიოლუსებიო. ჰოლანდიიდანაც ჩამომქონდა, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდებაო.

ერთ გზაზე 1.000-2.000 ცალი მოაქვს ირანიდან, სათავითავო, რჩეული ვარდები.

ვინ ყიდულობს-მეთქი, ამდენ ვარდებს, — დავინტერესდი.

ვისაც ფული აქვს, ვარდებსაც ის ყიდულობსო, — მიპასუხა, — თუმცა კი მინდა, ყველას ფული ჰქონდეს. მეც წელში გავიმართებოდიო.

ჰოლანდიური ვარდის ძებნამ კოლმეურნეობის მოედანზე, ყვავილების ბაზარში მიმიყვანა.

ერთი ცალი რვა ლარი ღირს, შემიძლია შვიდად მოგცეთ, — ეუბნება ახალგაზრდა ვაჟს ციცო ჩალოიანი, ორთაჭალელი სომეხი, მისი პაპის პაპაც თბილისელი ყოფილა. ციცოს ნადიკვარში ახლაც აქვს ქრიზანთემის, ასტრისა და ვარდის დიდი ბაღი. ჰოლანდიური ვარდები კი რუსეთის გავლით შემოაქვს.

...ახალგაზრდა ვაჟმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, 10 ცალი უმშვენიერესი ვარდი იყიდა და შინდისფერი „მერსედესით“ გაუჩინარდა.

კი არ შემშურდა, ვინატრე, ნეტავ, ყველას ისე მოემართოს ხელი, მშვენიერ ყვავილში ფულის გადახდა არ დაენანოს-მეთქი...

აქ შევხვდი ანია ბაირაკს, ბულგარელ ქალს, თბილისელ მოლდაველს რომ გაჰყოლია, ქართულიც უსწავლია და ორთაჭალაში საკუთარ ეზოში უვლის მშვენიერ ყვავილებს.

ამ პატარა ბაზარში გამყიდველთა უმეტესობა წავკისელი, კოჯრელი და ტაბახმელელი მეყვავილეები არიან, სხვადასხვა ფერის კალა მოუშენებიათ და თავს იწონებენ. ისე კი, კალა ძირითადად სამეგრელოდან შემოდისო, — მითხრეს.

ერთი სიტყვით, რამდენიმე საათში ყველა მეყვავილე გავიცანი, გადამყიდველიცა და ე.წ. „პირველი ხელიც“.

ყველა მათგანს კი, ერთი საერთო ტკივილი აწუხებს — ყვავილებს აღარ ყიდულობენო.

აღარ კი არა, ველარ ყიდულობენ. თუმცა კი, თქვენთან ერთად მინდა ვირწმუნო, ჩემო მეყვავილეებო, რომ ყველაფერი სასიკეთოდ შემობრუნდება.

კაცი იმედითო, — ხომ გაგიგონიათ...

ელენე სალარიძე

სამეცნიერო წრეებში კულუარული „მკლავჭიდი“ გაიმართება

იცით, რა არის „უსკ“? უფრო სწორად, გახსოვთ თუ არა, რას ნიშნავს ეს აბრევიატურა? თუ თქვენ ზრდასრულობის ასაკს ჯერ კიდევ 90-იან წლებამდე მიაღწიეთ, ნამდვილად გემახსოვრებათ. მით უმეტეს, თუ პირადად თქვენ ან თქვენს რომელიმე ახლობელს სამეცნიერო კარიერის გაკეთება გიცდიათ.

უმაღლესი საატესტაციო კომისია — ასე იშიფრება ზემოთ მოყვანილი აბრევიატურა და იმ ადამიანთა უმეტესობას, ვისაც მასთან რაიმე კავშირი ჰქონდა, დისერტაციის დაცვის მღელვარე წუთებთან ერთად მოაგონდება კომისიაში ნაცნობების ძებნის არანაკლებ დაძაბული დღეები, ქართული, მამაპაპური „დესერტაციები“ დისერტაციების დაცვის შემდეგ, — ბევრს სამეცნიერო წოდება-ხარისხისთვის გაღებული სოლიდური თანხა. დიახ, იმ „ბედნიერ, საბჭოურ“ პერიოდში „ბრძენის“ სახელს უპრობლემოდ შეიძენდით თუ ამის სურვილი და შესაბამისი თანხა გაგაჩნდათ.

დრო შეიცვალა, მაგრამ...

იცით, რა არის „სეს“-ი? უფრო სწორად, რას გაგონებთ ეს აბრევიატურა? ეს სწავლულ ექსპერტთა საბჭოა...

ცნობისთვის: საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 14 ივნისის №390 ბრძანებულებით დამტკიცდა „საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს დებულება“, რის თანახმადაც საბჭოს დაეკისრა „საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭებასა და სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებების მიკუთვნებასთან დაკავშირებული სამეცნიერო საატესტაციო სამუშაოთა მართვა, კოორდინაცია და ექსპერტიზა“.

ანუ, არაოფიციალური ენით რომ ვთქვათ, თუ თქვენ გსურთ გახდეთ მეცნიერებათა კანდიდატი ან დოქტორი, გნებავთ — დოცენტი ან პროფესორი, თქვენი ბედი სწორედ ამ საბჭოს ხელთაა.

კორუმპირებულ ქვეყანაში ამგვარი უფლებებით აღჭურვილი ნებისმიერი ახალი სტრუქტურის შექმნა, სრულიად სამართლიანად, ფულის ახალი მახის ასოციაციას იწვევს. საზოგადოებრივი აზრი ასეთ დროს ორად იყოფა — ერთი ნაწილი მებადურის როლზე ოცნებობს — საბჭოს წევრთა ბედს ნატრობს, მეორე კი კიდევ უფრო მეტად ეფლობა დეპრესიაში.

ჩვენ კი, „სეს“-ს დავუბრუნდეთ. პრეზიდენტის კიდევ ერთი ბრძანებულებით, მის თავმჯდომარედ აკადემიკოსი გივი სანაძე დამტკიცდა. შეიძლება ითქვას, უკეთეს ბედს ვერც ინატრებს კაცი, მაგრამ...

აღმოჩნდა, რომ საბჭოს დებულება შესაბამისობაში უნდა მოსულიყო საქართველოს კანონთან „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“. მომზადდა შესაბამისი ცვლილებები და, 1998 წლის 17 ივნისს, მთავრობის სხდომამ დებულების პროექტი, რომელიც ამ ცვლილებებს ითვალისწინებდა, მოიწონა. დასაზუსტებელი რჩებოდა საბჭოს სტატუსი. ამავე სხდომაზე, წინადადებას, საბჭოს თავმჯდომარე არჩევითი ყოფილიყო, პრეზიდენტი დათანხმდა.

სხდომის შემდეგ კი იუსტიციის სამინისტრომ, რომელსაც შევარდნაძემ იურიდიული მხარის მოგვარება დაავალა, დებულების პროექტში კორექტივები შეიტანა. კერძოდ „სეს“-ს ჩამოერთვა სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებების მიკუთვნების უფლება. ამ ცვლილებით დოცენტისა და პროფესორის „ჩინებს“ განათლების სამინისტრო ჩამოარიგებს.

ზემოთ ხსენებული გარემოება პრეზიდენტის №502 ბრძანებულებით დამტკიცდა. ამით კი ავტომატურად გაუქმდა ზემოთ მოყვანილი ბრძანებულებები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწავლულ ექსპერტთა საბჭო, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და თავიდან უნდა აირჩეს. ცხადია, თავმჯდომარესთან ერთად...

ალბათ, არცთუ ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ვნებათაღელვას გამოიწვევდა ეს ცვლილებები საბჭოს წევრებში, მით უმეტეს, მის ყოფილ თავმჯდომარეში.

გივი სანაძე არც საკუთარი პოსტის და არც ძვირად ღირებული წოდებების დათმობას აპირებს.

იგი შევარდნაძეს ორ წერილს უგზავნის, სადაც მისთვის არასასურველი ბრძანებულების გაუქმებას ითხოვს! თუმცა გივი სანაძისთვის ეს ბრძანებულება არც არსებობს — რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოთ, მას თავისი „რკინის“ არგუმენტი გააჩნია — ბრძანებულება, რომელიც ასე ემუქრება სანაძის მდგომარეობას, 1998 წლის 28 აგვისტოსაა ხელმოწერილი. 28 აგვისტო მარიამობაა და შესაბამისად, უქმე. უქმე დღეს კი პრეზიდენტის ხელმოწერა, როგორც ჩანს, ძალას კარგავს(?!)!

ბუნებრივია, რომ ისეთ მსუყე ლუკმას, როგორიც „სეს“-ია, შემყურენი კიდევ უნდა ჰყავდეს. პოზიციებს ამ სფეროში უთუოდ მოსინჯავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, როინ მეტრეველი. ასეა კიდეც. ერთ-ერთ მთავრობის სხდომაზე ბატონი მეტრეველი სიტყვას ითხოვს და ასრულებს რა საუბარს სრულიად სხვა საკითხზე, მოულოდნელად „სეს“-ის გარშემო შექმნილი ვითარების გარკვევას ითხოვს. ცნობისთვის: მეცნიერებათა აკადემიას საბჭოში 23 ერთეული ეკუთვნის, უნივერსიტეტს — 14, დანარჩენი 36 ერთეული სხვა უნივერსიტეტებზე ნაწილდება. ეჭვგარეშეა, რომ მეტრეველი არც პროპორციით დარჩებოდა კმაყოფილი...

მეტრეველის უკან კი, მიხვდით, ალბათ, რომ ინტელიგენციის გარკვეული ნაწილიც იგულისხმება.

შევარდნაძე, რომლის პროტექტორული დამოკიდებულება სამეცნიერო ელიტის მიმართ საყოველთაოდ ცნობილია, საკუთარი ფავორიტების წყალობით კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ორ ცეცხლს შუა.

ქომაგობას ითხოვენ, ერთის მხრივ, გივი სანაძე, რომელიც ვერანაირად ვერ ეგუება, რომ „სეს“-ის პრეროგატივათა ნაწილი განათლების სამინისტროს გადაეცა და გულს თავმჯდომარის პოსტის მოსალოდნელი არჩევნებიც „უხეთქავს“. ამის გამო ძველი, საბჭოური ფორმის მომხრეა და პრეზიდენტის ბრძანებულებაზეც კი ხუჭავს თვალს. მეორეს მხრივ, როინ მეტრეველი, რომელიც ასევე ცდილობს, საკუთარი გავლენა თავისივე ინტერესებს მოახმაროს და თოკი თავისკენ გადმოქაჩოს...

...უცხოეთის პრესტიჟული უნივერსიტეტების კოლექტივისა თუ ხელმძღვანელის ობიექტურობა არც იქ და არც ჩვენში ეჭვს არ იწვევს. სამწუხაროდ, ვითარება რადიკალურად განსხვავებულია ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, მით უმეტეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (და არა მარტო იქ). იქ წოდებისა თუ ხარისხის მინიჭება ისეთივე წარმატებით შეიძლება იქცეს ალებ-მიცემის წყაროდ, როგორც სწავლულ ექსპერტთა საბჭოში.

განვითარებულ ქვეყნებში სამეცნიერო წოდებებს თავად უნივერსიტეტები ანიჭებენ და ნორმალურად სწორედ ასეთი ვითარება ითვლება. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ამ სახელმწიფოებამდე ბევრი გვაკლია.

თანაც, მოწინავე ქვეყნებში არც პირველი და არც მეხუთე პირები ასეთი სახის პრობლემის მოგვარებაში არ ერევიან. ჩვენთან კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ხომ გაგიგონიათ — შეჩვეულს ნუ გადააჩვევ! — ინტელიგენციის ნაწილი მართლაც იმდენად შეეჩვია პრეზიდენტისთვის პერსონალურად მათი ინტერესების გათვალისწინებით გამოცემული ბრძანებულებების მოთხოვნას, რომ ნაკლები რანგის ჩინოვნიკებთან ურთიერთობას არ კადრულობს. სამწუხაროდ, მათ ტყვეობაში უნებურად მოქცეული შევარდნაძე იძულებულია, თავადვე გასცეს პასუხი ამა თუ იმ პრეტენზიებით მისულ მომჩივანს. რეცეპტების შეთავაზებაც აზრს კარგავს, რადგან ინტელიგენციის ამ ნაწილმა კარგად ისწავლა ნებისმიერი ასეთი, თუნდაც კანონიერი მითითების იგნორირება და ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებასთან მათ „უსამართლობაზე“ ჩივილი.

მეისრეების ძებნა პრეზიდენტს, ამ შემთხვევაში, აღარ უშველის. საქმეს, როგორც აღვნიშნეთ, დიდი ფულის სუნი ასდის და ეს სუნი მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს ისევე უკარგავს ძილს, როგორც კორუფციაში ეჭვმიტანილ ჩინოვნიკებს, მათ, ვინც საკითხის გადაწყვეტას უშუალოდ პრეზიდენტისგან ელის. ისინი ტირიან, იმიტომ, რომ გასდით...

სამეცნიერო წრეებში კი ახალი სკანდალი მწიფდება. პირველი სიმპტომები უკვე გამოჩნდა. ჩვენ კი, მაყურებლებთან ერთად, ალბათ, დაზარალებულებიც ვართ.

მაია გაბუნია

„ბოლოს და ბოლოს, ჩვენს დეპუტატებში ხომ უნდა დამკვიდრდეს კანონის პატივისცემა“(!)

ამ კვირაში პარლამენტში დიდი სკანდალია მოსალოდნელი: თუმცა, სკანდალი შეიძლება დონკიხოტობაში გადაიზარდოს და საზოგადოებას ხელთ მხოლოდ ქარის წისქვილებთან მებრძოლი რაინდები შერჩეს (და, შესაბამისად, სეირიც იქნება).

დღეს საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რით ხიბლავს დეპუტატის შინდისფერი, ზომიერად კომფორტული სავარძელი სამრეწველო და პოლიტიკურ მაგნატებს. რომ არა ეს ყბადაღებული იმუნიტეტი, მითქმა-მოთქმის საბაბიც აღარ იქნებოდა.

როლანდ გილიგაშვილი

მაგრამ ყველაფერი ცხადდება: გაპარლამენტარებულ ბიზნესმენთა ერთი ნაწილი არც მალავს, რომ საკანონმდებლო ორგანოში თავისი საქმის განმტკიცება-გაძლიერებისთვის მოვიდა, მათგან განსხვავებით ნაკლებად გულწრფელად ჟღერს მეორე ნაწილის განმარტება — ჩვენ ჩვენს საქმეს არ დავეძებთ, აქ პატრიოტიზმმა მოგვიყვანაო. არსებობს კიდევ ერთი, მესამე ნაწილი. მას პარლამენტისგან არაფრის გარანტია არ სურს, გარდა იმისა, რომ ტკბილად შეირგოს კომუნისტურ და პოსტკომუნისტურ დროში ნაშოვნი.

სულ ახლახან, საპარლამენტო ხელმძღვანელობამ, უკაცრავად და, თეთრისა და შავის გარჩევა მოინადინა. ამ ფრიად რთულ სამუშაოს საპროცედურო კომიტეტი ასრულებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ მოწვევის პარლამენტში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ზემოხსენებული კომიტეტი რაღაც სერიოზულისთვის ემზადება. კომიტეტის ხელმძღვანელი როლანდ გილიგაშვილი ტყავში ძვრება და თავს არ ზოგავს, რომ როგორმე(!) კანონდამრღვევი დეპუტატები აღმოაჩინოს. აი, ისეთები, პარლამენტში დღეში ერთ საათსაც რომ არ ჩერდებიან და ნაშუადღევს უკვე თავიანთ ქარხანა-ნაგებობებს ესიყვარულებიან. ძნელი დასაჯერებელია, რომ „შავსიელები“ ბატონ როლანდთან კულუარულ მოლაპარაკებას არ აწარმოებენ (ან არ ცდილობენ). ამაზე ცოტა ქვემოთ.

რა ეშველებათ ცუღლუტ პარლამენტარებს? როგორც ირკვევა, არჩევანის გაკეთება მოუწევთ — ან ბიზნესი, ან პარლამენტი. დამეთანხმებით, მშვენიერი ალტერნატივაა. მესამე — დასჯა იმის გამო, რომ მთელი ეს დრო კანონს არღვევდა, არ ფიგურირებს. უფრო ზუსტად, არავის გახსენებია, რომ ამისთვის კაცი შეიძლება დაისაჯოს. ამ კვირის საპარლამენტო სკანდალზე ჩვენი თემის პირველ რესპონდენტად **როლანდ გილიგაშვილი** შევარჩიეთ.

— ამ კვირაში პარლამენტში განსახილველად ორ საკითხს წარვადგენ. ერთია — საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და მეორე — სადეპუტატო სტატუსის შეუთავსებლობა სამეწარმეო საქმიანობასთან. ორივე თემა ძალზე მნიშვნელოვანია და ორივე შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოში დიდი ვნებათაღელვაა მოსალოდნელი.

— აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლი გასაგებია, მაგრამ პარლამენტი თვითონ დეპუტატებზე თუ ახორციელებს კონტროლს და როგორ? ცნობილია, რომ ამაზე კანონში არაფერია ნათქვამი, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ამ ხელისუფლების დიდი უმრავლესობა, აკრძალვის მიუხედავად, მაინც ბიზნესმენობს.

— არსებობს სპეციალური ბიურო, რომელსაც ყველა სახელმწიფო მოღვაწე წელიწადში ორჯერ წარუდგენს

ქონებრივ დეკლარაციას. კანონში, დეპუტატის სტატუსის შესახებ, პარლამენტარს აქვს უფლება, ჰქონდეს წილი, საკუთრება და აქციები, მაგრამ არ აქვს უფლება, განახორციელოს სხვა სამეწარმეო საქმიანობა. მათ შორის, არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან კონსულტანტი. ჩვენს კომიტეტს გააჩნია ამ ბიუროში დაგროვილი ინფორმაციების გადამოწმების უფლება. გამოვითხოვეთ ამ მასალებს და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციების მასთან შედარებას ვახდენთ.

— 235-ვე დეპუტატის ქონებრივი დეკლარაცია შეისწავლეთ და გადაამოწმეთ?

— გარკვეული მონაცემები ყველა დეპუტატზე გვაქვს. ყველანაირ მასალას მოვუყარეთ თავი. ამის შემდეგ გადამოწმდა დეკლარაციები. ზოგან ბევრი იყო სამუშაო, ზოგან — ნაკლები. ამ კვირაში ვიტყვი, ვის აქვს შეუთავსებლობა, როგორი სახის და რამდენი ხანია.

— კონკრეტულად ვისი გვარები ფიგურირებს?

— არავითარ შემთხვევაში! მე სამართალდამცავ სისტემაში ვარ ნამუშევარი და უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ. საკითხები მოწმდება და არაფრის დამალვას არ ვაპირებ. ვალდებული ვარ, რომ ჩემი ინფორმაციით და შეფასებებით ხალხმა და საზოგადოებამ გაიგოს, ვისთან აქვს საქმე. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს დეპუტატებში ხომ უნდა დამკვიდრდეს კანონის პატივისცემა?!

— ხშირად დეპუტატები სამეწარმეო საქმიანობას ცოლ-შვილს გადააბარებენ, თვითონ კი, ფიქტიურად მაინც ეწევიან საქმიანობას. ეს არის კანონდარღვევა?

— სწორედ ამის გადამოწმება არის ურთულესი. დეკლარაციაში, ბუნებრივია, არასოდეს ჩაწერს, რომ ფირმის ხელმძღვანელია, მაგრამ სინამდვილეში თვითონ წარმართავს ყველაფერს. შეიძლება ლობირებასაც ეწევა. დეპუტატს თუ ეს დაუდასტურდება, პარლამენტარის უფლებამოსილება შეუწყდება. ზოგიერთი დეპუტატი გაჰყვირის — მე ამას ვაწარმოებ და თანაც დეპუტატი ვარო... არ ვიცი, თითქოს საამაყოა კანონის დარღვევა.

გია მეფარიშვილი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:

— რა იურიდიული მექანიზმი არსებობს იმისთვის, რომ შემოწმდეს დეპუტატის შეხება სამეწარმეო საქმიანობასთან?

— სამწუხაროდ, ასეთი ზუსტი მობილური მექანიზმი არ არსებობს. ერთ-ერთი წყაროა ქონებრივი დეკლარაცია. მასში ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს ჩაწერილი. თუმცა, ობიექტური ინფორმაციის მიღება ძალიან ძნელია.

— ჩვენი საკანონმდებლო ელიტის დიდი ნაწილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. კანონს კი დღემდე ვერ გადაუწყვეტია — არის თუ არა ეს შეუთავსებლობა.

— დიახ, ეს ძალზე რთული თემაა. ჩემი აზრით, პარლამენტის წევრს ასეთი უფლებამოსილება არ უნდა ჰქონდეს.

— რაც შეეხება დივიდენდებს?

— დივიდენდების, პროცენტის მიღება კანონდარღვევად არ ითვლება. დეპუტატს გინდ საწარმოდან მიუღია დივიდენდები, გინდ ბანკიდან.

— რას ამბობს კანონი საქმის ოჯახის წევრებზე გადაბარების შემთხვევაში?

— მე პირადად ვთვლი, რომ აკრძალვა მათაც უნდა შეეხოთ. უნდა მივიღოთ იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ოჯახის წევრებზეც ვრცელდება მასობრივი შეზღუდვა. ხშირად მეუღლის, შვილის უკან პოლიტიკოსი დგას. ეს ხარვეზი როგორმე უნდა აღმოვფხვრათ, როგორც თეორიულად — კანონებში, ისე პრაქტიკულად — ცხოვრებაში. ამავე დროს, ჩნდება სერიოზული საფრთხე, არ დაირღვეს ადამიანის უფლებები.

— თუ ჯერ კანონს ვერ გაურკვევია, რა არის დანაშაული და რა არა, გილიგაშვილი როგორღა გამოარკვევს?! საერთოდ, რა აზრი აქვს მაშინ მთელ ამ აჟიოტაჟს?

— ასე კითხვის დასმა არ შეიძლება. აზრი სწორედ რომ გააჩნია. არსებობს უამრავი მასალა, რომელშიც პირდაპირ არის მინიშნება კანონდარღვევაზე. გილიგაშვილს საამისო ინფორმაციები აქვს და იმიტომაც ამბობს, ყველა გვარს დავასახელებო.

გოგი თოფაძე: ფრაქცია „მრეწველები“. ს.ს. ყაზბეგი-კასტელი:

— როცა დავდექი ალტერნატივის წინაშე — ან დეპუტატობა, ან მეწარმეობა, პირველი ვარჩიე — გენერალური დირექტორის პოსტი დავტოვე.

— ეს გულისხმობს იმას, რომ გოგი თოფაძეს ლუდის წარმოებასთან და „ყაზბეგთან“ არავითარი კავშირი აღარ აქვს?

— ამას არ გულისხმობს; ეგრე როგორ იქნება? მთელი ცხოვრება რაღაცას აკეთებდე და მერე თავი დაანებო? უნდა მოინახოს რაღაც ფორმები. ყველაზე კარგი ფორმა ის იქნება, პარლამენტმა რომ მიიღოს გადაწყვეტილება მეწარმეების მოწვევის შესახებ — ბიზნესმენებს ძალიან ბევრი გონივრული აზრის შეთავაზება შეუძლიათ. მაინცდამაინც საკუთარი ბიზნესის ლობირებას რატომ აბრალებენ?

— არც უმაგისობა რომ არ არის?

— ჰო, ასეც ხდება. ამიტომ, სჯობს მმართველმა პარტიამ საკანონმდებლო ინიციატივა დააყენოს.

ქეთი ბერეკაშვილი

„შეიძლება ამ წარწერებმა უფრო გაამოაფხიზლოს ჩვენი კანონმდებლები...“

გამოუვიდა!

ვინც კანონის და სამართლის ენაზე ლაპარაკი არ არის მიჩვეული, იმათთან არანაირი საერთო არ მაქვს. მე მხოლოდ კანონიერ, ადამიანურ და მართლაც დემოკრატიულ ენაზე ვლაპარაკობ. სიმართლე გითხრათ, არა ვარ არავითარ პოლიტიკურ ფორმით რაიმეს ან ვინმეს წინააღმდეგ ბრძოლის მომხრე. მე, პირადად, არც ქუჩებში მიგელია არასოდეს და, მით უმეტეს, არც ასეთი არაკეთილშობილური ფორმებით გამივლია. მომაწია, რომ თუ მოთხოვნა კანონიერია და სახელმწიფოც, შესაბამისად, კანონებით ცხოვრობს, იქ სამართალს ასეთ

დადეთო ხალხის გასართობად. ხალხსაც, თუ ორიოდე გროში გაჩანჩალა, არ ენანებოდა და ასე მიდიოდა დრო. მიდიოდა და არავის ეგონა, თუ დრო ოდესმე ერთ დღესაც შეჩერდებოდა, აუხსნელი ოფის ქარცეცხლში გაეხვეოდა და სიცილს ცრემლები შეეცლება.

დიახ, დრო გაიცინა. გაიცინა და ამ ცინცლის გამგონიც ჯერაც ვერავინ გამონძებდა. ხელდახელაც დაეკარგათ ყველაფერი, რაც რამ გაგვაჩნდა, გარდა მხუთაობისა. მნუხრის ღრუბელი კი ჯერაც ვერ მოგვიცილებია ან გაგვეთმარნებინა მზერანაღი ისეთი რამ შენთვის უცხო ქუჩებში ტკუილებრალოდ დაეძებ, „მარადონას“, დაეძებ იქნებ იმან მაინც გაგაბედვოს სოხუმის თბილი და ტკბილი სალამები, გაგიხაროს ოფის დარღით შეძლილი გული და დაგიმშვიდოს ანცილი ნერვები. დაეძებ, მაგრამ ვერ გიპოვნა.

მახსოვს, ერთხელ „მარადონას“ ეიღა მასავით მარტოსული, ეული ქალი ეწახა და ორთავე სოხუმის ღამაზსა და კოშკა ქუჩებს ცქეროდა და სიხელით უყვიდნენ. ეს სცენას სოხუმის ბაზართან შეეცქინენ თანმეგზურებანი ერთად. საბრალო ქალი ენერგიულად და მოხდენილად ცეკვავდა „მარადონა“ კი, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, 10 კილოგრამანანი რიყის ქვის მძიმეები ეკეთა კისერზე, ქალის ცეკვით მოხიბლული, ფხებში უვარდებოდა მასავით მარტოსულს... რას იზამ, ცხორება ასეა ანდაზით, ყველა რაღაცასთვისაა განწენილი ამქვეყნად, ეს სანუკვარი ასე ტკბილმასხარებად დაბერებებიან ალბათ, დაბერდებიან და სიცილ-ხარხარში გაატარებენ ამ ბუთიასოფელს, — გავიფიქრე მაშინ ჩემს გულში და თურმე სწორედ მაშინ შეეჭდვარვარ, შეეჭდვარვარ მწარედ, რამეთუ ყველას თავისი მიეზღებება ამ ბარაქულ და გაუსაძლის ნუთიოსფეროში. და თუკი მაშინ „მარადონა“ და მისი „პარტნიორი“ მეცოდებოდნენ, დღეს მშურს მათი, რადგან მათ ბოლომდე ცხოვრება არადერივ არ შეცვლიათ, მხოლოდ ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი — დავკარგეთ სინდისი, დავკარგეთ ნამუსი და დავკარგეთ ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მდიდარი ჩვენ შორის — „მარადონა“, „მარადონა“, რომელიც თითოეული ჩვენთაგანის არსებობას ვერც ამხრევდა, თუმცა ჩვენს არსებობაში მასაც რაღაც წილი ეხვეწა შეკრძალა, ჩვენც მისი ტანჯული სულის თანაზიარად ვიხდიდა.

დრო უსაშველოდ გაინქცა. ექვსი წელი ლამის ექვს საუკუნედ გეგქცა. დროის შენთრე ეი ერთ ადგილზე შეჩერდა და დარდით სავსე მორეულად შეგუბდა, ნაბიჭებს კი ამ მორეულ ნელი-ნელ ხელოვნურად უმაჯერებენ, რათა ამ დარდის მორევმა არ გადმოხეთქოს და თავის აბობაქრებულ მორევში არ წოგირის ბრწყინვალე განთიადი, რომელიც მაღე უნდა გათენდეს, ჩვმელმა გამხეთიდან „მარადონას“ შეხვედრა უნდა მიველიო. ჩვენს ქვეყანაში, ცოტა არ იყოს, ძნელია კანონების დაცვა, მაგრამ უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ, ბოლოს და ბოლოს, ცალური მეთოდებიდან თანამედროვე ცივილიზებული მეთოდებზე გადავიწიოთ. ეს წარწერები, ერთი მხრივ, არის პრობლემა იღლიას მოწმეთა სქემის, ხოლო მეორე მხრივ — თავად სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ვერ იცავს თავისი მოქალაქეების ვერც მოქალაქეობრივ და ვერც სარწმუნოებრივ უფლებებს. თუკი პრობლემის ასეთი ფორმა იქნება მასტაბურებელ ჩვენი ხელისუფლებისათვის, რომელიც გაღდებული, სერიოზულად მეიდგეს საკრთველოში რეალიის კანონს მამეშვიდებას და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საკითხის მოგვარებას, მაშინ ასეთ ფორმას მივესალმები.

— ეი. იმედი გაქვთ, რომ ეს წარწერები შეიდეგს მოიტანს?

— არ ვიცი, შეიძლება მოიტანოს კიდეც. უზენაესმა სასამართლომ იღლიას მოწმეთა მიერ იღლიაში შეგნილი საკასაციო სარჩელის განხილვა მოცეს 5 თვით გადადო და 20 დეკემბერს დანიშნა. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არ სურთ საკრთველოში რეალიური და სარწმუნოებრივი ცხოვრება დანენარდეს. ამბობენ — კანონის თანახმად, უფლება გვაქვს, 5 თვის განმავლობაში განვიხილოთ კი მაგრამ, შე კაი დედამიშველო, რაკა მოიცდი, ამაინც ხუთი თვის შემდეგ უნდა განიხილო, რაება შეგიძლია ერთ თვეში დაააქნი საშველი და, ბოლოს და ბოლოს, გამოარკეო, ვინ არის დამნაშავე და პასუხისგებელი — ჩვენ თუ იღლიას მოწმეები? ლმერთმა უშველოს საოცარ სასამართლოს, თორემ რამდენი მაწვალეს ისან-სანამ სასამართლოები ში... რამდენი შეურაცხყოფა მომაყენეს ცალეკე იღლიას მოწმეებმა, ცალკე მოსამართლეებმა და ცალეკე ჯიდეე ჩემმა პარლამენტარმა კოლეგებმა და მათმა სიყრუემ? რამდენი ხანია ვყვირი, რელიგიის კანონი მიეცითო-მეთქი. ყური არავინ შეიბერტყა. ამ ბოლო დროს ცოტა გამოფხიზლდნენ და კანონმდებლებზე დაინეყეს ლაპარაკი. შეიძლება ამ წარწერებმა უფრო გამოაფხიზლოს ჩვენი კანონმდებლები და საქმე დააჩქარონ. თუკი ეს მოხდება, მაშინ ჩათვალეთ, რომ წარწერებმა მართლაც გამოიღო ნაყოფი. დრო, ყველამ საკუთარ მოვალეობებს გადახედოს. ეჭარა ამდენი სიცრუე, თორემ შედეგი სავალალოზე სავალალო იქნება.

შედეგი ალბათ მართლაც სავალალო იქნება, თუკი დროზე არ გადერკვევით, ენ ვართ, რანი ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ, რა გვინდა და რას ვესწრაფვით.

ერთმა იღლიას მოწმე ეკალბატონმა არე ვინაობის გამჟღავნება ისურვა და არც ჩვენთან სპეციალი იმ სპასთან, რომ თურმე ევრთ ევა არ ქქონდა აღებული. აღნიშნულ დღესაც დაეკიმირებით აღშფოთება ვერ დამალა, მაგრამ მაინც „გულწრფელად“ შეუნდო ამ „შკრებელური“ წარწერების „ცოდვილ“ ავტორს და მისი განკითხვა იღლიას მიანდო.

„კვირის პალიტრას“ კომენტატორი სთხოვა სოხოის საკათედრო ტაძრის ფეკანონს მამა დავითი ოთხმოზას:

— ეს ცოდვა არ არის. ეს არის, უბრალოდ, სპონტანეური უარყოფითი დამოკიდებულება და ერთგვარი პროტესტი, რომელიც მიმართულია თითოეული მოქმედი სქემის წინააღმდეგ. ყველას არა აქვს საშუალება, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გამოსაბრა თავისი ნება და განწყობა, პრაქტიკაც ასეა, ე.წ. ტრეფრ ფორმაში წარმოდგება. მიუხედავად იმისა, რომ არაცივილიზებული ფორმაა, მხარს დავუჭერ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ნებისმიერი ფორმით წინ აღუდგება ჩვენი ქვეყნის სეტკანტურ დაშლა-დაქუცმაცებას. ისტორიას არ უნდა დავცინოთ. იელოვას მონმეები კი ისტორიასაც დასცინიან და ჩვენს ხიხმად მონმეებ გინაირებასაც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამშობლოს უარყოფენ. ეს ხომ საშინელებაა!

ბაია ყვირალაშვილი

წყვეთარ ლომგვანიძე,
სამხერის რაიონი, სოფ. ჯრაი

ექვემიტანილია გამგებლის მკვლელობაში

1993 წლის აგვისტოში გურჯაანის რაიონის გამგებელმა ზაურ მანიჟაშვილმა მოულოდნელად შეუძლოდ იგრძნო თავი, შემდეგ გონი დაკარგა. დაახვიეს ექიმები, მაგრამ ავადმყოფი 2 კვირის შემდეგ ისე გარდაიცვალა, რომ ცნობიერება არ დაბრუნებია.

როგორც მაშინ ამბობდნენ, ექიმებმა ავადმყოფობის სწორი დიაგნოზიც კი ვერ დასვეს, ზოგი ფილტვების ანთებას ასახელებდა, ზოგი მფრინავ მენინგიტს, ზოგიც...

თუმცა, კულუარებში (როგორც შემდეგ გაირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ) რაიონის თავკაცის მოწამვლაზე ლაპარაკობდნენ. ეს, ცხადია, ექიმებმაც კარგად იცოდნენ, მაგრამ ისინიც, სავარაუდო მომწამვლელის მრისხანე ავტორიტეტის გამო, ეჭვს თუ დასკვნას საგულდაგულოდ მალავდნენ. ამ ვერსიის ადრესატი კი, იმ დროს ცოცხალ ლეგენდად ქცეული, უცხო ჯიშის და ბურუსით მოცული წარსულის მქონე ქალბატონი მადლენა იყო. როგორც ამბობენ, იგი პოლონელ ქალს გაუჩნდა ჩალაუბნელი ხელოსნისაგან. ზოგის თქმით, მამამისმა ავხორცობის გამო მოკლა თავისი უცხოელი ცოლიო.

მადლენა გურჯაანში, თავდგირიძეების ოჯახში გაიზარდა. სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა და ქალიშვილი შეეძინა. ცოტა ხნის შემდეგ ქმარი მდინარეში დაეხრჩო. ამის შემდეგ უცნობი წყაროებიდან „დაადგინა", რომ რესპუბლიკის იმდროინდელი პროკურორი პავლე ბერძენიშვილი მისი ნამდვილი მამა იყო და გვარი მოსთხოვა. მხოლოდ მადლენას ფანტაზიას და შორს ჭვრეტის უნარს შეეძლო „დაერწმუნებინა" გენერალური პროკურორი მის მამობაში. თემიდას მსახური კარიერის შესანარჩუნებლად, ეტყობა, ბიოგრაფიული უმწიკვლოების შელახვას მოერიდა და დაჰყვა „შვილის" სურვილს.

მადლენასათვის ბერძენიშვილის შვილად კურთხევა უაზრო ახირება არ ყოფილა, „მამის" ავტორიტეტი იმ დროისათვის უკანონოდ მიჩნეული საქმიანობის — ვაჭრობისთვის სჭირდებოდა, პარალელურად გურჯაანის სამუსიკო სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. როდესაც სპეკულაციამ დიდ მასშტაბებს მიაღწია, „პროკურორის ქალიშვილი" დააპატიმრეს. იმ დროისთვის მას უკვე ოთხი თუ ხუთი გვარი ჰქონდა და შესაბამისი რაოდენობის პასპორტიც.

ციხეში კიდევ უფრო გამდიდრდა მადლენას „შემოქმედებითი" ინტელექტი და გათავისუფლების შემდეგ საქმიანობამაც შესატყვისი გაქანება ჰპოვა. მსურველებს მანქანების, ბინების, ავეჯის ყიდვას ჰპირდებოდა და თითქმის ყველა დოყლაპიას პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებდა. ბოლოს მიხვდა, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანდა, მარტო „მუშაობას" შეეშვა და ორგანიზებული ბანდა ჩამოაყალიბა, თან დაპირისპირებულებთან ანგარიშსწორებას მიჰყო ხელი. ასე გააქრო რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა და იმერლიშვილების ერთ-ერთი ოჯახის ყველა წევრი გურჯაანში, რომელთა ასავალ-დასავალი დიდხანს არავინ იცოდა. მარტო თანამემამულეთა მიმართ როდი იყო ასეთი დაუნდობელი. მისი თანამზრახველების მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობებზე, ლამის მთელი რუსეთი ალაპარაკდა. იმ გაუგონარი სისასტიკით დახოცილ და წამებულ ათეულობით ადამიანს (როგორც რუსული პრესა წერდა) ზოგს თავები ჰქონდა დაჭრილი, ზოგს კიდურები...

1993 წელს მადლენა კვლავ კახეთს მოევლინა, როგორც სამშობლოს ბედზე მოფიქრალი უმდიდრესი ქველმოქმედი. თავი მაშველთა კორპუსის რეგიონალურ ხელმძღვანელად გამოაცხადა და გურჯაანის გამგეობის შენობაში დაიდო ბინა. „თანამდებობაზე" მოსვლისთანავე მაქსიმალურად შეეცადა მოქმედების ასპარეზისა და გავლენის სფეროს გაფართოებას. ამ ოდიოზურმა, ნიჭიერმა ქალმა პირველივე მცდელობით ზურგზე დასვა გამგებლის მიერ, ბოლომდე ხელში ვერაღებული ძალაუფლება და მართვის სადავეებისა და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას შეეცადა. მისი კაბინეტის კართან დილიდან შუაღამემდე დახმარების სათხოვნელად მისული ადამიანების უსასრულო რიგი იდგა, ყველას უშურველად განიკითხავდა. ფულს საკუთარი ჯიბიდან, უფრო სწორად, საფულიდან არიგებდა. მისი „ქისის" უძირობაზე კი თავიდანვე ალაპარაკდნენ, რამაც ხელი გაუხსნა „ქველმოქმედის" უკანონო პარპაშს, რადგან მოგეხსენებათ, ჩვენში არავის სცემენ იმაზე მეტ პატივს, ვიდრე მდიდარ ადამიანს.

მადლენას ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. ასევე იზრდებოდა მისი უკანონო შემოსავლებიც, რომელიც ძირითადად „შეწერებისა" და აშკარა ყაჩაღობის მეშვეობით ხორციელდებოდა. „კახეთის ლედი" თავისთან იბარებდა ღვინის ქარხნების, ფირმების, კოოპერატივების მესვეურებს და აიძულებდა, სამშობლოს ინტერესებისათვის საკუთარი ფირმის ანგარიშზე თანხის გადმორიცხვას, ხოლო ვისაც „სამშობლოს სიყვარულის" გრძნობას ვერ გაუღვიძებდა, მკაცრად სჯიდა — თავის შეიარაღებულ ყოჩებს უგზავნიდა.

როცა მადლენამ ძალაუფლების ყველა სადავე ხელთ იგდო და ფაქტობრივად გააუქმა გამგეობის, პროკურატურის და პოლიციის უფლებები, მხოლოდ მაშინღა მოიქექეს თავი იმ უწყებათა ხელმძღვანელებმა, რომელთაც მანამდე მხოლოდ სტატისტებად იყენებდა „დიდი ქალბატონი". როგორც იქნა, დაადგინეს (თითქოს ძალიან ძნელი იყო ამის დადგენა), რომ მადლენა, — როგორც თვითონ გამოაცხადა, — მართლა შევარდნაძის გამოგზავნილი კი არ იყო, არამედ თვითმარქვია „სავარძელისტი", რომელსაც ხელისუფლებაში ვიღაც მფარველობდა.

მარცხნიდან: ილია ნიბლაძე და ზაურ მანიჟაშვილი

...გადაწყდა, ერთობლივად დაპირისპირებოდნენ მადლენას „ხელისუფლებას". ეს გადაწყვეტილება საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებისა და იმ შემოსავლების დასაბრუნებლად მიიღეს, მადლენამ რომ წაართვათ, თორემ ასეთი მითითება შეუძლებელია იმ დროს ზევიდან წამოსულიყო, რადგან აფხაზეთში უკიდურესობამდე გამწვავებული მდგომარეობისა და ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ქაოსის გამო მადლენასთვის არავის სცხელოდა...

იმ პერიოდში გურჯაანის რაიონის პროკურორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და რაკი მის დასაქმებაზე არავინ იზრუნა, თვითონვე შექმნა „თავისი" სამსახური — „კახეთის პოლიციის რეგიონალური სამმართველოს" სახით. შესაძლოა, ეს ვინმესთან შეთანხმებულიც გახლდათ. ახალი საქმის ინიციატორი ვოვა ახალკაცი ეცადა, დაემტკიცებინა, რომ სწორედ მის სამსახურს ძალუძდა რეგიონში შექმნილი მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობის გამოსწორება და საჯილდაო ქვად სწორედაც რომ შესაფერისი კერკეტი კაკალი — მადლენა აირჩია. ამით იგი ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერას ფიქრობდა — კახეთს ამ „წურბელას" მოაშორებდა და ეს ფაქტი თვითდამკვიდრების საშუალებას მისცემდა. თითქოს მიაღწია კიდეც მიზანს, თავისი ახალშექმნილი ჯგუფით ალყაში მოაქცია მადლენას სახლი და უექსცესოდ განაიარაღა იგი.

მაგრამ იმავ წუთს ფარდას გასწევს უჩინარი ხელი და აქამდე მიმალულ სახეს გამოაჩენს... ვოვა ახალკაცის ბიჭები მეორე დღესვე ხელუხლებლად დაუბრუნებენ მადლენას მთელ არსენალს. ამ წარმატებით გულმოცემულმა ქალბატონმა, როგორც ჩანს, უზურპირებული ხელისუფლების დაკანონება მოინდომა... (როგორც ამბობენ, ზაურ მანიჟაშვილს შინაურებში უთქვამს — მადლენამ შემომითვალა — გადადექი, შენთვის უკეთესი იქნებაო(!) გამგებელი, ქვეყნის მეთაურის ნდობისა და საკუთარი ღირსების საწინააღმდეგოდ, ცხადია, ვერ წავიდოდა და „კეთილმოსურნეს" ალბათ ცივი უარი შეუთვალა.

მადლენამ წყენა გულში შეინახა და შეეცადა, ურთიერთობა „დაეთბო" რაიონის თავკაცთან. რამდენჯერმე სუფრაზე მიიწვია. ზაურ მანიჟაშვილი ფრთხილობდა „სატანასთან" (როგორც მეგობრებში მოიხსენიებდა) ურთიერთობისას. განსაკუთრებით ღვინის დალევას ერიდებოდა, ფხიზლობდა, თითქოს გრძნობდა, მხოლოდ მაქსიმალური ყურადღება და მობილიზება გადაარჩენდა. ცხადია, მადლენას აღიზიანებდა „მეგობრის" ასეთი სიფრთხილე და ახალ-ახალ გზას ეძებდა გამგებელთან დასაახლოებლად.

და აი, ის საბედისწერო დღეც დადგა. ერთ-ერთ სოფელში ადმინისტრაციული საკითხის გადაწყვეტას ერთად დაესწრნენ და მასპინძელთა მიპატიჟებაზე უარი ვეღარ თქვეს.

რაიონის არაოფიციალური მმართველი სუფრასთან ოფიციალური გამგებლისაგან მოშორებით მჯდარა, მაგრამ იქიდანაც ეკეკლუცებოდა და სმაში იწვევდა. მანდილოსანთა მიმართ გამორჩეული ყურადღებიანობით ცნობილი ზაურ მანიჟაშვილი უნებლიეთ აჰყოლია და... შინ უგუნებოდ მისულა. შემდეგ დაბალი სიცხე და მოთენთილობა რამდენიმე დღეს გაგრძელებულა...

ცირა მანიჟაშვილი (ზაურ მანიჟაშვილის ქვრივი): „ზაურის ავადმყოფობა არავის გვახსოვს. ენერგიული იყო. ყველაზე ადრე იღვიძებდა, მამულში მიდიოდა სამსახურში წასვლამდე. თავისი ხელით სხლავდა ვაზს, ათასი ძირი ატამი გვედგა, იმასაც თვითონ უვლიდა.

შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ თვითონ ოპოზიციურმა პარტიებმა წარადგინეს მისი კანდიდატურა გურჯაანის გამგებლის თანამდებობაზე. ძნელი დრო იყო. ქაოსი და ომი აფხაზეთში. წუწუნი არ უყვარდა, მაგრამ ვგრძნობდი, ძალიან უჭირდა. ერთხელ წამოსცდა კიდეც — ახლავე გავანებებდი თავს ამ ჯოჯოხეთს, მაგრამ სახელმწიფო მეთაურს როგორ ვუღალატოო. ჩვენი ვაჟის ქორწილში ერთი ჭიქა ღვინო დალია და სამსახურში წავიდა. ბოდიში მოიხადა, ბევრი საქმე მაქვსო...

ერთი-ორჯერ დამირეკეს, „მაგ ქალს უფრთხილდეს, მოერიდოსო". ამან აინუნშიც არ ჩააგდო გაფრთხილება, მაგასთან რა საერთო მაქვსო. იმ დღეს, როცა უგუნებოდ დაბრუნდა, თქვა, სტუმრები გვყავდა და „ყურყურაზე" რესტორანში ვჭამეთ პურიო. შემდეგ გავიგე, თურმე იქ რამდენიმე ქალიც ყოფილა, რომლებიც საეჭვოდ ტრიალებდნენ ზაურის გარშემო. მანამდე ერთმა ზაურის ახლობელმა მითხრა, თბილისში ვიყავით, ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი (ის ახლა ცოცხალი აღარ არის) გავაფრთხილეთ, რაიონში ავისმომასწავებელი დაძაბულობაა და რაიმე უნდა იღონოთ-მეთქი. შეგვპირდა. იქიდან რომ გამოვედით, კარებში მადლენა შეგვეფეთა, უცნაურად გადმოგვხედა. ჩემი ქმრის სიკვდილში მადლენას პირდაპირ ვერ დავადანაშაულებ, სხვაც ბევრი მტრობდა ბოლო ჟამს. შეიძლება სულ სხვისი ხელითაც მოიშორეს. საერთოდ, ბევრი უცნაურობა და ბევრი საეჭვო რამ ვნახე ზაურის გარდაცვალებამდე. მაშინ ყველაფერ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, ბევრი რამ ახლა ამოტივტივდა გონებაში.

ბოჭორიშვილმა, პალატაში შემოსვლის უმალ ჰკითხა ზაურს — კონდიციონერი გაქვს კაბინეტშიო. დადებითი პასუხი რომ მიიღო, უცებ დაასკვნა — ეგ ავადმყოფობა „ლეგიონელოზიაო". ერთ-ერთი ქვეყნის ჯარში მთელი ლეგიონი ამოწყვეტილა კონდიციონერში ჩაბუდებული ვირუსით და ამიტომ დაერქვა ეს სახელიო.

შვიდი ექიმი მორიგეობდა ავადმყოფთან. როცა წნევაც დაეცა, ისიც თქვეს, ტიფის მონათესავეა ეს სნეულება, შავი ჭირი ხომ არ ყოფილა სადმეო. დილიდან ავადმყოფობისა, შევარდნაძის გამოგზავნილი კაცი მაქსიმალურად გვეხმარებოდა. ყოველდღე დეფიციტური წამლები მოჰქონდა. ბოლოს შვეიცარიიდან ჩამოტანილი წამლებით მოვიდა, მაგრამ ცოცხალს ვეღარ მოუსწრო. მას შემდეგ აღარავის გახსენებია ჩვენი ოჯახი."

საგულისხმოა, რომ მანიჟაშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ავადმყოფობის მსგავსი სიმპტომებით, მისი მოადგილე ილია ნიბლაძე მოათავსეს რაიონის საავადმყოფოში. მკურნალობამ მაშინ შედეგი გამოიღო, სამსახურშიც გავიდა, თუმცა მალე გულის შეტევით გარდაიცვალა...

რაიონის გამგებლად კი ახალი კაცი დაინიშნა, რომელთანაც მადლენას კვლავ პრეტენზიები გაუჩნდა. თუმცა ეს დაპირისპირება დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მადლენამ რაღაც „იყნოსა" და თავის ბანდიანად გაუჩინარდა.

ხუთი-ექვსი წლის წინ ის მოსკოვში დააკავეს თანამზრახველებთან ერთად. ბრალდებად რამდენიმე ათეული მკვლელობა, ყაჩაღობა და სხვა მძიმე დანაშაულობები წაუყენეს. თუმცა მისი გასამართლების შესახებ ცნობას ჩვენამდე ჯერ არ მიუღწევია.

ალბათ ესეცაა მიზეზი იმისა, რომ კახეთში ჯერაც ერიდებიან მადლენას სახელის ხსენებას.

როგორც ჩანს (და ამას ხმამაღლაც ამბობენ), კვლავაც შესაძლებლად თვლიან მადლენას ხელახლა აღზევებას...

P.S. მადლენას სურათის მოპოვება ნამდვილად გვინდოდა, მაგრამ ვისთანაც გვეგონა, მოვიკვლევდით, ყველამ იუარა — სად მე და სად მადლენა, განა ასეთი წარმოდგენის ხართ ჩემზეო?! — არადა, დრო იყო, ბევრი ედგა გვერდში...

ფირუზ ფურცელაძე

კანონიერი ქურდის დაკრძალვაზე...

სამწუხაროდ, კანონიერი ქურდები დასავლეთ საქართველოში იმდენად პოპულარულნი არიან, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებმაც კი მოინდომეს შავი სამყაროს ამ წოდების მოპოვება.

ერთხელ ქალბატონები (თუ შეიძლება ასე ენოდოს) კანონიერ ქურდს სწვევიან და უთქვამთ: ათი წელი გვაქვს მოხდილი, შეცდომა არაფერი დაგვიშვია, ავტორიტეტი მოვიხვეჭეთ და ამიტომ ახლა ქურდობა გვინდაო. კანონიერი ქურდი დაფიქრებულა, პასუხი გასჭირვებია. ასეთი ამბავი აქამდე არც გაეგონა. დიდხანს უფიქრია და უკითხავს დედაკაცებისთვის, — ქალწულები თუ ხართო. თავი გაუქნევიათ, — არაო. აბა, გაუპატიურებული ქურდი ჯერ არავის უნახავსო, — დაუსვამს ბეჭედი და სტუმრები შინიდან გაუყრია.

საუბედუროდ, ეს ამბავი სინამდვილეა.

ქურდების „გმირულ" საქმეებზე ლაპარაკობენ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ უფროსებიც, მოხუცებიც კი და, ვფიქრობ, მისი სათავე გაჭირვებაა. დღეს თუ სადმე ვინმეზე გაიგონებთ — მდიდარია და კარგად ცხოვრობსო, ეს პიროვნება ან ქურდი აღმოჩნდება, ან პოლიციელი, ან კიდევ მთავრობის წარმომადგენელი. მთავრობაში შესვლა, უბრალო ხალხის აზრით, პრაქტიკულად შეუძლებელია და ასეცაა. პოლიციელობაზე უმრავლესობა თავს იკავებს — ახლა არც იქ იშოვება ფულიო. თანაც რა დასამალია და, პოლიციას საზოგადოებაში სახელი აქვს გატეხილი, რჩება მხოლოდ ერთი, — ქურდობა (სხვა სამსახური, ფაქტობრივად, არ არსებობს). თუმცა, არც ეს არის ადვილი, რადგან მათი კანონებით ამ ტიტულს რომ მიაღწიო, საპყრობილის ტანჯვა-წამება გამოვლილი უნდა გქონდეს და თანაც უშეცდომოდ.

ლიხსიქით ყოფნისას (წარმოშობით იქაური გახლავართ), ქურდებზე აუგი ვთქვი, მაგრამ უმალვე მივხვდი, შევცდი — სახე დაემანჭათ. სტუმარი ვიყავი და ვერაფერი მაკადრეს, თორემ სხვას ალბათ გაგლეჯდნენ. დავრწმუნდი, ქურდი მათთვის მიწიერი ღმერთია. დავეჭვდი, იქნებ ვცდები და, ესენი მართლები არიან-მეთქი. ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ძალზე დამწუხრებული მეზობელი მოგვიახლოვდა და საჯაროზე შეყრილებს გვითხრა: ბიძაჩემი გარდაიცვალაო. აუჰო, — ავიშვიშდა ყველა. როცა ცოტა დამშვიდდნენ, ვკითხე ჭირისუფალს, — რა ხნის იყო ბიძათქვენი-მეთქი — 70-ს გადაცილებულიო. როგორი ბიძაა? — ჩავეძიე. ყვავი ჩხიკვის მამიდა აღმოჩნდა.

ამდენი ახალგაზრდა განყდა და ასეთი შეცხადება არ მინახავს-მეთქი, — წამცდა ფიქრი. მაგრამ ყველაფერი უმალ გაირკვა: გარდაცვლილი კანონიერი ქურდი ყოფილა. დაკრძალვის დღეს, მეზობლები დაირაზმნენ, საუკეთესო ავტომანქანები ინათხოვრეს — უბრალოთი ხომ არ წავალთო. შემომთავაზეს — წამოდი და ნახავ, რა ხალხიც არისო. უყოყმანოდ დავთანხმდი. მშვიდობიანად ჩავედით იმ ქალაქში, სადაც, მათი თქმით, სამასი სული ქურდი ცხოვრობს. დაკრძალვაზე ყველას ზომაზე მეტად დამწუხრებული სახე ჰქონდა. ალბათ, ავტორიტეტი იყო და გული წყდებათ-მეთქი, ვიფიქრე. სახლთან ახლოს ჩერდებოდა ძვირფასი უცხოური ავტომანქანა, გადმოდიოდნენ მოტირლები... მეზობლები მიხსნიდნენ: „აგი რუსეთში ბანკებსა და დიდ საწარმოებს აკონტროლებს". მოვიდოდა კიდევ ვიღაც — „აგი პოლონეთში მუშაობს", კიდევ გაჩერდებოდა მანქანა და მეზობლები ატეხდნენ ჩურჩულს, „შეხედე, შეხედე, ვინ მევიდა!" — ვინაა? ვიკითხავდი — აგი გერმანიაში (ან რომელიმე ქალაქს იტყოდნენ) დიდ ბიზნესშიაო და ა.შ. მეზობლების ნათქვამი სარწმუნოდ მეჩვენებოდა, რადგან თითქმის არც ერთი ავტომანქანა არ ყოფილა უბრალო.

გამოსვენებამდე სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა, რომ დიდი სისწრაფით, ძვირფასმა ავტომობილმა ჩაგვიქროლა და შიგ მყოფმა დაიძახა, — „მევიდაო". ამის თქმა და, ეს ჰალსტუხიანი და შავ კოსტიუმიანი „ჭირისუფლები" უმალ ჩასხდნენ მანქანებში და იქაურობას გაერიდნენ.

ვინ მევიდა ამისთანა, ასე რო დააფრთხო ეს ლომივით ხალხიო, — იკითხა ჩემმა მეგობარმა. პასუხი ვერავინ გასცა. შესრულდა სამი საათი, არავინაა. დარჩა მიცვალებული დოუსაფლავებელიო, — წაიტუტუნა ვიღაც უცხომ. არ იყო ნახევარი საათი გასული, რომ ავტომანქანებმა ისევ იწყეს მოსვლა, გადმოდიოდნენ თვალებანთლებული, სახეგათეთრებული მამაკაცები და არც ერთ მათგანს ის ტრაგიკული იერი აღარ ჰქონდა. გაირკვა, თურმე ჰეროინი „მევიდა", რომელსაც ასე დიდხანს ელოდნენ, ამიტომ ყოფილან „ლომკაში", კოლეგას კი არ გლოვობდნენ...

წესის მიხედვით, ქურდს ქურდები მიასვენებენ საფლავამდე. როგორც იქნა, დავკრძალეთ. ბიძაგარდაცვლილ მეზობელს ქურდებმა გაჭირვების დროს დახმარება აღუთქვეს და დაუმატეს, — შენი გულისათვის სიცოცხლეს არ დავიშურებთო. ამანაც შეიფერა და მიცვალებულის მოსახსენიებლად იქვე, ახლოს, რესტორანში შეგვიპატიჟა. ჭირის სუფრა ქეიფად იქცა. გარეთ გამოსულებს ავტომანქანა აღარ დაგვხვდა — მოეპარათ. ახლავე ქურდებს შევაწუხებ და უცბად გვიპოვიანო, — ბიძამკვდარმა.

შევაწუხეთ ერთი, მაგაზე როგორ გაწყენინებთო, გვითხრა და მას შემდეგ თვალი აღარ მოგვიკრავს. დახმარება ვთხოვეთ იმას, ვინც ვითომ რუსეთს აკონტროლებდა, ბიძაშენის ხათრით მაგას კი არა, ნემსი რომ დაგკარგვოდა, იმას გიპოვიო, დაგვაიმედა და მეორე დღეს ამა და ამ ადგილზე მოდითო, დაგვიბარა. ერთი-ორი საათის დაგვიანებით ჩამოიარა და გაიკვირვა, როგორ, არ მოუყვანიათ? მაგათ დედას ვუტირებო, — მანქანის კარი მიიჯახუნა, წავიდა და წავიდა. ახლა შველა ვთხოვეთ იმას, ვინც თითქოსდა ნახევარ ევროპას აკონტროლებდა. თუმცა გაგვაფრთხილეს — ასეთ წვრილმანზე ამხელა კაცს როგორ აწუხებთო. ჩვენ მაინც ვცადეთ და არც მისგან მიგვიღია უარი. საღამოს გვიან დაგვიბარა, — მოდით და დაგხვდებათო. მივედით და დილამდე ველოდეთ. შემთხვევით გამოიარა. ჩვენი ნათხოვარი აღარც ახსოვდა, მაგრამ არ შეიმჩნია — მოგიყვანენ, ნუ გეშინიათო, დაგვაიმედა.

დიდხანს ველოდეთ, არავინ გამოჩნდა. ასე გაგრძელდა ძებნა-მუდარა. დაგვიბარებდნენ და ჩვენც კარგად ვიცოდით, ლოდინი მოგვიწევდა. ამიტომ პრესით დატვირთულები მივდიოდით. ამდენი ცხოვრებაში არ მიკითხავსო, — ამბობდა მეზობელი. მერე გამოჩნდებოდა ვიღაც და გაოცებული გვეტყოდა, — „რავა, კიდევ არ მოუყვანიათ, როგორ ბედავენ, მაგათი ასე და ისეო" და წავიდოდა, დაიკარგებოდა. მოპარული ავტომანქანის პატრონი დაჟინებით ითხოვდა თავისას. პოლიციაში ჩივილით იმუქრებოდა. ერთხელაც, ქურდების დანიშნულ ადგილზე მივედით და ჩვეულებისამებრ ლოდინს შევუდექით. ამ დროისათვის უკვე იმდენი ნაცნობი და მეგობარი გაგვიჩნდა, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვესალმებოდნენ და ამბავს გვეკითხებოდნენ. ერთმა გულშემატკივარმა (იქ გაცნობილმა) ჩამოიარა, ჩაგვიჯდა ავტომანქანაში და ტრაბახი დაიწყო — „ახლა ჩამევედი პანკისიდან, ოცი გრამი ჰეროინი ჩამევიტანე და ქურდებს დოურიგეო". ტრაბახს რომ მორჩა, ისე, სხვათა შორის იკითხა, შენი ავტომანქანა ჭაობისფერი „ბმვ" ხომ არ არისო, კიო, სხარტად უპასუხა პატრონმა.

გაირკვა, რომ „ბმვ" პანკისში ჩეჩნებისთვის ჰეროინზე გაუცვლიათ. ამ ნარკომანის თქმით, ვისი იმედიც გვქონდა, რომ ავტომანქანას დაგვაბრუნებინებდა, არც ერთი ქურდი არ იყო, უბრალოდ, ქურდობაზე თავს დებდნენ და ჩვეულებრივი ნარკომანები გახლდნენ. თურმე, დასაფლავებაზე ჩვენსავით, ნათხოვარი ძვირფასი ავტომანქანებით მოსულან. მაგათი აფერისტი დედა ვატირეო, დაუმატა ჩვენმა ნარკომანმა.

როგორც გავიგეთ, ჩვენი ამბავი პოლიციამაც შეიტყო. მაგრამ ყური არ შეიბერტყა — რად უნდა ზედმეტი საქმე, თანაც გაუხსნელი. პანკისიდან ჩამოსული მორფინისტის თქმით, ჩეჩენი ლტოლვილები ჰეროინში გაცვლილი ძვირფასი ავტომანქანებით დადიან და ბედს აღარ უჩივიან.

ვაი, ჩვენს პატრონს, სხვას ვერ იტყვი ვერაფერს. ისე შეგვაყვარეს „კაიფად" წოდებული ვაი-სიამოვნება, რომ ჩვენიანს ვპარავთ და გადამთიელს ვამდიდრებთ...

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამას ხედავენ და არავინ არაფრის გამოსწორებას არ ცდილობს.

შეიძლება ვცდები და, ასეცაა საჭირო?

თამაზ ხაბეიშვილი

თვითმფრინავის ტრაპიდან ნილს ბორი „ჟუჟუნა წვიმით" გვემშვიდობებოდა....

1961 წლის 9 მაისს მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში შეიკრიბნენ მოსკოველი აკადემიკოსები: ლანდაუ, ალიხანოვი, კიკოინი... მათ შორის იყო ქართველი აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი.

ცნობილი ფიზიკოსები ცოტანი არიან, დიდი ფიზიკოსები — უფრო ცოტანი, გენიალურად კი სამს ასახელებენ: ნიუტონს, აინშტაინს და ბორს. მე-20 საუკუნის ერთი გენიოსი აინშტაინი ასე აფასებდა მეორე გენიოსის — ბორის პოსტულატებს: „...გენიალური ინტუიციისა და განსაკუთრებული ალღოს მქონე ადამიანმა — ბორმა იპოვა უმთავრესი კანონები სპექტრული ხაზებისა და ატომთა ელექტრონული გარსებისათვის. ეს არის აზრის უმაღლესი მუსიკალობა". ბორის ყოველი აზრის მოძრაობის ამოცნობის მსურველი ბევრი იყო, ამიტომაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე აკონტროლებდნენ. მიუხედავად ამისა, 1961 წლის 12 მაისს საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის (ან განსვენებული) აკად. ელეფთერ ანდრონიკაშვილის ძალისხმევითა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ოფიციალური მოწვევით ნილს ბორმა ფეხი საქართველოს მიწაზეც დადგა. ეს ფაქტი, ბუნებრივია, უჩვეულო მოვლენა იქნებოდა არა მხოლოდ მაშინდელი საბჭოთა, არამედ საზღვარგარეთის ელიტარული საზოგადოებისთვისაც. წელს ნილს ბორს დაბადებიდან 115 წელი უსრულდება, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილს — 90 წელი. ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა ეს ფაქტი, რადგან თაობები იცვლებიან...

თემის სრულყოფილად შესწავლის მიზნით დავუკავშირდით ან განსვენებული აკადემიკოსის ვახტანგ პარკაძის ქალიშვილს მანანა პარკაძეს, აკადემიკოს პავლე ასათიანს და პოეტ შოთა ხოდაშნელს. მათ მომაწოდეს მასალები და მოვლენის ამსახველი ფოტოები, რისთვისაც ვუხდი მადლობას.

ახლა წერილის თავში გამოტანილი „1961 წლის 9 მაისით" გავაგრძელოთ თემა...

აკადემიკოსები სულმოუთქმელად ელოდნენ ნილს ბორისა და მისი ოჯახის მოსკოვში ჩამობრძანებას (ცნობისათვის: ნილს ბორის მეუღლე მარგარეტ ბორი ევროპაში ულამაზეს ქალად იყო აღიარებული. ხოლო ვაჟიშვილმა ოგე ბორმა მოგვიანებით აგრეთვე მიიღო ნობელის პრემია. ბორის ძმა — ჰაროლდი იყო გამოჩენილი მათემატიკოსი მთელ ევროპაში).

ელეფთერ ანდრონიკაშვილის მოგონებიდან:

...Я подошел к профессору Бору и пригласил посетить Грузию.

– Вам будет интересно сравнить возможности развития науки в двух странах - социалистической и капиталистической, население которых одинаково по численности, – сказал я.

Бор поблагодарив, отказался.

Выгрузка богажа – достаточно длительная процедура и у меня было время повторить моё приглашение госпоже Нильс Бор, Оге Бору, а также его супруге... привел в пользу грузин новые аргументы.

И вдруг... В Грузинскую Академию Наук приходит телеграмма из иностранного отдела АН СССР: „Срочно шлите приглашение профессору Нильсу Бору с супругой, профессору Оге Бору с супругой быть гостями Вашей Академии с 14 до 17 мая..."

Я кинулся к президенту Мусхелишвили, потом на телеграф. „Срочная. Москва. Гостиница Украина, профессору Нильсу Бору. Академия Наук Грузии приглашает вас с супругой, профессора Оге Бора с супругой быть гостями. Мусхелишвили. Андроникашвили"

აკადემიკოს ვახტანგ პარკაძის მოგონებიდან: „ტრაპზე ბორის გამოჩენას ქართველი ფიზიკოსები ტაშის გრიალით შეხვდნენ. აეროპორტში აზრის გამოთქმაზე ბორმა უარი თქვა: ვნახოთ, დავათვალიერებ და შემდეგ მოგახსენებთო.

13 მაისს უნივერსიტეტის ფიზიკის ლაბორატორიაში ტევა აღარ იყო. ბორის გამოჩენას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ნილს ბორმა თავისი მოხსენება დინჯად დაიწყო ინგლისურ ენაზე...

„მთელი მსოფლიო ოცნებობს კავკასიის სილამაზის ხილვაზე. იციან, რომ ქართველებს პოეზია უყვართ. ახლა ჩვენ ისიც ვიცით, რომ საქართველოში მეცნიერება დიდად განვითარებულია... მე მოხარული ვარ, რომ საქართველოში ვიმყოფები და ვგრძნობ მის სითბოს. საქართველო მშვენიერი და რომანტიკული ქვეყანაა. ჩვენს პატარა დანიაში ვცდილობ მჭიდრო ურთიერთობა ვიქონიო საბჭოთა კავშირთან".



სტუმრად ქართველებთან

ნილს ბორის შემდგომ კათედრაზე ასულა მისი ვაჟი ოგე. მას რუსულ ენაზე გაუკეთებია მოხსენება ატომის ბირთვის აქტუალურ საკითხებზე. მოხსენების შემდეგ ბორის ოჯახი გულთბილად გამოსთხოვებია აუდიტორიას. კვანტური ოპტიკის ლაბორატორიის შემოვლის დროს მისთვის უთხოვიათ სამახსოვროდ დაეწერა რაიმე წინასწარ გამზადებულ, ჩარჩოში ჩასმულ დაფაზე. ბორს ცოტა ხანს უფიქრია, შემდეგ მეუღლესთან უთათბირია და ლათინურად დაუწერია ძველი ინდური აფორიზმი: „წინააღმდეგობა უარყოფას არ ნიშნავს, იგი მხოლოდ დამატებაა".

ოგე ბორის მეუღლე — მარიეტა ბორს ფიზიკა ნაკლებად აინტერესებდა, სამაგიეროდ, ბევრ კითხვას იძლეოდა ქართული ხელოვნების ირგვლივ. განსაკუთრებით აინტერესებდა ქართული სალამური, რომელიც მისთვის შემდგომ უჩუქებია ბატონ ვახტანგ პარკაძეს. სამაგიეროდ, ქ-ნ მარიეტას გამოუგზავნია დანიური სალამური, რომელიც ახლაც ინახება პარკაძეების ოჯახში.

საღამოს ნილს ბორი დასწრებია თბილისის ოპერის თეატრში ბალეტ „ოტელოს", რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა ცეკვის ჯადოქარი — ვახტანგ ჭაბუკიანი. მეორე დღეს თურმე ოგე ბორი ჰყვებოდა: „მამას მთელი ღამე არ ეძინა. ოთახში დადიოდა და ლაპარაკობდა: ეს რა ვნახეთ, პირველად ამ პატარა ქვეყანაში დაიწერა ბალეტი შექსპირის ოტელოზე და არანაკლებ განსაცვიფრებელია ოტელოს როლის შემსრულებლის ცეკვაო".

ბორზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია კახეთში — იყალთოსა და შუამთაში მოგზაურობას. იუბილესთან დაკავშირებით გარეთ გამოშლილი და მოზეიმე ხალხი თურმე ბორებს ღვინის თასებით სუფრიდან სუფრაზე ეპატიჟებოდა. ბორი მერე გაოცებული იყო, რომ ევროპაში პროვინციად მიჩნეულ ადგილას, ხალხს არამცთუ გაეგონა მისი გვარი, არამედ ზეპირად იცოდნენ მისი პოსტულატებიც. პოეტ შოთა ხოდაშნელის მიერ მოწვდილი ინფორმაციით, იყალთოში ულამაზესი მაისის კამკამა, ლურჯი ცის ქვეშ ბორი აქაურ გლეხებს მიუპატიჟებიათ სუფრაზე, რომელთაც ის-ის იყო დაემთავრებინათ ვენახის მეორედ შეწამვლა. ცნობილ მომღერალს და თამადას გიორგი ჯაჯალაშვილს ბორისთვის სიტყვებით: ეს იმ პატარა ქვეყანას გაუმარჯოს, რომელმაც შენისთანა დიდი კაცი წარმოშვაო, ღვინით სავსე თასი მიუწვდია. ბორს, რომელიც ღვინოს საერთოდ არ სვამდა, კმაყოფილებით შეუსვამს ეს სადღეგრძელო.

ბატონ ელეფთერ ანდრონიკაშვილს შუამთაში წარმოთქმული ბორის სადღეგრძელოც დაუფიქსირებია:

Совершая сегодня это путешествие, я любовался вашими зелеными живописными долинами и возвышающимися над ними снежными вершинами. Большое удоволствие доставили мне также ваши замечательные, удивительно мелодичные песни. Эта природа и песни напомнили мне далекую Шотландию, которая, по-моему очень похоже на ваш край...

...Ваша красивая природа, ваши замечательные песни говорят нам о том, что вы в числе тех людей, кто будет сражаться с драконами созданными человеческими руками"...

15 მაისს ბორის ოჯახი თვითმფრინავით მოსკოვში გაფრინდა. უკანასკნელ წუთებში ბორს განუცხადებია: „მე თქვენთან საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა ალბათ აღარ მიწერია. მაგრამ როდესაც ჩემი შვილი — ოგე მეორედ ჩამოვა მოსკოვში, პირველი, სადაც იგი გაემგზავრება, საქართველო იქნება".

ნილს და მარგარეტ ბორები თვითმფრინავში ყველაზე ბოლოს ასულან.

„ტრაპის ზედა ბაქანზე ნილს ბორმა ხელი ასწია. მთელი აეროდრომი გაირინდა. საკმაოდ გასაგონად ორივემ დაიწყეს სიმღერა: „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა..." იქ მყოფი ხალხი თანდათან აჰყვა ამ სიმღერას. ამ პროცესში ბორი ხელის მოძრაობით ლოტბარობდა კიდეც", — იგონებს აკადემიკოსი ვახტანგ პარკაძე.

ნილს ბორს გარდაცვალებამდე ხშირი მიმოწერა ჰქონდა ბატონ ელეფთერ ანდრონიკაშვილთან. წერილებს სწერდა აგრეთვე ვახტანგ პარკაძეს და სხვა ქართველ მეცნიერებს.

გთავაზობთ ელეფთერ ანდრონიკაშვილის მიმართ გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილს, რომელიც სპეციალურად ჩვენი გაზეთისთვის ინგლისურიდან თარგმნა აკადემიკოსმა პავლე ასათიანმა:

„ძვირფასო პროფესორო ანდრონიკაშვილო, ჩემს მეუღლეს, ოგეს, მარიეტას და მე გვსურს გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება ყველა იმ სიკეთისა და სტუმართმოყვარეობისთვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენდამი საქართველოში ჩვენი ვიზიტის დროს. იგი იყო ძალიან სასიამოვნო თითოეული ჩვენგანისთვის. ჩვენ დიდხანს ვიყავით ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში მოწვეული იქნებით კოპენჰაგენში.

აღფრთოვანებული ვართ თქვენი ქვეყნის სილამაზით, უძველესი ძეგლებით და ხალხის სულით. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო შეხვედრა ლამაზ ტყეში (იგულისხმება შუამთა, იყალთო — ნ.ტ.). აქ ჩვენ აღფრთოვანებული დავრჩით გულითადი და პოეტური ატმოსფეროთი, რაც ასე ჰარმონიულად იყო შერწყმული სიმღერასა და ცეკვასთან. გიგზავნით თქვენ და თქვენს ძმას (ცნობილი მწერალი ირაკლი ანდრონიკოვი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში — ნ.ტ.) ულრმეს მადლობას და კეთილ სურვილებს.

თქვენი ნილს ბორი".

ნინო ტარყაშვილი

თბილისელებმა ლივერპულში ლენონის ბიძა დაათვრეს...

თბილისელი „ბითლზები" — „ბლიცი"

მარცხნიდან: ვალერი კოჩაროვი (ჯონ ლენონი), იური ოსიპოვი (რინგო სტარი); ზემოთ: ზაზა სახამბერიძე (ჯორჯ ჰარისონი) და ვალერი ამბარცუმიანი (პოლ მაკარტნი)

ალბათ ამქვეყნად არსად არავის არ გამოსჩენია იმდენი მიმბაძველი და მიმდევარი, რამდენიც ლეგენდარულ ინგლისურ ჯგუფს — THE BEATLES. ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, ჯორჯ ჰარისონი და რინგო სტარი — ეს ოთხი ლივერპულელი ბიჭი 60-80 წ. თაობას არა მარტო ცხოვრების წესისა და ქცევის ნორმების, მეტყველების, მიხრა-მოხრისა და ჩაცმის სტილის დამდგენად მოევლინა. საოცარია, მაგრამ ჯგუფის დაშლის შემდეგ არათუ იკლო მათმა პოპულარობამ, პირიქით, „ბითლომანია" უფრო მასშტაბური ხდებოდა და იგი მთელ დედამიწას მოიცავდა. „ბითლზ-შოკიდან" ჯერაც ვერ გამოსულა ხალხი. ოთხმა ინგლისელმა უცნაურმა ბიჭმა, რომელთაგან არც ერთს არ ჰქონდა საშუალო მუსიკალური განათლებაც კი, შეძლო ის, რაც არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება — THE BEATLES იქცა ყველა დროის საუკეთესო საესტრადო ჯგუფად.

„ბითლზს" ჯერ კიდევ არსებობისას გამოუჩნდნენ ორეულები. ვინც გიტარაზე ორიოდ აკორდს იღებდა, ყველა ლენონ-მაკარტნის ბაძავდა. „ბითლზ-ვირუსმა", მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგები ამ უწყინარ გენიოსებს უზნეო და უზრდელ ახალგაზრდებად სახავდნენ, საბჭოთა კავშირშიც შემოაღწია და მალე ეპიდემიად იქცა. აკრძალულ ხილს უფრო და უფრო მეტი ხალხი ეტანებოდა და კომუნისტებს ისღა დარჩენოდათ, დამარცხებულად ეცნოთ თავი „ბითლზთან" ბრძოლაში და ეღიარებინათ ბიჭების ყოვლისშემძლეობა. საბჭოთა კავშირშიც გამოჩნდნენ საყელოზე შავარშიაშემოვლებული, ნაცრისფერ კოსტიუმებსა და წვრილ პალსტუხებში გამოწყობილი ოთხეულები, მათ შორის საქართველოშიც.

70-იანი წლებიდან ლივერპულში სათავე დაედო ტრადიციულ კონკურს-ფესტივალს, სადაც საუკეთესო „ბითლზ-ორეულები" გამოდიოდნენ. ფესტივალის გრან-პრი მუდმივად ინგლისურენოვანი ქვეყნის ჯგუფებს ერგებოდათ ხოლმე — ინგლისურ, ირლანდიურ, შოტლანდიურ, ამერიკულ, ავსტრალიურ და კანადურ ჯგუფებს. მხოლოდ ერთხელ დაირღვა ეს კანონზომიერება. მხოლოდ ერთხელ, 1989 წელს გრან-პრი „ბითლზის" საუკეთესო გარეგნული და მუსიკალური მიბაძვისთვის მიენიჭა თბილისურ ანსამბლ „ბლიცს". ამის შემდეგ წყალი კვლავ კალაპოტში ჩადგა — დღემდე ინგლისურენოვან ჯგუფებს ვერავინ ეცილება პირველობას.

„ბლიცი" ნიჭიერი მუსიკოსისა და მხატვრის ვალერი კოჩაროვის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ანსამბლმა 80-იან წლებში არაერთი წევრი გამოიცვალა. 1989 წელს კი უკვე საბოლოო სახით ჩამოყალიბებული „ბლიცი" მოულოდნელად ლივერპულის ფესტივალზე მიიწვიეს. მაშინ ნაკლებად ცნობილი პიროვნებების, ვახტანგ რჩეულიშვილისა და ცეზარ შევარდნაძის შემწეობით ჯგუფი გაემგზავრა „ბითლზის" სამშობლოში. ვალერი კოჩაროვი (ჯონ ლენონი), ვალერი ამბარცუმიანი (პოლ მაკარტნი), ზაზა სახამბერიძე (ჯორჯ ჰარისონი), ბიჭიკო ოსიპოვი (რინგო სთარი) და ელო შახბაიანი (კლავიშებიანი ინსტრუმენტი). აი, ამ შემადგენლობით ჩავიდა „თბილისური ბითლზი" ლივერპულში, სადაც მას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული უამრავი ანსამბლი დახვდა. ფესტივალი 10 დღეს გაგრძელდა და ყველასთვის მოულოდნელად, გრან-პრი ერგო ჯგუფს, რომლის არსებობაც მანამდე არავის გაეგონა. არადა, ჟიური შეუვალი და მეტად სოლიდური იყო. მასში იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც სხვაზე უკეთ იცოდნენ „ბითლზის" ავ-კარგი, ოთხეულის მუსიკაცა და გარეგნობაც, სცენაზე ქცევის სტილი. ჟიურის წევრი იყო ჩარლზ ლენონი, ჯონის ალალი ბიძა, „ბითლზის" ყოფილი წევრი პიტ ბესტი, რომელიც ჯგუფში რინგო სთარის მოსვლამდე უკრავდა დასარტყმელ ინსტრუმენტებზე, დენი ლეინი, რომელიც ექს-ბითლზ პოლ მაკარტნის ანსამბლ „უინგსში" უკრავდა. ტონი შერდანი, ლენონთან და მაკარტნისთან ერთად უკრავდა „ბითლზის" დაარსებამდე...

იმდენად მოულოდნელი იყო „ბლიცის" წარმატება, რომ ინგლისელებმა თბილისელი ბიჭები გრან-პრის არ დააჯერეს და ხუთივეს ლივერპულის საპატიო მოქალაქეობა უბოძეს.

ზაზა სახამბერიძე: გრან-პრი და ლივერპულის საპატიო მოქალაქეობა კი არა, „ბითლზის" სამშობლოში ჩასვლა და დაკვრა გვეოცნებებოდა. საბჭოური ანსამბლისგან ასეთ წარმატებას არავინ მოელოდა, ყველაზე მეტად კი ის გაგვიკვირდა — რა მაგრები ვყოფილვართ და, თურმე არ გვცოდნია. არადა, სხვა ჯგუფებს რომ დავანებოთ თავი, მაშინ ფესტივალზე გამოვიდა ჯგუფი RORI STORM BAHD. სწორედ აქ უკრავდა რინგო სთარი, ვიდრე „ბითლზში" მიიწვევდნენ. ლივერპულში გავიცანით პიტ ბესტი, ლენონის ბიძა ჩარლზი, „ბითლზის" პირველი მენეჯერი ალან უილიამსი. ჩვენზე ბედნიერი არავინ იყო. „ბითლზის" სამყაროში ვცხოვრობდით რამდენიმე დღე, წამოსვლა აღარ გვინდოდა.

იური ოსიპოვი: როგორი გრძნობა მქონდა, იცი? აი, მილიონს რომ მოიგებ და შინ მიხვალ, იქ კი დედა დაგხვდება და გეტყვის, შვილო, შენმა ლატარიის ბილეთმა მილიონი მოიგოო — უცებ 2 მილიონის პატრონი გახდები. აი, ასეთი რაღაც იყო გრან-პრი და უცებ, მოქალაქეობა. რაც მთავარია, ისეთი ხალხი გავიცანი, ვინც წლების მანძილზე ოთხეულის გარშემო ტრიალებდა. პიტ ბესტის დედა მეუბნებოდა, ნახე, რა მაგარი ბიჭი მყავს, მაკარტნიმ მოაშორებინა ლენონს ჯგუფიდან, რომ არ დაეჩრდილა, თორემ „ბითლზში" უნდა ყოფილიყოო. ბესტის დედამ ორი საათი ლანძღა მაკარტნი. ჯონ ლენონის ბიძასთან ჩარლზ ლენონთან ერთად ვიქეიფეთ, ალან უილიამსი კი „ბითლზის" პირველი მენეჯერი, მართლა ცოცხალი ლეგენდა გამოდგა. „ალკოგოლიკი" იყო, ახლაც უყვარს „ჩარტყმა". ბევრი ვისკი დავლიეთ ერთად. როცა შეზარხოშდა, გული გადამიხსნა. ჯიბიდან ამოიღო რაღაც ფურცელი და მკითხა, იცი, ეს რა არისო? თურმე უილიამსმა ჰამბურგში მაკარტნის 5 ფუნტი სტერლინგი ასესხა და ხელწერილი გამოართვა: „მე, პოლ მაკარტნი (ჯეიმს) ვიძლევი პირობას, რომ ინგლისში ჩასვლისთანავე მივცემ 5 ფუნტს მისტერ ალან უილიამსს". დღემდე ჯიბით დააქვს ეს წერილი უილიამსს. უკვე მოგვიანებით, ასე, 25 წლის შემდეგ, „უინგსის" კონცერტის შემდეგ ალბერ-დოკში მისულა უილიამსი მაკარტნისთან და ეს ხელწერილი უჩვენებია. მაკარტნის ჰგონებია, მართლა ვალს მთხოვსო და უხეშად უთქვამს, ჩემს ადვოკატს დაელაპარაკე და ერთად გაარკვიეთო.

უილიამსმა გაიხსენა ის პერიოდი, როცა მის კლუბში, 1959 წელს უკრავდნენ ბიჭები და გასამრჯელოდ თითო ჰამბურგერსა და კოკა-კოლას სჯერდებოდნენ. თურმე, უილიამსს რომ გაუჭირდა, აუქციონზე მაკარტნის ნახმარი ჯინსი გამოიტანა გასაყიდად, მაგრამ საწყალს არ გაუმართლა — ვერ დაამტკიცა, რომ მართლა პოლის ჯინსი იყო, მაკარტნიმაც უარყო, ჩემი ნაქონი არ არისო.

ამის შემდეგ „ბლიცი" კიდევ სამჯერ მიიწვიეს ლივერპულის ფესტივალზე 1990-92 წლებში, როგორც საპატიო წარმომადგენელი. დღემდე აქვთ უფლება, ისარგებლონ საპატიო მოქალაქის პრივილეგიებით — არ გადაიხადონ დღგ, მიიღონ უფასო განათლება მათთვის უფასოა სამედიცინო მომსახურება და ადვოკატი. არის სხვა შეღავათები.

იმავე წელს, 1989-ში, „ბლიცმა" იმღერა იმ დარბაზში, იმ სტადიონზე, სადაც თავის დროზე „ბითლზი" იდგა. ეს არის პატარა დარბაზი „კავერნ" — მღვიმე. ამ სცენაზე გამოსვლა მხოლოდ გამონაკლისებს ხვდებათ ხოლმე წილად, მათ შორის, თბილისური ჯგუფიც აღმოჩნდა.

ლევან ჯავახიშვილი

7 ივლისს ბათუმში ოფიციალური ვიზიტით შემოვიდა საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სუსტი ნაძირალის SUFFREN-ი.

უცხოური სამხედრო გემები ავქმედე უფრო ფოთის პორტს სწვევიათ ხოლმე, ბათუმში კი მეგობრული ვიზიტები მხოლოდ რამდენიმე მაათგანი იყო ნამყოფი.

დასავლეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტების შავი ზღვის აკვატორიით დაინტერესებას ბოლო წლებში ეროვნული მიზეზი აქვს, რის შესახებაც „კვირის პალიტრა“ უკვე წერდა. «ცივი ომის» დროს მოსკოვი ცხელის არ აყოფინებდა დასავლეთის სამხედრო არმადებს შავი ზღვის მირითად აკვატორიაში — ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით სამჭიმა შავი ზღვის ფლტი ბაზირებდა, დასავლეთით — სოციალისტური ბულგარეთის და რუმინეთის, თურქეთს კი ზღვის მხოლოდ სამხრეთი რაიონები რჩებოდა.

დღეს შავი ზღვის ახეთი გადანაწილება ისტორიას ჩაბარდა. თურქეთის შავი ზღვის ფლტის ყოველწლიურად ძლიერდება და მალე შეიძლება შავ ზღვაზე უყილაზე ძლიერადაც ჩაითვალოს.

მაგრამ, როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, დასავლეთის ბევრ ნამყვან ქვეყანას სურდა ის სურს, რომ თურქეთი შავ ზღვაში უსაფრთხებიყოფა, ერთადერთ მპრძანებელად დარჩეს.

ამიტომაც თავად აშშ-ის ხმელთაშუა ზღვაში დისლოცირებული მე-6 ფლოტი სისტემატურად გზგანის თავის ხომალდებს შავ ზღვაში.

ფრანგი სტუმარი ბათუმის პორტში

NATO-ს შემყრე, არც საფრანგეთს სურს ჩაბრძოლის ვინმეს, მით უმეტეს, რომ 1918-21 წლებში ფრანგული სამხედრო გემები საქართველოს სანაპიროს ხშირად სტუმრობდნენ.

ბათუმის ფრანგმა „სტუმარმა“ სამხედრო ატაშეებისთვის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რომ ვიზიტის წინ ქართველ მასპინძლებში ადგილდებული ინფორმაციით თანახმად, იგი ბალისტიკური რაკეტებით იყო შეიარაღებული.

არადა, ვინც ცოტათი მაინც იცნობს სამხედრო ჯგუფს, ეცოდინება, რომ ეს სრული უაზრობაა. სინამდვილეში ეს ალ-მონიტორი SUFFREN-ი ბალისტიკური რაკეტებით კი არა, ჩვეულებრივი ზომალღსანინააღმდეგო ფრთოსანი MM38 EXOSET-ებით (4 რაკეტა) არის აღჭურვილი. ეშხს უსტატნოდა ორი 100 ხაზინგიანი ქვემეხი, ასევე ერთი შესვეღლებული MASURCA-ს ტიპის სიხეინჯო რაკეტის გასაშვები დანადგარი და ოთხი 20 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი, ამდენივე საბრძოველო ათარატი.



გარდა ახალი სანღვაო აკვატორიების ათვისებისა, დასავლეთს კიდევ ერთი ინტერესი ამოძრავებს — ანარაში ბეინოს პოლიგონის (რომელიც აქამდე მხოლოდ რუსი სამხედროებიას გამოიყენებდა) გაფართოება, რომელიც უზარმაზარ ფართობს მოიცავს. ამ პოლიგონის ახლის უნდა გაიმართოს NATO-ს სამშვიდობო წვრთნები „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ეგიდით — COOPERATIVE PARTNER-2001.

ეს იქნება NATO-ს პირველი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო-საზღვაო წვრთნები (ტოლოს ბულგარეთის საზღვაო ქვეითთა დესანტის გადმოსხმის ჩათვლით), რომლებიც საქართველოში გაიმართება, მასში ათობით უცხოური სამხედრო ხომალდი მიიღებს მონაწილეობას.

სხვათა შორის, „კვირის პალიტრას“, ერთადერთ საქართველოში, ვარაუდობ, ამ ახალგაზრდ წერილებში ბუღალტერიას, ვარჩენი და წელს უყარიანაშო, ოდესმე. ამიტომაც, ეეცდებით, სრულად გამოვიყენოთ ჩვენი გამოცდილება მომავალი ოპერატიმასშტაბიანი სანღვაო წვრთნების გასაშუქებლად.

NATO თავის „Курск“-ს უშრთხის...

ბარენცის ზღვაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ჩრდილოატანტიკურმა სამხედრო ალიანსმა უფრო სერიოზულად დაინყო ფიქრი იმ საშიშ ოპერაციებზე, რომელიც მაძირული ნაწილებით ზღვის საშიფრო-საზღვაო ფლოტილიამ შეიენირებად გაარიდა თავი ატლანტიკას და ზღვის ფსკერზე დაშენებული წყალქვეშა ნავიდან ექიპაჟი გამოიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ NATO-ს შტაბბინაში ირწმუნებიან, ან საბაშეული ხნავებას არავითარი კავშირი არა აქვს «Курск»-ის ტრაგედიასთანო, ძალიანებრად ჩნდება ეჭვი, რომ დასავლეთი კიდევ ერთხელ აგრძნობინებს მოსკოვს — თვალდაქერ რომ გეთრეთ დამორეს, «Курск»-ის ეკიპაჟის ნაწილს მაინც გადაეარჩენდითო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო კი კვლავ ჯიუტად გაზაგრძობს იმის მტკიცებას, რომ «Курск»-ს რომელიღაც უცხოური ნაღძლევში ნავი შეეჯახა, რომლის ნაღძლევი 8-10 კილომეტრამდე აწევდა. რუსი სამხედროების განცხადებით, ავარიისთანავე, ეელოლატებმა (ხილონმის სახობი ხელანო),«Курск»-ის გარდა, აწვეა ნაც ფიდი სტიკეიც, რომელიც ასევე ფსკერზე ეგდო, მაგრამ სამშველო სამუშაოების დაწყებისთანავე უკვალოდ გაქრა. მოსკოვის აზრით, წყალქვეშა ზეკაეკებზე ზემსვეღლის ის ფაქტიც, რომ «Курск»-ის ეორპუსში ნახვრეტები შიგნითიდან შეზნექილი და დაზიანებულია კოშკურაც.

4 ბრძოლა წმინდად მოიგო ქართველმა ფალავანმა. ფინალში კი ფინელ კრონდალს შეეჭიდა. გადაიღალა ცალხელა კაცი, მაგრამ კრონდალს შავი დღე აყარა, ქულა არ აღებინა, თუმცა ვერც თვითონ მოიგო ვერაფერი. უფრო აქტიური ჩიხლაძე იყო, კრონდალი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა მთელი შეხვედრის მანძილზე, არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ცალხელა გოლიათი — შალვა ჩიხლაძე გახდებოდა, მაგრამ მსაჯებმა ფრედ დამთავრებულ ორთაბრძოლაში ჩემპიონად ფინელი კრონდალი გამოაცხადეს.

მაშინ, საერთოდ, ყველანაირად ცდილობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომ საბჭოთა დელეგაციას რაც შეიძლება ნაკლები მედალი წაეღო შინ, თანაც ოლიმპიადა კაპიტალისტურ ქვეყანაში — ფინეთში გაიმართა. ბინძურ პოლიტიკას უამრავი სპორტსმენის ნიჭი, შესაძლებლობა და მედალი შეეწირა, მათ შორის, ერთ-ერთი პირველი შალვა ჩიხლაძე იყო.

დღეს ბევრს აღარ ახსოვს ძალად გაჩემპიონებული ფინელი კრიონდალი, მაგრამ ახსოვთ შალვა ჩიხლაძე — დღესაც. ჰელსინკის ოლიმპიურ ჩემპიონთა მუზეუმში ოლიმპიელ ჩემპიონთა გვერდითაა გამოფენილი შალვა ჩიხლაძის სურათი და მას აწერია „ცალხელა ჩემპიონი". ცალხელა კაცის ვერცხლის მედალი, სპორტში ყველაზე დიდ გამარჯვებას გაუტოლეს ფინელებმა.

ახოვანი, ლამაზი კაცი იყო შალვა ჩიხლაძე. ულამაზესი ტანი ჰქონდა. ისეთი, ეტალონად რომ მიაჩნდათ და მიაჩნიათ ყოველთვის. მახსოვს, ერთხელ მეგობარს ვესტუმრე შინ, სპორტსმენი იყო, კულტურისტი. კულტურიზმს ხომ ლამაზი ტანის თუ ტანის ლამაზად დაყენების ხელოვნებას უწოდებენ ჩვენში. უამრავი ფოტოსურათი იყო გამოკიდებული კედელზე — კუნთმაგარი, ტანჩამოსხმული ბიჭებისა, მათ შორის შალვა ჩიხლაძის სურათიც შევნიშნე. ეს ვინ არის-მეთქი, ვკითხე. ესო, ალბათ ცნობილი კულტურისტია, ჟურნალიდან ამოჭრილი ფოტოო. კულტურიზმთან საქმე არასდროს ჰქონია შალვა ჩიხლაძეს, უბრალოდ, იმდენად პროპორციული და განვითარებული სხეული ჰქონდა, მისი ფოტოგრაფირებული სხეული დღესაც ცნობილ კულტურისტებში ეშლება ხალხს.

კი, უამრავი შემთხვევა ყოფილა, მსოფლიოს სპორტის ისტორიაში, ფიზიკურად ნაკლულ ადამიანებს დიდი გამარჯვება რომ მოეპოვებინათ. მაგრამ ცალხელა ფალავანი მხოლოდ ქართველი იყო — შალვა ჩიხლაძე.

ლევან ჯავახიშვილი

რომში დაუდგეს ძეგლი

ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის 30-იანი წლებიდან იბერიას განაგებდა მეფე ფარსმან II. ეს ის დროა, როდესაც რომის ძლევამოსილი იმპერია და პართია ერთმანეთში არკვევენ კავკასიაში ჰეგემონის ვინაობას, ხან ხმლით და ხან მოლაპარაკებით. მაგრამ, რაც მთავარია, არც იბერიელებსა და არც კოლხებს არავინ ეკითხება აზრს.

ოთხმოციოდე წლით ადრე ფარსმან I-მა კი სცადა ამ დავაში აქტიურად ჩარევა — სომხეთის დედაქალაქი არტაქსატაც აიღო და იქ თავისი ძმა — მითრიდატეც გაამეფა, მაგრამ ვეღარც რომაელთა და პართიელთა შემოტევებს გაუძლო და საკუთარი ინტრიგების ქსელშიც თვითონვე გაიხლართა — ჯერ მითრიდატე მოაკვლევინა თავის ძეს — რადამისტს, შემდეგ კი თვით საკუთარი შვილი, რადამისტიც არ დაინდო ეჭვით შეპყრობილმა — იბერიის ტახტსაც მეცილებაო.

თავისი საუკუნით უფროსი სეხნიისაგან სრულიად განსხვავებული ყოფილა ფარსმან II, რომელიც არა ძმისა და შვილის მკვლელის სამარცხვინო სახელით, არამედ „ფარსმან ქველის" თიკუნით შემორჩა ჩვენს ისტორიას. მან პირდაპირ განუცხადა პართიასა და რომს თავისი პრეტენზიები ამიერკავკასიაში პირველობის შესახებ და არა მხოლოდ განუცხადა, არამედ ჩრდილოეთ კავკასიიდან ალანები იმოიხმარა და რომისა და პართიის სამფლობელოები დალაშქრა.

ჩვენი წელთაღრიცხვის 138 წლამდე, როდესაც იმპერატორი ადრიანე გარდაიცვალა, არ მოასვენა რომაელები ფარსმანმა — არც ეძმო და არც ემონა. კავკასიაში ბატონობას მიჩვეული ადრიანეც არაფერს უთმობდა „სადღაც ქვეყნის დასალიერს" მებრძოლ გმირ მეფეს.

მხოლოდ შემდეგი იმპერატორი — ანტონიუს პიუსი (138-161წ.წ.) მიხვდა, რომ მოწინააღმდეგე შეუპოვარი და ძლიერი იყო და გაუთავებელ ბრძოლას დათმობა ამჯობინა — იბერიის ტერიტორიული პრეტენზიები დაკმაყოფილებული იქნა და ფარსმან II ოჯახითა და იბერთა დიდებულების მრავალრიცხოვანი ამალით რომში იქნა მიწვეული.

ფარსმან II-ისთვის ხალხის მიერ შერქმეული ზედწოდება — „ქველი", რომშიც ცნობილი იყო და „მსოფლიო ქალაქის" ყველა მოქალაქეც ინტერესითა და აღფრთოვანებით ხვდებოდა შორეული პატარა ქვეყნის გმირ მეფესა და მის თანამებრძოლებს, რომლებმაც წინააღმდეგობა გაბედეს და არათუ გაბედეს — თავისას მიაღწიეს კიდეც და ახლა როგორც სწორი სწორთან, ისე მოდიოდა სტუმრად დიდი რომის დიდ იმპერატორთან.

როგორც იშვიათ და საპატივცემულო სტუმარს შეეფერება, ანტონიუს პიუსმაც გრანდიოზული თვალსასეირო თეატრალური და სპორტული სანახაობები მოუწყო ძვირფას სტუმარს. განსაკუთრებით ათლეტთა გამოსვლა ემაყებოდა იმპერატორს — მოჯირითენი, მობურთალნი თუ მოისარნი მართლაც საოცარი ოსტატობითა და სისწრაფით ხიბლავდნენ სტადიონზე შეკრებილ რომაელ დიდებულებსა თუ მოქალაქეებს. იმპერატორი მალიმალ გადახედავდა ხოლმე ფარსმანს და მის სახეზე მხოლოდ შემწყნარებლურ ღიმილს ხედავდა და არა გაოცებასა და აღტაცებას.

საისტორიო გადმოცემა ამბობს, რომ ტურნირში ქართველმა დიდებულებმაც მიიღეს მონაწილეობა და ბევრს ვერაფერს გახდნენ საგანგებოდ ნავარჯიშევ რომაელ სპორტსმენებთან (თანამედროვე სპორტის ენით რომ ვთქვათ, — „მასპინძლებს საკუთარ მოედანზე თამაში" არ გასჭირვებიათ).

იმპერატორმა იბერიელებს ჰკითხა, კიდევ ვინმე ხომ არ იასპარეზებსო და როდესაც თვით ფარსმანმა გამოთქვა „პროფესიონალებთან" ჭიდილის სურვილი — გაოცებული დარჩა. გმირობა გმირობად და უბირ ხალხთან თუნდაც სახელგანთქმულ ათლეტებთან, დამარცხება როგორც სტუმრის, ასევე მასპინძელი გვირგვინოსნის შერცხვენას ნიშნავდა ამაყ ქვეშევრდომთა წინაშე...

ფარსმანი ასპარეზზე გავიდა... იჯირითა, იმშვილდოსნა და იბურთავა.

მაყურებელს სულ გადაავიწყდა რომაული ტრადიცია, როდესაც მოწონებას ხელის აწევით აღნიშნავდნენ, ხოლო არმოწონებას — დუმილით. ანტიკური სტადიონის ტრიბუნები აღტაცებულმა ყიჟინამ გააყრუა.

აღფრთოვანებულმა იმპერატორმა ამხედრებული ფარსმან ქველის ძეგლის სასწრაფოდ გამოქანდაკება და მარსის მოედანზე დადგმა ბრძანა.

მისი განკარგულება ჯერ კიდევ სტუმართა წამოსვლამდე შესრულდა — ქართველმა მეფემ საკუთარი თვალით იხილა ძეგლი.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც რომში უცხოელის ძეგლი დაიდგა.

სამწუხაროდ, ამ ქანდაკებამ დროთა ქარტეხილს ვერ გაუძლო, მაგრამ ისტორიამ მაინც შემოინახა ტრიუმფატორი ქართველი მეფის ამბავი.

ზვიად გურული

— იქნებ განგვიმარტოთ — დაინტერესებულა პატრიარქი

90-იან წლებში საქართველოში ჩამოსულა ერთი ინგლისელი ჟურნალისტი, რომელიც ჩვენი ქვეყნიდან გამგზავრების წინ შეხვედრია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს. „თქვენ საოცარი, უცნაური, ძლიერი ერი ხართ, დღეგრძელი იქნებით", — დაახლოებით ამ სიტყვებით მიუმართავს მას პატრიარქისათვის. „მადლობას მოგახსენებთ სასიამოვნო სიტყვებისთვის. მაგრამ რატომ ფიქრობთ ასე, იქნებ განგვიმარტოთ", — დაინტერესებულა პატრიარქი. პასუხად ჟურნალისტს ორი მაგალითი მოუყვანია და დაუმატებია: სად აღარა ვარ ნამყოფი, მოვლილი მაქვს ევროპა თუ ამერიკა. ასეთ ფაქტებს კი არსად შევსწრებივარო.

პირველ მაგალითად ეს მოუხსენიებია: ვუკვირდები იმ მოზარდების ჩვეულებებს, საზოგადოებრივ წესრიგს რომ არღვევენო. თბილისში ხშირად შემიმჩნევია ტრამვაი-ტროლეიბუსს ჩამოკიდებული ბავშვები. ერთხელაც დავინახე — გადმოხტა 2 ასეთი მოზარდი დაკავებული „პოსტიდან", გადაირბინეს გზის მეორე მხარეს, გადმოიყვანეს ხნიერი, მოლასლასე მოხუცი ტრამვაის გაჩერებამდე, მერე გაკაფეს ხალხით გაჭედილი ტრამვაის შესასვლელი, მოუნახეს მოხუცს ტრამვაიში დასაჯდომი ადგილი, თვითონ ისევე უკან გამოიკვლიეს გზა, შეახტნენ უკვე დაძრულ ტრამვაის და ასე ჩამოკიდებულები გაემგზავრნენ. გამიკვირდა, ამ უწესრიგო ბავშვებში ასეთი კეთილშობილება რომ დავინახეო...

და მეორე მაგალითი: ციხეში სიკვდილმისჯილის საკანში მოვითხოვე შესვლა. კარი გაიღო და პატიმარმა დაინახა, ქალბატონი ვიყავი. გულგადაღეღილი იჯდა, მაშინვე პერანგის ღილებს სტაცა ხელი და შეკვრა დაიწყო... გამაოგნა...

წარმოიდგინეთ კაცი ყოველ წუთს გარდაუვალ სიკვდილს ელოდა და კარგმა ჩვევამ არ მისცა უფლება უცხო ქალთან მიუღებელი ფორმით საუბრისა. ეს უდავოდ ეროვნული ხასიათიდან გამომდინარეაო...

როგორც ჩანს, პატრიარქს თავისი სულიერი თვალითაც მოეწონა ეს მაგალითები და ორჯერ-სამჯერ მოჰყვა სხვადასხვა შეხვედრაზე.

ღირსება პიროვნებას ჩვევაში უჯდება და სადაც არ ელოდები, იქაც მჟღავნდება...

ნინო ტარყაშვილი

თარაზულად:

3

ნიჟარაში მოხვედრილი უცხო სხეული

5

თბილისის მთავარი პროსპექტი

9

პლანეტას 29%

10

დედამიწის უმცლეს მწვერვალის პირველი დამპყრობი

11

ქსოვილი

16

17

პირველი სამეცნიერო ხარისხი

18

ჰაერით გაბერილი აჭკოვანი პარკი

19

წყალსალებაი

20

სოფლის მეურნეობის დიპლომირებული სპეციალისტი

24

ცალკეული ციხისიმაგრე საბრძოლო გამაგრებათა სისტემაში

25

სამზადისი კონცერტისათვის

26

წონის ერთეული ძველად

29

ჯიში

30

ხანგრძლივი უნვიმობა და დიდი სიცხე

33

საკეტი

34


წარმომავლობა

35

მოფარდაგება

შვეულად:

1

ხილი მაგიდაზე

2

სათამაშო, რომელმაც მთელი მსოფლიო დაიპყრო

3

ინდური კანაფისგან მიღებული პროდუქტი

4

მტაცებელი ძუძუმწოვარი

6

ძლიერი გატაცება

7

აერის მიზანი

8

ღვინის სპირტი

12

მარადმწვანე ხე

13

ნაოსნობა

14

საზოგადოებაში მიღებული ყოფაქცევის წეს-ჩვეულებანი

15

სამხრეთ და აღმ. აფრიკის ძირითადი მოსახლე XIX საუკუნემდე

21


წიგნის კაზმვისას გამოყენებული ერთ-ერთი მასალა

22

მონყობილობა გადასატანი აპარატების ქსელში ჩასართავად

23

მცირე ზომის მხატვრული ნანარმოები, გამორჩეული ფაქიზი შესრულებით

27

ფეხის საყრდენი

28

ხეხილი

31

ჭურჭელი

32

დეპარდიე კეროლ ბუკეტ მიმართ



კროსვორდი შედგინა რამაზ ალანიამ

„ქვირის პალიტრა“ №36
კროსვორდის პასუხები:
თარაზულად: 7. სიმპოზიუმი; 8. ნატურშტრი; 10. მეზღვარი; 11. მეკინინე; 12. იდილია; 15. მასპინძლობა; 18. ტრასა; 19. შეკუმშვა; 20. პლენთოსი; 21. ხარორეზი; 25. სპორა; 26. წნევა; 27. იტუმინატორი; 30. ანგარა; 33. ნუტრია; 34. ბაილერი; 35. ფიზეკლტურა; 36. ასტრონავტი.

შვეულად: 1. დისპატჩერი; 2. დომინო; 3. „ოლეგა“; 4. მაურიკ; 5. ამინდი; 6. სატრიალებელი; 9. მაიონეზი; 13. სამართებელი; 14. აბრეშუმაბრეშუმი; 16. მაშალი; 17. ალპინისტი; 22. ინოკონტრია; 23. სპასიელი; 24. ავტომატიკა; 28. ამპლუა; 29. გუმანი; 31. ამარი; 32. ჯეკსი.

მეტალოპლასტიკის კარები და შუშაბრტები ევროპიდან

WINHOUS®

ფასი 800$-დან

შპს „აეროკონრი"
თბილისი, ფიფიების ქ. №6

229-40-30

მედი

MEDI

ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა

- მეთოდიკა პლეზმატიზმების შესწორებით სისხლის ლაზერით
- პორპონენტული ბიოპლასტიკა
- ვიდეოპანორამული მკურნალობა

ტელეფონით რეგისტრაცია 25-02-02 22-50-43

ელიტარული ბინები განვადებით

- აარაორდნალური არქიტექტურა
- გარანტირები ფულად ზენაზარებზე
- დაცვის თანამედროვეთ სისტემები
- ბინების ინდივიდუალური გეგმარება
- სავეხიო კომფორტი

საბორტედო-სამშენებლო კომპანია „ჯეჯილი"
ფილიალების 47-ა, ტელ: 984661
E-mail: axis@mmc.net.ge

(25 34 34

თეატრალური ფოიე

ანაბანისნერგება თვეთვეთის ლენსაწერი გაკეთილი

ბინები

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიმდინარე (1 სართული), სარდაფით, ვისოსნები, ორსაფეხა კარებით, ავეჯისა და ტექნიკის სადგომი, პლუსიანი ტელეფონი, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. ბის: წყალტუბოს ქ. მე-4 ტრასა, მე-3 ხაზი, ტელ: 34-52-34

საბურთალოზე 3 ოთახიანი, ავეჯიანი, ევროდამუშავებული ბინა 4(8), ტელეფონით, ტრასის, კარით, თერმოქუხით, სარდაფით, აზრ სადგომით. ბის: ბესიკისეული 16 კორპ. 1 სად., ბინა №10. ტელ: 71-52-40

მიწაყიდნის ქუჩაზე, N-ბის მ-ნ ოთახიანი (3+1), ახალტიპიანი პროექტით, მაღალკეთილშენი, ევროპული ხის ტკლეული, ლუქსით, ვისოსნებით, რკინის კარით, ოთხი სართულით, ზემოქმედი ფანჯრით, ჩაშენილი ტიპის ავეჯით, ოთხი ცალი მაღალი ბუნებრივზე გაბმული სათოფურით. საკუთარი ინდივიდუალური გათბობის სისტემით. ფასი 42.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

დეპუტატთა ქუჩაზე(ნაძალადევის მეტრო სადგურის მიმდებარედ) 4 სართულიანი, 8 სართულები, რკინის კარით, კონდიციონერის სადარბაზოშია. ფართი – 254 კვმ, დაიშლება ოთხსართულიან სახლზე. საწყისი ფასი 18.000$. ტელ: 32-52-85; 899 50-69-68

სამშენებლო ფირმა ოთხკუთხა ფილტრის ბამბიანის მასალით, მდ. ლიახის პირას, 800 კვმ მიწის ფართით, ზუზუროსა და ტალღური. სახლი ორ-ჩარის კარით და ორი სარდაფით. სამსონი ეზო და ტრანსპორტი – უპრობლემოდ. ფასი 3.500$. ტელ: 30-30-16

მაღნისთვის რაიონში, ორწყნაღში 2000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. ხიხინი

2 სართულიანი ახალი ჯუნგლები, ეზოთი, შუაში და ტელეფონით. ბის: მთა წერეთელის ქ. №5 ტელ: 38-22-38

ავჭალაში საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურჯანში, სახლის დაწერილი მშენებლობით. 1 სართული ამჟამადაა ხელის ასაღებად, 11-ზე ფილა დგას. ფართი 200 კვმ. დაწერილი. ბინის ფასი 800 კვმ. სახლ 500$ ტ. 23-07-65; 877 43-32-33

საგურამოში 2 სართულიანი, ეკონომური დიზაინის, ახალშენებული სახლი, შუადღე ფერთ, ცივი და ცხელი წყლით, ტელეფონით. ტელ: 899 57-52-71

2 სართულიანი სახლი საგურამოში, პრეტენზიული დიზაინის, სამგანი ოთახი, წყლით, გაზიფიცირებული, სახლი – 360 კვმ, 1700 კვ მიწის ნაკვეთი. დეტალები ხელთაა. ბის: მარკნისელის №32. ფოტო. ტელ: 95-15-56

ვაშლიჯვარში 2 სართულიანი კახტიპური სახლი, ფილი ვერანდით, ფიზრული ეზოთი, სარაჟი, ეკონომის ხიხტეგით, სარდაფით, თონით, შუადღე ფერთ და წყლით, 1300 კვმ ხეხილიანი ეზოთი. ტელ: 98-89-48

ჟილეტა

ნეგნი სადარბაზო დიაგონ თეკლე ჯიღაური ბინა №3 ნაპოვნი დანაკარგია. უპოვნი ხალხს ვთხოვ.

ტკიცენი – შენც სატკბო ძამიკი ბორიკო ჯიღაური

ძეთევზე მაჩაბელ-წერეთელს ეულიკეი

80 წელის ოფლიანს

ნეგნი სადარბაზო ფეხით. გისურვებთ ჯანმრთელობას, შენგენ ყველა სიხარულის (ერეკლე ბოდგერ ლიანას). ნეგნ ყოველთვის გვახსოვს, რომ... ადგილს გალია სულ სხვა არის, ვიდ ზეზეულ ალ სპეციალ

ლიზიას მალე გვიქნება ნეგნი სამოცი ათასიანი აყვავებულ-ვაშლიანეულ-ბერტყლიანეულ დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ნეგნი ტკბილი დედაც!

გვანცასთან ერთ მოსაგონარ შეხვედრამდის ან ტკბილ წერილამდის, საკუთარი თავის ერთგული ალბომის ფურცელი

03.09.2000

ნეგნი ჯიღაური ლიზიას

ნეგნი სადარბაზო ფეხით. ნეგნ ხალხს ვხვეწებით, უნდაღეთ ცეილმობილებს, მერე ხილეულეც ვინდებს სილეულეზე სილეულე მოდით ერთხელ ოთახს ვერაფერი ბრიანდება შენზეც ალბათ თოკი ვერ ეხერხებათ, ნეგნ ცხოვრებას, – ცოტა ბევრ სიცარელეა, ჯობდეც ორ 80 წლის ჯიღაურ ქალს ერთად ოთახს ვიქირავებდით ნეგნ ხალხს ვთხოვ, რომ ეს ნეგნ ნეგნ ნეგნ



საერთაშორისო რომინგი 300
დეპოზიტი (საერთაშორისო კავშირის ჩათვლით):

საერთაშორისო კავშირი 100
დეპოზიტი:

ზეკსი/მონაცემთა გადაცემა 130
თითოეული ბერვის ჩართვის ფასი:

ხმოვანი ფოსტა 0,288
ჩართვა უფასოა წუთობრივი გადასახადი:

მოკლე შეტყობინებები 0,06
ჩართვა უფასოა ერთი შეტყობინების ფასი:

თქვენი ქსელი ჯოსელი

*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. ხაინფორმაციო ცენტრი 928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეიმს ბელუში — ოპტიმიზმის გაკვეთილები

ერთხელ ჯეიმსს ჰკითხეს — დაასახელე სამი ადამიანი, რომელთაც უკაცრიელ კუნძულზე წაიყვანდიო. ჯონ კენდის — იგი გაგვამხიარულებდა, მაიკლ ჯორდანს და სინდი კროუფორდსო, — დაუფიქრებლად მიუგო მსახიობმა. მართლაც, კარგი არჩევანია: ცნობილი კომიკოსი — კარგი განწყობილებისთვის, გოლიათი კალათბურთელი — შემთხვევით გამოჩენილი კანიბალების შესაშინებლად. მომხიბლავი სინდის ფუნქცია, ცოტა არ იყოს, გაურკვეველია!

მაგრამ თავი დავანებოთ ჭორაობას და მოვუსმინოთ ჯეიმს ბელუშს.

— სანამ სახელს გავითქვამდი, მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. ვსწავლობდი და თან სახლებს ვღებავდი. კოლეჯის დამთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე, კვირაში 136 დოლარს ვიღებდი. საკმარისი იყო ბინის ქირის გადასახდელად. თანაც... ყოველ ექვს თვეში ბანკებს ვძარცვავდი... რაღა თქმა უნდა, პოლიციამ ვერაფერი დამიმტკიცა... ფული იმდენი ვიშოვე, რომ დღემდე ვერ მოვახერხე დახარჯვა, — ყვება ჯეიმსი და უტიფრად ტყუის, — ბანკებს ვძარცვავდიო. მას, საერთოდ უყვარს ტყუილის მოგონება. რას იზამ. ასეთი ადამიანია. ის კი არა, მის სახელთან დაკავშირებითაც დიდი გაუგებრობაა. „დაბადების მოწმობაში „ჯეიმსი" მიწერია, მაგრამ ყველა ჯიმს მეძახის. რადგანაც ჩემი ჰოროსკოპი მარჩბივია, ორივე სახელზე ვრეაგირებ".

ისე, სჯობს, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ:

მომავალი ხუმარა ამ ქვეყანას 1954 წლის 15 ივნისს, ჩიკაგოში მოევლინა. მისი მშობლები წარმოშობით ალბანელები არიან. მამამ ალბანეთი 16 წლის ასაკში დატოვა, დედა კი ამერიკაში, ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. სამი წლის წინ ჯეიმსმა წინაპართა სამშობლოში იმოგზაურა. „არაერთმნიშვნელოვანი შთაბეჭდილებები მაქვს, — ამბობს მსახიობი, — ამ ქვეყანაში 50 წლის მანძილზე ბატონობდნენ ფაშისტები, თუმცაღა, საკუთარ თავს კომუნისტებს უწოდებდნენ. ისე რომ, ქვეყანა მხოლოდ ახლა სწავლობს სუნთქვას და ფეხზე დადგომას ცდილობს. ალბანეთში მამაჩემსა და ვაჟთან ერთად გავემგზავრე. მამას სამშობლო 62 წელი არ ენახა და, ბუნებრივია, მოგონებები ახრჩობდა. იქიდან დაბრუნების შემდეგ მალე გარდაიცვალა.".

ბელუშების ოჯახში, ჯეიმსის გარდა, კიდევ სამი ბავშვი იზრდებოდა. უფროსი და, მარიანა, პროფესიონალი მედიუმია. უმცროს ძმას, ბილს, თავი არაფრით გამოუჩენია და ახლა ნიუ-იორკში მშვიდად ცხოვრობს, ხოლო ჯეიმსის მეორე ძმას გვერდს ნამდვილად ვერ ავუვლით. მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ გიამბობთ.

მამას ორი რესტორანი ჰქონდა. დილიდან საღამომდე მოუცლელს შვილებისთვის დრო არ ჰყოფნიდა და ჯეიმსი როგორც უნდოდა, ისე დანავარდობდა. თვე ისე არ გავიდოდა, რომ ბელუშების ოჯახს პოლიციელი არ სწვეოდა და არ ეთქვა მშობლებისთვის — ყმაწვილს მიხედეთ, ხულიგნობსო. ბიჭი ჩხუბობდა, ჯიბგირობდა, ფანჯრებს ამსხვრევდა, ნაგვის კონტეინერებს ცეცხლს უკიდებდა... და ალბათ ასრულდებოდა პოლიციელის წინასწარმეტყველება — თქვენი შვილი სიცოცხლეს ციხეში დაასრულებსო, რომ არა სპორტი. ჯეიმს ბელუში „ჩიკაგოს შავი მიმინოების" ცნობილი გუნდის კაპიტანი გახდა, მისი თაოსნობით გუნდმა სტენლის თასიც კი მოიპოვა. დიახ, 70-იანი წლების დასაწყისში იგი ბრწყინვალე ჰოკეისტი იყო!

ჯეიმსის ძმა, ჯონი ბრწყინვალე მუსიკოსი და მსახიობი („ძმები ბლუზები"), ყმაწვილისთვის ერთდროულად სიყვარულის, აღტაცების და შურის ობიექტი იყო. სწორედ ამ გრძნობებმა განაპირობა მისი პროფესიული არჩევანი და ჯეიმსმა ილინოისის უნივერსიტეტის სამსახიობო ოსტატობის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ამ გრძნობებმა მიიყვანა იგი აგრეთვე 1975 წელს ჯონის ტელეშოუში „შაბათ საღამოს", მაგრამ პროდიუსერები ჯეიმსს მხოლოდ მისი სახელოვანი ძმის აჩრდილად მიიჩნევდნენ და სერიოზულ როლებს არ აძლევდნენ. 1982 წელს ჯონი ნარკოტიკებს შეეწირა. ჯეიმსი, რომელმაც ის-ის იყო, წარმატებით დაიწყო კინოში თამაში, დეპრესიაში ჩავარდა და ეკრანს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაუბრუნდა.

ეს პერიოდი, საერთოდ, მძიმე ხანა იყო მის ცხოვრებაში. როცა ტელეშოუში ძმის ნაცვლად თამაშობდა, ეგონა, ჯონთან შედარებით უნიჭო იყო. ამ მძიმე ფიქრებს იგი ალკოჰოლით იხშობდა. ჯეიმსი ცოლმა მიატოვა და შვილი, რობერტიც თან წაიყვანა. მერე კიბოსგან დედა გარდაეცვალა.

მაგრამ ბუნებით ოპტიმისტმა მოახერხა უფსკრულის პირას შეჩერება. შემდეგ თანდათანობით დაიწყო ფილმებში თამაში. ბევრი უღიმღამო სურათის შემდეგ, 80-იან წლებში, მას უკვე იღებენ ისეთ ფილმებში, როგორებიც იყო: „K-9", „წითელი სიცხე", „დირექტორი", „ხუჭუჭა სიუ", „ფილმის უკანასკნელი გმირი"... ეს იყო მსახიობის აღმავლობის ხანა. მალე მეორე ცოლიც შეირთო, ჯენიფერ სლიმანი. მეტიც, კნინობითი კომპლექსი დაძლია, ძმის კვალს გაჰყვა და ცნობილი ბლუზის ჯგუფის The Sacred Heart-ის წევრი გახდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. ეს არის ბელუშის ცხოვრებისეული კრედო.

ახლა ჯეიმსი ცხოვრობს ლოს-ანჯელესში ცოლთან, ვაჟიშვილთან და ერთი წლის ქალიშვილთან ერთად, იგი ბედნიერია, რომ სანდრამ გაშორებიდან 10 წლის თავზე, ბოლოს და ბოლოს, რობერტს მამასთან ცხოვრების უფლება მისცა. „რობერტი ზრდილობიანია, სასაცილო, საყვარელი. იგი ნამდვილი ჯენტლმენია. მასთან ურთიერთობა დამეხმარა საკუთარი თავის შეცნობაში. არადა მეგონა, როცა ჩემთან იცხოვრებდა, ვასწავლიდი, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი. მაგრამ, ბედის ირონიაა ნამდვილად, რომ ახლა ამას იგი მასწავლის," — ამბობს მსახიობი.

რობერტმა სკოლა უკვე დაამთავრა და მუშაობაც დაიწყო ჯეიმსის ახალ ტელე-შოუში.

ჯეიმსი კორესპონდენტებს ინტერვიუზე უარს არ ეუბნება, მაგრამ ჭკვიანურ საუბარს ვერ იტანს. სამაგიეროდ, ჩვეულებრივ შეკითხვებზე სიამოვნებით პასუხობს:

— ჩემი მანკიერი მხარეები? სიგარეტი, გვიან დაწოლის ჩვევა, ტკბილეული, კარტოფილის ჩიპსი... მგონი, ყველა ჩამოვთვალე. წლების განმავლობაში ბევრი მანკიერებისგან გავთავისუფლდი. ესღა შემომრჩა.

— რა გიყვართ?

— გორგოლაჭები, თევზაობა, გოლფი და, საერთოდ, სპორტი, სიგარა, ბლუზი... საჭმელებში — სალათა, ნიწილა...

— ვის მიიჩნევთ მისაბაძად?

— არნოლდ შვარცენეგერს. იგი გულუხვია, კეთილი და კარგი მეოჯახე.

— პოპულარობას როგორ ეგუებით?

— დიდებული რამ არის. შედიხარ რესტორანში ან მიდიხარ სტადიონზე — და ყოველთვის საუკეთესო ადგილს გაძლევენ. სადაც უნდა წავიდე, თავს მარტო არასოდეს ვგრძნობ. მაშინვე გამოჩნდებიან ჩემთან გასაუბრების მსურველები. ჩემი ცხოვრება ისეთი მშვენიერია, როგორიც შეიძლება მხოლოდ ინატრო.

ტვ პარკი №36



უყვარდა ვით ანგ ლამაზად ინუყვარდა...

პარიზის ახლოს, პატარა დასახლება ფოშეროლში ჯო დასენის უფროსი ვაჟი, 20 წლის ჟულიენი, მამას იგონებს. თუმცა მამას სრულებით არ იცნობს. 5 წლის იყო, ჯო რომ გარდაიცვალა, უმცროსი ჯონათანი (ოჯახური ტრადიციის მიხედვით ყოველი ბავშვის სახელი ასო ჯ-ზე უნდა იწყებოდეს) კი — 2 წლისა.

ოთახი სავსეა ჯოს პრიზებით, აფიშებით. ჟულიენმა ზეპირად იცის მამის ჟესტები, სიმღერები, რომლებიც ახლაც, გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ, წარმატებით იყიდება. ქრისტინაც 5 წლის წინ გარდაიცვალა. სწორედ მან შეუნარჩუნა შვილებს მამის მოგონება.

ჯო 1938 წელს დაიბადა ნიუ-იორკში. მამამისი, ჟიული, უნგრულ-რუსული წარმოშობისაა, მაგრამ ამერიკის მოქალაქეა: 1940 წლიდან „მეტრო გოლდვინმაიერში" მუშაობს. ოჯახიც ჰოლივუდში გადაიყვანა. მისი ფილმები სოციალურ პრობლემებს წარმოაჩენს, ჰუმანიტარული იდეებითაა გამსჭვალული. ზოგიერთი ფილმი შედევრადაა აღიარებული. დედა, ავსტრიული წარმოშობის ბეატრის (ბი) ლონერი ცნობილი მევიოლინეა. მისგან ისწავლა ჯომ ნოტები, პიანინოზე, აკორდეონზე, გიტარაზე დაკვრა, სიმღერა.

მას შესანიშნავი, თბილი ხმა ჰქონდა, ბარიტონსა და ბანს შორის. ხელოვანთა შვილის გზაც თითქოს უკვე გაკვალული იყო, ეს გახლდათ მუსიკა, მაგრამ 1951 წელს აგორებული მაკარტიზმის ტალღამ ბრძოლა გამოუცხადა საეჭვო მოქალაქეებს: „კომუნისტური წარმომავლობის" „შავ სიაში" მოხვედრილი ჟიული უმუშევარი დარჩა. იგი საფრანგეთში გაემგზავრა, ცოლ-შვილმა — ვაჟმა და ორმა გოგონამ მოგვიანებით ჩააკითხეს. დამწუხრებული ჯოზეფი პარიზის გარეუბანში აღმოჩნდა, მშობლების განქორწინების შემდეგ კი — შვეიცარიის პანსიონში. კოლეჯის საუკეთესო მოსწავლე და ცნობილი მოჩხუბარი, შვეიცარიაში თავგადაკლულ მოთხილამურედ იქცა.

17 წლისა ბაკალავრი გახდა და მამის გამო შურის საძიებლად ამერიკას მიაშურა. სწავლობდა მიჩიგანის უნივერსიტეტში, ჯიბის ფულს შეხვედრებსა და ქორწილებში სიმღერების შესრულებით შოულობდა. ჯერ მედიცინას ეუფლებოდა, მერე ეთნოლოგიას, 23 წლისამ დიპლომი აიღო.

განათლებული, ჭკვიანი ჯო ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს, რუსულს და სანსკრიტშიც იყო განაფული. მომავალი მრავალ სიკეთეს უქადდა, მაგრამ მაინც მუსიკამ გადასძლია. ყველა მიმართულება ხიბლავდა: ქანთრი, ჯაზი და, განსაკუთრებით, ფოლქსონგი. მაგრამ ერიდებოდა ნამდვილ დარბაზში მსმენელის წინაშე გამოსვლას. მერე თავგადასავლის ძიებაში არიზონას მიაშურა. ექვსი თვე ცხოვრობდა ინდიელთა ჰოპის ტომში. ორი წლის შემდეგ იქ მიღებული ცოდნა სადოქტორო ნაშრომისთვის გამოიყენა.

სამშობლოდ საფრანგეთი აირჩია. შეხვდა მამას, რომელიც ევროპაში აგრძელებდა რეჟისორის კარიერას. ჯოს ნათელი მზერა და საოცრად ხვეული თმა ხიბლავდა მნახველს. ჯომ მამამისის სამ ფილმში ითამაშა. ტიტრებში ნამდვილი სახელით — ჯოზეფით არის მოხსენიებული. ეს ფილმებია:„ის, ვინც უნდა მოკვდეს", „კანონი", განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოშას როლი „ტოპკაპიში".

პარალელურად, მისი რომანტიკული ნოველები დაიბეჭდა ნიუ-იორკისა და ლოს-ანჯელესის მოდურ ჟურნალებში. სიმღერების წერასაც მიჰყო ხელი და ბოლოს და ბოლოს არჩევანიც გააკეთა.

1965 წელს, ერთ მშვენიერ გოგონას ნიცის რესტორანში ყურში უმღერა, გოგონა — მარიზა მასიერა, მოიხიბლა 1,85მ სიმაღლის მშვენიერი ყმაწვილით. მისი სიმღერა მაგნიტოფონზე ჩაიწერა: „ვილაცამ" მოისმინა და ჯოს მაშინვე კონტრაქტი შესთავაზა.

დასენს არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა. მელოდია შესანიშნავად ერწყმოდა პოეზიასა და განწყობას.

ჯოს გარეგნობაშიც საჭირო შტრიხები შეიტანეს — ცისფერი თვალები, ხვეული თმა, მსხვილი ტუჩები, თეთრი კოსტიუმები, ჟაბოიანი პერანგები, ლაქის ფეხსაცმელები, მოოქროვილი ძეწკვები, კოვბოის ქუდები, განუშორებელი ღიმილი... დაიწყო ჯო დასენის თავბრუდამხვევი კარიერა. 1966 წელს მან მარიზა მასიერა ცოლად შეირთო. ისინი წამითაც არ შორდებიან ერთმანეთს. მარიზა მისი სტილისტიცაა, როცა საჭიროა კოსტიუმებსაც ურეცხავს, მძღოლიც (ჯო ამ დროს ჟურნალების კითხვას არჩევს), პარიკმახერიც (ხვეულ თმას უსწორებს), მდივანიც.

1973 წელს დაიბადა პატარა ჯოშუა, რომელმაც მხოლოდ 5 დღე იცოცხლა. უდიდესმა სევდამ შეყვარებულები დააშორა.

განქორწინების შემდეგ, ჯო 70-იანი წლების ყველაზე ცნობილ ვარსკვლავებს შორის მოიხსენიება. მან იპოვა თავისი სტილი ფრანგი კოვბოისა, ქათქათა ღიმილითა და სასიამოვნო სიმღერებით.

1971 წელს, შვეიცარიიდან რომ ბრუნდებოდა, თვითმფრინავში გაიცნო ქალი, რომელიც შემდგომში მისი შვილების დედა გახდა.

მშვენიერი, ქერათმიანი ქრისტინ დელვო შავი სათვალის მიღმა მალავდა ნამტირალევ თვალებს, რადგან სატრფოს დაშორებოდა და ვერ ამჩნევდა, კაცს, რომელიც თვალს არ აშორებდა. მერე კი, იმავე საღამოს, ქუჩაში რომ შეხვდა, მოიხიბლა მისი იუმორით. ერთი წელი ერთმანეთი აღარ უნახავთ. ჯო ტაიტიდან ღია ბარათებს უგზავნის. მერე პარიზის ბარში ხვდებიან ერთმანეთს. ჯო ჯერ კიდევ ცოლიანი იყო და მეუღლისთვის არ ეღალატა...

1978 წლის 14 იანვარს იქორწინეს. დაიწყო არაჩვეულებრივი სიყვარული. ისინი მხოლოდ ერთმანეთისთვის ცოცხლობდნენ. ვისაც კი ისინი ერთად უნახავს, ამბობდნენ, ამგვარ ძლიერ გრძნობაზე ზღაპარშიც არ გვსმენიაო.

ცოლ-ქმარი ერთხანს კოკაინითაც იყო გატაცებული, მაგრამ როგორც კი დაფეხმძიმდა, ქრისტინამ ერთხელ და სამუდამოდ უარყო ეს საშინელი ჩვევა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მაინც გაიბზარა რაღაც...

ძალზე გადატვირთული ცხოვრების და ფეხმძიმობის გამო ქრისტინას აღარ უნდოდა საფრანგეთსა და ბელგიას შორის სირბილი: — ჩვენ ისე გვიყვარდა ერთმანეთი, რომ სულ ბეწვის ხიდზე სიარული გვიწევდაო, — ამბობდა ქრისტინა.

განქორწინებამაც არ დააყოვნა.

ჯომ ბევრი იბრძოლა, ბავშვების აღზრდის უფლების მისაღებად. მერე ტაიტიზე გაემგზავრა. 1980 წლის 20 აგვისტოს, რესტორანში ვახშმობისას, წყნარი ოკეანის ტალღების ყურებაში უეცრად გულის შეტევით გარდაიცვალა. ასე ჩაქრა ირმის ნახტომის ერთი კომეტა.

ქრისტინას კვლავ ბრძოლა მოუწია, რომ მამამთილისგან ბავშვები დაებრუნებინა. კვლავ დავა და სასამართლოში სირბილი...

ქრისტინას სიკვდილამდე უყვარდა ჯო. 1995 წელს თვითონაც გარდაიცვალა.

შვილები ბაბუას ეწვევიან ხოლმე საბერძნეთში. ჟიულის მეორე ცოლი ცნობილი მელანი მერკურია. როგორც ჩანს, ჟულიენსა და ჯონათანსაც შემოქმედებითი კარიერა ელოდებათ.

პარი მატჩი №2675

ჩატომ გაჭირ უცხოური ავტომობილები თბილისის ვიტრინებიდან?

ამ ბოლო ხანს აღსით ბეური შეამჩნევდა, როგორ დაცარიელდა ჩვენი დედაქალაქის ავტომაღაზიები. სხვებისგან მარკეტინგული უცხოური ავტომობილისგან. ამის მიზეზი კი 1999 წლის 5 აგვისტოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს შეგანა გაწლეთ, რის შედეგადაც ოდრე ორჯერ მეტით 5%-ით დაიმატებით ღირებულების გადასახადი 20%-ით ზედეთ, რასაც სავრძნობი დარტყმა მოჰყვა უცხოური საავტომობილო კომპანიების დილერებს და ქვეყნის მოეულებას.

თავად გამსაკუთრ: ოთ 1999 წლის 1 იანვრიდან 5 აგვისტომდე 9.639 ცალი ხალი ავტომობილი გაიყიდა, 31 დეკემბრიდან დღემდე მხოლოდ 1.423 ავტომანქანის რეალიზება. თუ 1999 წლის 1 იანვრიდან 5 აგვისტომდე ამ სფეროდან მიიუღებ

5,6 მლნ ლარი შეიყრა, 31 დეკემბრის შემდეგ ამავე პერიოდში შეგროვდა მხოლოდ 1,5 მლნ შეიყრა.

საერთაშორისო საავტომობილო კომპანიების ოფიციალური დილერების წარმომადგენლებთან საუბრებში ცალსახად დადასტურდა ოფიციალურად, მაგრამ ხალხში ხმა დადის, რომ ეს გადასახადი კოდექსში შეტანილმა ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა ისინი გაყრაყნის პირას მიიყვანა და, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სამ საავტომობილო კომპანიას უკვე დაიხურა კიდეც (საქართველოში ამჟამად ოფიციალურად ცხრა ოფიციალური საავტომობილო ფირმების სალიცენზიებელი ორგანიზაციაა).

პარლამენტარ ვიტალი ხაზარაძის თქმით, 5%-იანი დღეს-ის 20%-მდე გაზრდა საგადაცემო ფონდის მითითებით განხორციელდა; მათ იმედი ჰქონდათ, რომ ეს გაზრდა, საბიუჯეტო შენატანების ოდენობის ზრდის, საბიუჯეტო მოგებაზეც, მაგრამ როგორც ირკვევა, ცვლილების მირითი მოხდა — უკუშედეგი ჩვენს ბელისუფლებას და ამ საავტომობილო კომპანიებს დიდი ფიიანსებით, მაგრამ 20%-იან ფონდს ისე შესაწირირებად ვერავინ საკადრო ფონდის ნებართვა საჭირო.

ეს უკანასკნელი კი დღეისათვის მოითხოვს, არ მოხდეს საგადასახადო პარამეტრის ბის ლიბერალიზება. ამ ბოლო, 9 თვის შედეგებმა კი ეკონომისტები, რომ ოფიციალებია შეუდგიათ დაბეჭდვის სისტემა. უფრო მეტიც, დაბეჭდვის ფორმირების პოლიტიკამ ხალხი ადეკვატირი ნარმოდგა და ნამანაცვალი ყოფნისთვის, — დანამი ბაჭონმა ვიტალიმ და დაამატა, რომ იგი ეთანხმებიან საავტომობილო კომპანიების დისტრიბუტორებს, დანესებულ ფიქსირებული გადასახადები ავტომობილების სიმძლავრეების მიხედვით, რაც ერთ-ნაირ პირობებში ჩააყენებს როგორც ახალი, ისე ძველი ავტომობილების შენატანებს.

„ინტერაუდის" დირექტორის კომპანიის სერტიფიკატის თქმით, ნამდვილი, ანუ ასაკოვანი უცხოური ავტომობილების ინდივიდუალური შემოყვანები სხვადასხვა გზით ამერიკული ავტომანქანების გაცილებით იაფად შემოყვანას. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მათ შეიძინეს ავტომობილი 10.000 დოლარად, საბაჟო ნარედგენენ სხვადასხვა ყალბ საბუთს, რომ გადაიხადეს 2.000 დოლარი და, აქედან გამომდინარე, საბაჟო გადასახადიც ძალიან ცოტა უნდეთ. ახალი ავტომობილების შემთხვევაში ეფიქრებისთვის კი ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, უფრო მეტიც ავტომობილის ღირებულებას ესაჭირო ტრანსპორტირების ხარჯები, საბაჟო მოსმაზრების პროცედები, აქციები, ბი-ტე-ჰი და გადასახდელი თანხა, ყველაფერს ამას მოეუმატით დღე — 20% და საბოლოოდ, მთლიანი თანხა 25%-მდე იზრდ, ანუ ვამთხრის, რომ 10.000 დოლარიანი ღირებულების ავტომობილის უსაბაჟო გადახდილი 2.500-დან 3.000 დოლარამდე.

გალერეი ქონლაც კომპანია „უცხო-ლი-მობრომის" მმართველი დირექტორი ჩენთვის გაუგებარია ფონდის ზომები-ცია. თუ მისი ზომა ხელუხლებელი ნარჩენების გაზრდა, მაშინ ამგვარ რეკომენდაციას არ უნდა იძლეოდეს. ჩემი პირით, ჩვენს ხელისუფლებას უნდა აუხსნას საკალო ფონდს ის უმიშვნი შედეგები, რაც მისმა მოთითებებმა მოგვიყანა და თქვენთვისაც უნდა მეცადინეობის ამ საკითხისადმი სიფრთხილით. რაც შეეხება ამ პრობლემას, რომ ნამდვილ ავტომანქანების შემოშტებები ერთ კონკურენტები არიან, ეს მცდარი აზრია, რადგან ჩვენი სერვის-ცენტრები არენონტების ავტომობილებს და სათადარიგო ნაწილებით ამარაგებენ მთელ ჩაფენაში, ანუ გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ ქონის ძრავის მოეულობის (ეუბერ სანტრმძრავის) მიხედვით. ამით ფიეულვარი პრობლემა მოიხსნება. ვიტეიერი ჩვენც, ქვეყნის ბოუჯეტიც და მომხმარებელიც მაქსიმალურად ისარგებლებ.

მაჟუა ხუციშვილი

პაკისტანელებიც — „ურჩი გადამხდელები"?!

არავის უეცარს გადასახადი ადამიანებისა და განსაკუთრებით კი პაკისტანელს. გადასახადი ამერეულის დღეისდეც პაკისტანში შეიარაღებული ჯარისკაცები სჭირდებათ დასაცავად, ეინიდან ნებადეც გადიდულ პაკისტანელებს დაბითხოვენ — „ძირს გერეალი მუშარაი (მუშარაი ქვეყნის სამხედრო ლიდერი გახლდათ). პოლიციამ ცრემლსადენი ბაზი გამოიყენა, ასზე მეტი პირადენი კი დააპატიმრა. „ჭედ არ ვიხდიო" — ეუბნებიან გადასახადის ცვლილების, რომლებიც საერთაშორისო სადაზღვეო ფირმის მიერ ბოლოს თვეს მოხვეული და 40 დღიან ეიდეთ ეიწრებთ" — იმუქრება პაკისტანის მცირე ბიზნესის ნარმომადგენლთა ასოციაციის თავკაცი ილიას ინაა. როდესაც მარშის გეზიანი პრეეს მუშაკები ხალიჩები ჩუქდა ხელისუფლებას, გამოაცხადა, — ეკონომიკურ სიდუხჭირეს გადიდებული ეიზიტებით და პირეელ რიგში ეკონომიკის ფულეციონირების მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად — გადასახადთა გადაუხდელობას მიაკერო ზეკრა. ეს კი ნამდვილად დიდი პრობლემაა. ქვეყანაში, სადაც 140 მლნ ადამიანი ცხოვრობს, მხოლოდ 14 მლნ ადამიანი (15%) იწყის საშემოსავლო გადასახადს. ბიზნესმენების აზრით, გადასახადები იმდენად მაღალია, რომ უბიიგეს მათ არავთ დამლილ შემოსავალი, არამედ საეროდ არ გადაიხადენ.

ამპობენ, რომ პაკისტანში ეკიდის არსებული ეკონომიკა. საგადასახადო შემოსავლი ქვეყნის შემოსავლების მხოლოდ 11%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით პაკისტანი ერთ-ერთ ყველაზე დაბალ საფეროებზე დგას მსოფლიოში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა დონორი ორგანიზაციები ეარის აცხადებენ პაკისტანისთვის ფულედი დახმარების შეწყვეტაზე, ეიდრე ექ სახელმწიფო სისტემა არ მოწესრიგდება. არადა, ეს დახმარება პირეელ რიგში გადაიხადეს და ჯანდაცვის სფეროში. პაკისტანი ინ ქეინჭერა, რომ 9 თვის შედეგებში ეი ქეინჭერა, რომ ათეცილებელია შეუდგიათ დაბეჭდვის სისტემა. უფრო მეტიც, დაბეჭდვის ფორმირების პოლიტიკამ ხალხი ადეკვატირი ნარმოდგა და ნამანაცვალი ყოფნისთვის, — დანამი ბაჭონმა ვიტალიმ და დაამატა, რომ იგი ეთანხმებიან საავტომობილო კომპანიების დისტრიბუტორებს, დანესებულ ფიქსირებული გადასახადები ავტომობილების სიმძლავრეების მიხედვით, რაც ერთნაირ პირობებში ჩააყენებს როგორც ახალი, ისე ძველი ავტომობილების შენატანებს.

„ინტერაუდის" დირექტორის კომპანიის სერტიფიკატის თქმით, ნამდვილი, ანუ ასაკოვანი უცხოური ავტომობილების ინდივიდუალური შემოყვანები სხვადასხვა გზით ამერიკული ავტომანქანების გაცილებით იაფად შემოყვანას. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მათ შეიძინეს ავტომობილი 10.000 დოლარად, საბაჟო ნარედგენენ სხვადასხვა ყალბ საბუთს, რომ გადაიხადეს 2.000 დოლარი და, აქედან გამომდინარე, საბაჟო გადასახადიც ძალიან ცოტა უნეეთ. ახალი ავტომობილების შემთხვევაში ეიფიქრებისთვის კი ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, უფრო მეტიც ავტომობილის ღირებულებას ესჭირო ტრანსპორტირების ხარეები, საბაჟო მოსმაზრების პროცედები, აქციები, ბი-ტე-ჰი და გადასახდელი თანხა, ყველაფერს ამას მოეუმატით დღე — 20% და საბოლოოდ, მთლიანი თანხა 25%-მდე იზრდ, ანუ ვამთხრის, რომ 10.000 დოლარიანი ღირებულების ავტომობილის უსაბაჟო გადახდილი 2.500-დან 3.000 დოლარამდე.

გალერეი ქონლაც კომპანია „უცხო-ლი-მობრომის" მმართველი დირექტორი ჩენთვის გაუგებარია ფონდის ზომები-ცია. თუ მისი ზომა ხელუხლებელი ნარჩენების გაზრდა, მაშინ ამგვარ რეკომენდაციას არ უნდა იძლეოდეს. ჩემი პირით, ჩვენს ხელისუფლებას უნდა აუხსნას საკალო ფონდს ის უმიშვნი შედეგები, რაც მისმა მოითხებებმა მოგვიყანა და თქვენთვისაც უნდა მეცადინეობის ამ საკითხისადმი სიფრთხილით. რაც შეეხება ამ პრობლემას, რომ ნამდვილ ავტომანქანების შემოშტებები ერთ კონკურენტები არიან, ეს მცდარი აზრია, რადგან ჩვენი სერვის-ცენტრები არენონტების ავტომობილებს და სათადარიგო ნაწილებით ამარაგებენ მთელ ჩაფენაში, ანუ გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ ქონის ძრავის მოეულობის (ეუბერ სანტრმძრავის) მიხედვით. ამით ფიეულვარი პრობლემა მოიხსნება. ვიტეიერი ჩვენც, ქვეყნის ბოუჯეტიც და მომხმარებელიც

მაჟუა ხუციშვილი

ოლარებსაც რეკლამა სჭირდება

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება დიდ სარეკლამო კომპანიის აბარებს, რათა ფულის სიმბოლოში დანერგოს 1 დოლარის ღირებულების მონეტა. ქალალდის კუპიურის ნაცვლად მონეტების გამოყენება ევროპიური თვალსაზრისით ხელსაყრელია, რადგან კომერი დაახლოებით 2 წელნახები ხანგრძლივ კუპიურზე უარის თქმამ შეიძლება ამერიკელების უსიეოლოგიური ბარიერის გადალახვა და ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწევა რეკლამის სააგენტო. ამერიკიდან ამ საქმეზე უკვე 30 მლნ დოლარი დახარჯა.

LIBERTY DOLLAR

იცვითება, მონეტა კი 30 წელინაწილზე მეტხანს ძლება. სოციოლოგთა გამოკვლევის თანახმად, ჩვეულ კუპიურაზე უარის თქმამ შეიძლება ამერიკელების უსიეოლოგიური ბარიერის გადალახვა და ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწევა რეკლამის სააგენტო. ამერიკიდან ამ საქმეზე უკვე 30 მლნ დოლარი დახარჯა.

ეროვნული ბანკის ეროვნული ბანკის

დღეი №31

კითხვა-პასუხი

ლიტერატურის სამხარეთველო ყოველთვიურად თითოეულ სადარბაზოს ახდენილებს 7 ლარს. რისი ეს 7 ლარი და სამხარეთველის გვერდის ეთანხმეთ თუ შეგიძლიათ დაეფიცოთ ხელმძღვანელის მეორე კვირის ხელისანთან, რომელიც ლიფტს მოეშახურება?

მკითხველი

სადარბაზოს მეხორეები შეუძლიათ ხელმეორედ გააფორმონ როგორც თბილელიტეთან, ასეეე. ლიცენზიის მქონე კერძო პირთან. სადარბაზოდან მოკრებილი 7 ლარი ეი თბილელიტეთან გარკვეულ მომსახურებაზე იხარჯება, რაშიც სხეა მომსახურებასთან ერთად შედის ტექტერსონალის პერიოდულად გაგზავნა ლიფტის გამართული მუშაობის შესაზხებლებად.

თბილისის მერიის ეწერეტატიკის სამსახურო

ვარ უსანთლო, I ჯგუფის ინვალიდი, მცირედწონა შვილების დედა ჩემი ქმარი ფსიქიურად დაავადებულია. 14 ლარი ხუნიის გარდა თუ მეკუთვნის დახმარება?

ხაიუნა ასისტენტიანი

თუ ფსიქიურად დაავადებული ქმარს დადგენი აქვს ინვალიდობა და ის შრომისუნარო არია, მაშინ ოქეენ, როგორც ინვალიდებს, უნდა მიმართოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სადაც სახელმწიფო პროგრამით ხორციელდება პრიმიმულუთხოვნილ ინვალიდებზე თანხების გაცემა.

ა. ძებისაშვილი, სოცეკ ზურგსეელეფოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სოციალური ეუზუნგველეფოფის სამსახურის უფროსი

გთხოეთ განგვიმარტოთ, იკურნება თუ არა დაავადება თალასემია და ვის მიემართოთ?

გ. გაბარიშიძე

თალასემია თანდაყოლილი გენეტიკური პათოლოგიაა. იგი სისხლში ჰემოგლობინის სიკარნაბით გამოიხატება, რომლისგანაც პაციენტი სპაოლოგიურად ვერ იკურნება. მკურნალობის შედეგად შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც ხორციელდება მუხანის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში.

გენადი იოსავა, სისხლის გადასხმის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჩემი ბინა ნახევრად მინაშია და საცხოვრებლად უვარგისია. გვერდით კედელ გადის მეზობლის ეზოში, რომლის სახლის კედლადგილ მანძილი 7,5 მეტრია. გთხეევით სავენტილაციოდ ზომის სარკმელი, მაგრამ მეზობლებმა ისევ ამომიშალეს. გთხოეთ განმიმარტოთ, რამდენად მართებულია მათი საქციელი, მით უფრო, რომ ვარ I ჯგუფის ინვალიდი, მარტოხელა მოხუცი?

დ. ტატაშვილი

მეზობლის სახლიდან 7,5 მეტრით დაშორება არ ითვალისწინებს თქვენთვის შეღავათს. მოცემულ შემთხვევაში სარკმლის ამოჭრის უფლება გქეენთან მხოლოდ მას შემდეგ, თუკი მათგან მიიღებთ ნოტარიუსში დამოწმებულ წერილობით თანხმობას.

ადვოკატთა კოლეგია

ამ ბოლო ხანს ვარჯიშის დროს კისრის მოძრაობისას მეცხის ხრჭიალი, რაც წინათ არ შემიეჩნევია. იქნებ განგვიმარტოთ, ხომ არ არის ეს ასაკთან დაკავშირებული?

ჯ. საბაშვილი, თბილისი

ადამიანის თავის ტრიალი დროს, რაც აღენიშნება თავისებური ხრჭიალი კისრის მიდამოში, ეს გახლავთ სპონდილოზის ანუ ხერხემლის ქრონიკული დაავადების გამოვლინება, რაც მარილების დაბინდვით ეთანაედება. ამ დროს ხერხემლასა და ძვლებზე არის მარილის ნაბანაობები, რის გამოც ადამიანს მოძრაობაც ეი უჭირს და სიარულის დროს ტკივილ გრძნობს.

ეკრანი-თეატრეეები

ვარ აფხაზეთის ომის მონაწილე. ეცნობიერ მეუღლის სახელზე გადარიცხეთ ეარები. ვრცელდება თუ არა ომის მონაწილეთათვის ელექტროენერგიის მოხმარებაზე გამოყოფილი შეღავათი ჩემს ოჯახზეც, თუ მე არ ვარ ჩაწერილი იმ სოფელში, სადაც ვცხოვრობ?

მკითხველი

აფხაზეთის ომის მონაწილეებზე ვრცელდება ელექტროენერგიაზე შეღავათი იმ ოჯახებში, სადაც იეი რეგისტრაციაზე ცხოვრობს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქეს ჩაწერის ადგილს, ოღონდ პირიეებამ რეგისტრაციის გაეელი უნდა დადასტუროს თავისი ამქვანიდელი საცხოვრებელი ადგილი. აფხაზეთის ომის მონაწილეს, რომელსაც 70 ნელი არ შესრულებია, თუკი 30 კეატ-ს-ის შეღავათი ეძლეეა, 70 ნელს ზემოთ კი — 50 კეატ-ს-ი. ასევე 50 კეატ-ს-ის შეღავათია გათვალისწინებული ომის ინვალიდებისთვის ასაკის მიუხედავად.

ეი-ე-ეს თელასის იურიდიული განყოფილება

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
9 სექტემბრიდან დაიწყინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შეძენეი კურსი:

აშშ დოლარი	1,9600
გერმანული მარკა	0,8719
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	2.8124
ევრო	1,7052
რუსული რუბლი	0,0710
თურქული ლირა (10.000)	0,0296

ფირმა «ბარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს
იმპორტული მასალით,
საუკეთესო ხარისხით.
გარანტია – 10 წელი
ეის: ნეკალთის ბაგზ. №142, 1-ელი ეიხიდი, ეენრაბ, ეე-3 სართ. ოთახი 78
☎ 34-05-52; 63-05-26;
877-43-05-69

და შპამპაგის
ფირეების
რეპროსრებისა და
პლატინგის
ეიწარმოებლად
ეიწვევთ
რეპროსრებისა და პლატინგის ეიწარმოებლად ეიწვევთ
ეიდეოსტუდია 22
☎99-86-09;
38-37-89

საქართველოს მომაცივრეთა ასოციაცია

გაცნობებთ, რომ 1 სექტემბრიდან მუშაობა განაახლა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო „ეროზიის ერეთელის" დაკვეთით შექმნილმა მაცივარტექნიკოსთა გვამმაჯილის კურსებმა.

სასწავლო პროგრამა მოიცავს ოზონის შრის და გლობალური დათბობის პრობლემებს, ოზონდამშლელი მაცივარაგენტების გამოყენების და თანამედროვე სამაცივრო დანადგარების მონახაზების საკითხებს. მსმენელები მიიღებენ უახლეს ინფორმაციას სამაცივრო ტექნიკის განეითარების შესახებ.

კურსების წარმატებით შემთხვევაში მაცივარტექნიკოსს გადაეცემთ შესაბამისი მოწმობა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სარეეტრებო ფურცელი.

ლმობიარეთ ინფორმაციისათვის მოგვმართით: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 13 ☎23-26-89; ქ. ქუთაისი, პუშკინის ქ. 30 ☎4-80-57

ათასწლეულის სამიტი

ისტორიას არ ახსოვს, რომ ერთად შეკრებილიყო სახელმწიფოებისა და მთავრობათა 150-ზე მეტი ლიდერი. პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს, გენერალ-გუბერნატორებს, მათ გარემოცვას ძლივს იტევდა ნიუ-იორკში, ისტ-რივერის სანაპიროზე მდგარი გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის 39-სართულიანი შენობა.

კოფი ანანი — მსოფლიოს მნათე

სამიტი, პროტოკოლის თანახმად, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გახსნა. მან შეკრებილთ მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი ეცათ წინა დღით დასავლეთ ტიმორში დაღუპულთათვის, შემდეგ დაიწყო გაეროს წევრი სახელმწიფოების ლიდერთა გამოსვლა.

ბილ კლინტონმა გაეროს წევრ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკას, მოუწოდა, შეასრულონ თავიანთი ვალდებულება გაეროს წინაშე. ეს მოწოდება მოულოდნელი იყო, იმიტომ, რომ აშშ, რომელიც გაეროს უმსხვილესი დონორია, მისი დიდი მოვალეც არის. სხვადასხვა მონაცემით, აშშ-ს გაეროსი დაახლოებით 1,7 მლრდ დოლარი ვალი აქვს.

შინაარსის თვალსაზრისით, მოულოდნელი იყო რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლაც, რომელიც პირველად ავიდა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზის მარმარილოს ტრიბუნაზე. სამიტის დაწყებამდე ბევრს ეგონა, რომ ვლ. პუტინი ილაპარაკებდა ჩეჩნეთში შექმნილ მდგომარეობასა და აშშ-ის მცდელობაზე, ძირი გამოუთხაროს 1972 წელს დადებულ ხელშეკრულებას, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ. მან კი, გაეროს მიმართ მორიგი რევერანსების შემდეგ, შეკრებილებს მოუწოდა, არ დაუშვან კოსმოსის მილიტარიზაცია და გამოვიდა ინიციატივით, არ გამოიყენონ ბირთვულ ენერგეტიკაში გამდიდრებული ურანი და სუფთა პლუტონიუმი.

ნიუ-იორკის სამიტს არ დასწრებია ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი, იუგოსლავიის თავკაცი სლობოდან მილოშევიჩი და ლიბანის ლიდერი მუამარ კადაფი. ბოლო მომენტში, სამიტში მონაწილეობაზე უარი თქვა ჩრდილო კორეის დელეგაციამ — ეს იყო პროტესტი იმის გამო, რომ ნიუ-იორკში მიმავალთ მაინის ფრანკფურტის აეროპორტში ამერიკის უსაფრთხოების სამსახურმა, გასინჯვის მიზნით ტანზე გახდა მოსთხოვა.

ოფიციალური შეხვედრების გარდა, ნიუ-იორკში ალტერნატიული ღონისძიებებიც ტარდებოდა. მაგალითად, სასტუმრო „ჰილტონში“ სიტყვით გამოვიდა მიხაილ გორბაჩოვი (შესასვლელი ბილეთი 5 ათასი დოლარი ღირდა). სამიტის დაწყებამდე კი ერთმანეთს შეხვდნენ პლანეტის ყველაზე მაღალჩინოსანი ქალები. ფინეთის პრეზიდენტი ტარია ჰალონენი, ლატვიის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრეიბერგი, ახალი ზელანდიის პრემიერი ჰელენ კლარკი, ბანგლადეშის პრემიერი დომენიკ მიკელოტი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაითი, კანადის ექსპრემიერი კიმ კემპბელი, გაეროს უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში მერი რობინსონი.

ყველაზე ორიგინალური ლიდერთა შორის, აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი — სამიტზე იგი თავის სამი თვის ვაჟთან — ლეოსთან ერთად ჩავიდა.

კომერსანტი №163

პუტინი კურილიის გადაცემას არ აპირებს

რფ პრეზიდენტის პუტინის ვიზიტმა იაპონიაში შთამბეჭდავი კვალი დატოვა დიპლომატიის ისტორიაში. ლაპარაკია არა კრემლის აზროვნების სტრატეგიულ სიმწირეზე, არამედ პროტოკოლურ უამრავ დარღვევაზე, რამაც ბოროტ ენებს ათქმევინა — უდიდესი ქვეყნის ლიდერი საკუთარ იმიჯს უპატივცემულოდ ეპყრობაო.

- შესაძლოა, პუტინი პროტოკოლურ ცნებებს დიდად არაფრად აგდებს, მაგრამ ნაწილობრივ ითვალისწინებს მაინც. მაგალითად, თუ რეკომენდებული არ არის დაბამბულ ქურთუკთან „ბაბოჩკის“ გაკეთება, არ იკეთებს. მაგრამ ვერსად წაიკითხა, შეიძლებოდა თუ არა კოპლებიანი მოკლემკლავიანი კაბით მეუღლის წაყვანა იმპერატორთან, ამიტომაც წაიყვანა. მერე ადგა და, ოფიციალურ ბანკეტზე რუსეთის პირველი ლედი კიმონოში გამოწყობილი მიიყვანა, რამაც მასპინძლები დაამუნჯა — მათ არ გაეგონათ ძველი რუსული გამოთქმა, — „Чудит наш барин“.

როცა ოკინავაზე ვიზიტის დროს უჰალსტუხო პუტინი იაპონელმა ბიჭუნამ სპორტული სკოლის ტატამზე გადააწვინა, ეს რუსი იმიჯმეიკერების დიდ გამარჯვებად იქნა მიჩნეული. მაგრამ, როცა უკვე ტოკიოში კიმონოში, შავი ქამრით დამშვენებული პუტინი იაპონელმა გოგონამ ტატამზე „დასცა“, ყველა მიხვდა, რომ იმიჯმეიკერები არაფერ შუაში არ არიან. ცხადი გახდა, რომ რუსეთის ფედერაციის თავკაცი აჩვენებს იმას, რაც იცის და ფიზიკური ვარჯიშის გზით აპირებს თვითდამკვიდრებას.

იაპონელებს პუტინამდე „ცოცხლად“ ჩვენი ორი პრეზიდენტი ჰყავდათ ნანახი და ორივემ თავისებური შთაბეჭდილება მოახდინა, მაგალითად, დიდხანს ვერ ივიწყებდნენ, ერთი მათგანი, ელცინი, როგორ ძლივს გადმობობღდა ლიმუზინიდან და იმპერატორს ხვნეშა-ხვნეშით უთხრა: „აკიჰიტო, მანქანა კი დიდია, მაგრამ ჩემთვის მაინც პატარაა...“

არც გორბაჩოვი და არც ელცინი, პროტოკოლის თვალსაზრისით, სასაცილონი არ ყოფილან. რასაც პუტინზე ვერ ვიტყოდით. ისიც უნდა ითქვას, რომ იაპონიაში გაფრენის წინ ვლადიმირ პუტინმა საკმაოდ მკაცრად განაცხადა: „განა ვინმემ თქვა, რომ რუსეთის მთავრობა კურილიის გადაცემას აპირებს? ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, ვამბობთ, რომ პრობლემა არსებობს, მაგრამ კუნძულების გადაცემაზე ლაპარაკი არ არის...“

ნეზავისიმაია გაზეტა №162

ავღანური ბუმერანგი

სამოქალაქო ომი ავღანეთში ხამწუხარო, მაგრამ ლოგიკური დასასრულისკენ მიდის. „თალიბანის“ რაზმები აკონტროლებენ ქვეყნის ტერიტორიის 90%-ს. რამდენიმე დღის წინ თალიბთა მოწინააღმდეგეებმა დიდი დამარცხება განიცადეს — დაკარგეს ქალაქი ტალკუნი, რომელიც ტაჯიკეთის მოსაზღვრე პროვინციის ცენტრია. ტალკუნი ცნობილ ავღანელ საველე მეთაურს აჰმად მასუდს ეჭირა. ქალაქს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და მის დაკარგვას თალიბთა მოწინააღმდეგეებისათვის მძიმე შედეგები მოჰყვება.

სიტუაცია 1991 წელს მოგვაგონებს, როცა საბჭოთა დახმარების გარეშე დარჩენილი ნაჯიბულას არმიას ნელ-ნელა ეცლებოდა ხელიდან პოზიციები და ბოლოს დედაქალაქიც დაკარგა. ახლა ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტიან და დროულ დახმარებას გაუწევენ ჩრდილოეთის ალიანსს მისი მოკავშირეები, პირველ რიგში — რუსეთი, უზბეკეთი და ირანი.

თალიბების მოწინააღმდეგეთა ამოცანა ნათელია — მასუდის ჯარმა და მისმა მოკავშირეებმა უნდა შეძლონ ფრონტის სტაბილიზაცია, როგორმე შეინარჩუნონ კონტროლი ავღანეთის თუნდაც ძალიან მცირე ტერიტორიაზე. შუა აზიის რესპუბლიკები და მოსკოვი დიდად არიან დაინტერესებულნი, რომ დარჩეს ბუფერი თალიბებსა და დსთ-ს შორის.

ისლამი ფუნდამენტალისტები სულ უფრო მეტ პოსტსაბჭოთა ტერიტორიას იპყრობენ. ტაჯიკეთი უკვე კარგა ხანია, იქცა სამოქალაქო ომის ასპარეზად და დსთ-ის სხვა ქვეყნებში „ჭეშმარიტი რწმენის“ ექსპორტის პლაცდარმად. ყირგიზეთში ვაჰაბიტთა თავდასხმებს ძლივს იგერიებენ, თანაც ყოველთვის ვერა. მაგრამ ისლამისტთა მთავარი მიზანია, არა ყირგიზეთის ან ტაჯიკეთის ხელში ჩაგდება, არამედ უზბეკეთისა. მათ სურთ, უზბეკეთს ჩამოაშორონ ფერღანის ნაყოფიერი ველი და დააარსონ მუსულმანური სახელმწიფო.

სეგოდნია №198

ეს რა წამოსცდა ბუშს!

ადამ კლაიმერი

რესპუბლიკელთა პარტიის კანდიდატი ჯორჯ ბუში ამომრჩევლებს დაჰპირდა — ამერიკა ჩემს ხელში „ცივილიზებულობის ახალ დონეს“ მიაღწევსო. სხვათა შორის, ეს დონე მან საკუთარ მაგალითზე უჩვენა წინასაარჩევნო ღონისძიებაზე შეკრებილებს. ბუშმა არ იცოდა, რომ მის წინ მდგარი მიკროფონი ჩართული იყო და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს დიკ ჩეინის უთხრა, — ეს ადამ კლაიმერი („ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტი) „მაგარი ტრ----ო“. ჩეინი დაეთანხმა, ნამდვილად ასეაო.

რა აწყენინა ასეთი ადამ კლაიმერმა ბუშს? ჟურნალისტმა გააკრიტიკა რესპუბლიკური პარტიის სარეკლამო რგოლები. ბუშს იგი ტეხასის გუბერნატორობის დროსაც კრიჭაში ედგა. ჟურნალისტი თავის მკითხველებს — ამომრჩევლებს მოუწოდებდა — თავად განსაჯეთ, რა რეფორმის განხორციელება შეუძლია ბუშს ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, თუკი მისი შტატი შიდსის დაავადების მაჩვენებლების მხრივ, პირველ ადგილზეა და იქ, როგორც გუბერნატორმა, ვერაფერი გააკეთაო.

ბუშისეულმა ეპითეტმა გააღიზიანა კლაიმერის კოლეგები და იმავე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე დიკ ჩეინის ჰკითხეს — ბილწსიტყვაობა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი ხომ არ არისო. ამის პასუხად ბუშის პრესმდივანმა განაცხადა, — მან რამდენიმე სიტყვა თავის ამხანაგს წასჩურჩულა, ეს არ იყო საჯარო კომენტარიო.

შექმნილი მდგომარეობა დაუყოვნებლივ გამოიყენეს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა და მაშინვე გამოაქვეყნეს სპეციალური განცხადება, სადაც ნათქვამია, — ჩვენ მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს დიდი პატივისცემით ვექცევით, გვჯერა, რომ ისინი დემოკრატიული პროცესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

კომერსანტი №165

ბერეზოვსკიმ ჟურნალისტებს ორტ-ს აქციები გადასცა

ბორის ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ აპირებს ორტ-ს აქციები გადასცეს თავის ჟურნალისტებსა და შემოქმედებით ინტელიგენციას, რის შემდეგაც „ინტერფაქსს“ გადასცა თავისი მორიგი ღია წერილი, რომელშიც უკვე მერამდენედ ადანაშაულებს პრეზიდენტ პუტინს ათასგვარ ცოდვაში.

ბერეზოვსკის მტკიცებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა მას ულტიმატუმი წაუყენა — ორი კვირის განმავლობაში სახელმწიფოს მფლობელობაში უნდა გადასცეს ორტ-ს აქციები. უარის შემთხვევაში დაემუქრნენ, რომ იგი გუსინსკის ბედს გაიზიარებდა. — ალბათ „ბუტირკაში“ მიკრავდნენ თავსო — ამბობს ბერეზოვსკი. ის კი რატომღაც აღარ ახსოვს, რომ გუსინსკი დღეს ჰიბრალტარზე თავის ვილაში ისვენებს.

ბერეზოვსკის აზრით, ამგვარი წინადადების მიზეზი პუტინის უკმაყოფილებაა — მას არ მოეწონა თუ როგორ გააშუქა ორტ-მ „კურსკის“ ავარიასთან დაკავშირებული მოვლენები, გარდა ამისა, პრეზიდენტს თავად სურს ორტ-ს მართვა.

„მე გეთანხმებით, რომ საინფორმაციო საშუალებებმა მძაფრად გააკრიტიკეს, მაგრამ ეს იყო სამართლიანი კრიტიკა. გასაგებია თქვენი სურვილი აკონტროლოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მაშინ თუ ღმერთმა ქნას, კიდევ მოხდა მსგავსი რამ — აფეთქება, კატასტროფა ან სკანდალი, ველარავინ გაგაკრიტიკებთ და ადამიანები მოვლენების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ დასავლური „ხმების“ საშუალებით შეიტყობენ... მართვა გაგიადვილდებათ, უსიამოვნო კითხვებსაც ველარავინ დაგისვამთ, ერთ მშვენიერ დილას, ახალგამოღვიძებული ხალხი შეიტყობს, რომ მათ ერთსულოვნად „მოიწონეს“ რუსეთის ჯარის რომელიმე შორეულ ქვეყანაში შეყვანა ძმური დახმარების აღმოსაჩენად“... წერს ბერეზოვსკი პუტინს.

თუმცა, ბერეზოვსკი არ აპირებს დაემორჩილოს კრემლის „ბნელ ძალებს“, იგი სერიოზულადაა შეშფოთებული სიტყვის თავისუფლების ბედით, თავს მის დიდ დამცველად მიიჩნევს, ამიტომაც აპირებს ორტ-ს კუთვნილი აქციები ჟურნალისტებს და შემოქმედებით ინტელიგენციას გადასცეს. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, ჟურნალისტებიდან და შემოქმედებითი ინტელიგენციიდან ვინ გახდება აქციების მფლობელი.

ნოვიე იზვესტია №167

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ბ. ბერეზოვსკიმ შეასრულა დანაპირები — თავისი აქციები ჟურნალისტებსა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს გადასცა. აქციების ახალ მეპატრონეებს სამი-ოთხი წლის განმავლობაში საშუალება ექნებათ რეალურად მართონ ტელეკომპანია (თითოეულ აქციონერს მხოლოდ ერთი ხმა ექნება), მათვე უნდა აირჩიონ (მენეჯერები, რომლებიც ორტ-ს დირექტორთა საბჭოში შევლენ. ახალ აქციონერთა შორის არიან კ. ერნსტი, ს. დორენკო, ი. შაბდურასულოვი, ვლ. პოზნერი, ლ. იაკუბოვიჩი და სხვები და მხოლოდ ორმა ჟურნალისტმა თქვა უარი. სხვათა შორის, აქციები ბ. ბერეზოვსკიმ თავის მეტოქე — ვლ. გუსინსკის საინფორმაციო იმპერიის წარმომადგენლებსაც შესთავაზა.

ოლიგარქი ბერეზოვსკი შეეცადა საზოგადოებისთვის დაემტკიცებინა, რომ მისთვის კორპორაციულ ინტერესებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესები და იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკურ ინტრიგანობაში ადანაშაულებენ, მან მაინც რეალური ნაბიჯი გადადგა იმისათვის, რომ ორტ მართლაც საზოგადოებრივ ტელევიზიად იქცეს.

განაწყენებულნი და შეურაცხყოფილნი

როცა პუტინის საზღვარგარეთული ტურნე იგეგმებოდა, ვარაუდობდნენ, რომ ნიუ-იორკში, ათასწლეულის სამიტზე მიმავალი პრეზიდენტი ჰავანაში გაივლიდა. „სეგოდნიას“ ინფორმაციით, პუტინი კუბაში დროის [illegible] ვერ ჩავიდა... მის ნაცვლად ფიდელ კასტროს ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო ეწვია.

ლუკაშენკოს ვიზიტისა და ხელმოწერილი შეთანხმების მასშტაბი (კერძოდ, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც სამხედრო თანამშრომლობასაც გულისხმობს) არანაირად არ შეესაბამება კუბა-ბელორუსიის ურთიერთობის განვითარების დონეს. მაგალითად, გაირკვა, რომ მხარეები სხვადასხვანაირად აფასებენ ორმხრივი ვაჭრობის მოცულობას. ჰავანაში დარწმუნებულნი არიან, რომ იგი მხოლოდ 11 მლნ დოლარს შეადგენს, მინსკში კი 42 მლნ დოლარი უანგარიშიათ. მასპინძლები არ შეკამათებიან სტუმრებს, რომლებიც შეეცადნენ უხერხულობის გაფანტვას მესამე ქვეყნების საშუალებით საქონლის მიწოდების თაობაზე რაღაც ბუნდოვანი გამონათქვამებით. თუმცა, ფიდელ კასტროს ალექსანდრ ლუკაშენკოსთან მარტო ეკონომიკა როდი აკავშირებს. კუბისა და ბელორუსიის ლიდერები უპირატესობას ანიჭებდნენ პოლიტიკაზე საუბარს. ლუკაშენკომ, როგორც კი ფეხი დადგა კუბის მიწაზე, მაშინვე განაცხადა, — ბელორუსიასა და კუბას შორის დიდი უთანხმოება არ არსებობსო. კასტროსა და ლუკაშენკოს რეჟიმებს დასავლეთში ანტიდემოკრატიულს უწოდებენ, ორივე ქვეყანა ცხოვრების წესის მიხედვით დაახლოებით ერთნაირადაა იზოლირებული გარე სამყაროდან. ლუკაშენკომდე რამდენიმე დღით ადრე კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, განდგომილი ქვეყნის — იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. იოვანოვიჩი ეწვია. საბოლოო ჯამში, მათ „დიდი ძმის“ იმედი აქვთ. ჩრდილოკორეელ ლიდერთან კიმ ჩენ ირთან პუტინის სენსაციურმა მოლაპარაკებამ ცხადი გახადა, რომ მოსკოვი, შინაური პრობლემების მიუხედავად, მზად არის დიდი დერჟავის როლში გამოვიდეს და ადვოკატად დაუდგეს მათ, ვინც ვერაფრით მოახერხა მორგებოდა დასავლური „გლობალიზაციის“ მოდელს.

იზვესტია №196

მოკლედ

დიდ თეატრში „მთავრობა“ გადააყენეს. ვიდრე ქვეყანა ოსტანკინოს ანძისთვის იბრძოდა, პრეზიდენტმა გადაწყვიტა, „უშველოს“ კულტურას და დაიწყო პირდაპირ „დიდით“. სულ ახლახან პრემია „ტრიუმფით“ აღელვებული ვლადიმირ ვასილიევი მადლობას სწირავდა პუტინს. დღეს კი, მხატვრული ხელმძღვანელი და დირექტორი ვასილიევი უთანამდებობოდ დარჩა.

კომპანია „მაიკროსოფტმა“ თავისი არსებობის 25 წლისთავი აღნიშნა. 19 ათასამდე თანამშრომელი სიეტლის სტადიონზე შეიკრიბა, სადაც მათ სიტყვით მიმართა კომპანიის თავკაცმა ბილ გეიტსმა. კომპანია 1975 წელს დააარსეს ყოფილმა თანაკლასელებმა გეიტსმა და პოლ ალენმა.

ევროს კურსი თავისი არსებობის მანძილზე, პირველად დაეცა 88 ცენტამდე — აცხადებს სააგენტო „ბლუმბერგი“.

ოთხი ადამიანი დაიღუპა ჩრდილოეთ **ესპანეთში** ორი სატვირთო მატარებლის შეჯახების შედეგად. ინციდენტი ქალაქ ბილბაოს მახლობლად მოხდა.

საშინელი ქარიშხალი დაატყდა თავს ოლიმპიადა 2000-ის დედაქალაქ **სიდნეის**. ბევრ ოლიმპიურ სტადიონზე საწვრთნელი ვარჯიშები შეწყდა. სპორტსმენები სახიფათო ზონიდან გაიყვანეს.

ნიაკორი ღრმილების დავადებას იწვევს

კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც უარი უნდა თქვათ ნიაკორზე — მას ღრმილების ანთების პროგრესირება შეუძლია, რასაც ქბილების დაკარგვა მოჰყვება. ასეთია აშშ-ში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევების შედეგები. 13.000 ამერიკელზე დაკვირვების შედეგად ექიმებმა დაასკვნეს, რომ მწეველებს ქბილებისა და ღრმილების დაზიანება 1/4-ჯერ მეტი აქვთ, ვიდრე არამწეველებს. თანაც, მოწეული სიგარეტების რაოდენობის მატებასთან ერთად ზიზრდება დაავადების რისკი. იმ პაციენტებს კი, რომლებიც ერთ ამბოხებენ წელიწადზე, 11 ნლის შემდეგ დაავადების რისკი არანაირად დღემდე არ ეცვლებათ.

ლალა №35

კაკალი სისხლში ქოლესტერინის ნინააღმდეგ

მათთვის, ვისაც სისხლში მომატებული აქვთ ქოლესტერინი, ძალიან სასარგებლოა კაკალი. ამერიკა ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, რომლის მონაწილენი პირველი ექვსი კვირის მანძილზე ჭამდნენ კაკალს, ხოლო შემდეგ რაციონში კაკალი შეიტანეს (საკვების 35%) როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე დიეტამ ორგანიზმში ქოლესტერინის დონე დასნია, მაგრამ კაკალით დიეტის ეფექტი აღმოჩნდა მეტად ეფექტური. მისი გამოყენებისას სისხლში ქოლესტერინის მაჩვენებელმა 4,1%-ით დაიკლო, ხოლო მოუკარეიონის ინფარქტის რისკი 11%-ით შემცირდა.

ზდაროვეი

ანორეზის თავფლით უმკურნალეთ

ექიმები ამბობენ, რომ სახსრების ტკივილი მომავალიენებული არ არის, მაგრამ ძალიც მტკივნეული.

ეს აღმაო ქორეად ისეთ ხანში შესულება ადამიანებმა, რომლებსაც ძნრის სახსრის ართროზი აწუხებთ.

არადა, არსებობს ნატურალური ბიოსტიმულატორი, რომელიც ტკივილის ნოხსნაში დაეხმარებათ. ეს არის თავფალი. თავფალს მასაჟი ასე უნდა გაიკეთოთ:

1/2 სუფრის კოვში თაფალი დაფქეთ ცხელი ნყლით სანამ ნაგნის გადაწრებულად სახუროვე და დაფქით ფაბალ ცცეზედ.

ნაგნის დაფქეთ ცხელი ნყლით სავსე სათბურზე, დაწეყით და გაარნყით 15-20 წუთის განმავლობაში, თანაც ზერიოდუდად უეცალეთ მდგომარეობა, რათა მთელი სახსარი თანაბარად გაგითბეთ.

შემდეგ დაფქვილი, ორი თითით ცოტა თაფალი აიღეთ და ნრიალი რბილი მოძრაობით მხარზე შეიზილეთ. როგორც კი თაფალი შეინთქება და თითები კანზე მიგეწებებათ, გაიმეორეთ პროცედურა. პროცედურის ხანგრძლივობა 15-20 წუთია. ცურადღება მიაქცეთ, რომ კანი მთელი ამ ხნის განმავლობაში თაფლით იყოს დაფარული.

მასაჟის დამთავრების შემდეგ მარჯვენა 3-4 ფეხ დაიფიქეთ მხარზე, ისე რომ თაფალი არ მოიშოროთ და ნაიცვით თბილი ზრანგი. 2-3 საათის შემდეგ მოიხსენით მარცა და მხარი თბილი ნყლით მოიბანეთ.

მუფრალების კურსი — 10 ცეანსია. პირველი სამი ყოველდღიურად უნდა ჩაგბერათ, შემდგომი 7 დღეგანმოსვენება. თუ საჭირო იქნება, შეგიძლიათ მასაჟი თაფლით 2 კეირის შემდეგ გაიმეოროთ. მაგრამ კურსის სეანსები აუცილებლად 2-3 დღის ეა-მოსვენით უნდა ჩატარდეთ.

ტაინაია ელასტ №17

იცით თუ არა...



მეეჩიერები მიეიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნენსიმიერი მოხარშული პოსტნეული ზეითნის ზეთთან ერთად, მნიშვნელოვნად ამცირებს არორიტით დაავადების რისკს, ამასთან, ხელს უწყობს ცუდის დაცილებას და კიბოს წარმოქმნას.

...

დასაცილი ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ მუსიკა ან ყოველდღე 15 წუთიანი კოსცერტი, რომელსაც ოფრაციის შემდეგ მოისმენენ ავადმყოფები, აუოენებს ტკივილს და ხელს უწყობს გამოჯანმრთელებას.

...

გერმანელები მეცნიერებმა არცთუ დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს ნიერის ეიდევ ერთი ახალი თვისება — იგი ამცირებს ნერვიულობას, აგრესიულობისა და დაღლილობის გრძნობას, ათავისუფლებს ადამიანს უსიზეჩო შიშისაგან, ამშვიდებს და ამაღლებს მის ცუნება-განწყობილებას.

...

ადამიანმა, რომელსაც უძილობა ანუხებს, უნდა ჩაიეიდოს თბილი ნინდები, ხელთათმანები და ისე დაწვეს.

ოტდოხნი №34

ხალხური მედიცინა

მაქსიმალური გარანტია!!!

* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები.

მკურნალობა უფეხებრად პირველივე დღეებიდანვე!!!

მის: რანიგზის პოლიკლინიკა, ოთახ 5 დაწინს 87, კაბ. №11

☎ 69-91-92 (კაბ.): 61-02-97

SGS - მხოლოდ სკლეროზოთა ასოციაციის და ყველას სკლეროზოთა ყველაზეიაის წყარო

SGS - თანამედროვე ტკენოკური ბაზა

SGS - პაციენტისადმი ეიდივიდუალური ყუდი-სკლეროზი და ფსიქოლოგიური

SGS - განკურნების შანსიანური გარანტია

SGS - ახსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სკლეროზოლოგი, ფსიქოთერაპევტი ზმად არიან დაეხმარონ ყველა სახის სკლეროზოთა დარღვევის. ნყნრიული სამედიცინო ტერმინოლოგიის ფლობა ეხმარება ექიმებს ადეკვატურად შეაფასონ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

1. სკლეროზოთა აქტის ჩატარების გამნყვანი ან შეუძლებლობა, მაი შორის:
   - „პორეული ტაქორნინო ღამის“ პრობლემები.
2. სკლეროზოთა აქტის ვახანერძლივება ან ნაადრეი დამთავრება.
3. ამპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს შიშების შთამბეჭდა.
4. კონდილომატოზის ოპერაციები და ანტიეირუსული ვაქცინაცია.
5. დეპრესიის, ძილის დარღვევის, ჯკუთაბების და ენერგეტიკული დაქვეითების.
6. კონტაქტის შიში და უნოთიერთობის პრობლემებში.

ფსიქოსკლეროზიული და სკლეროზიული სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 36ა (ყოფილი „ლენინობანაში“).

მუშ. ხართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი

თანამედროვე ცხოვრების გიგერმა რიტმმა ადამიანი ფიზიკური და ფსიქიური დაღლილობის ზღვრამდე მიიყვანა. დაავადების ქრონიკული დაღლილობის სინდრომი ეწოდება. ამ უცნაური დასახელების პათოლოგიას საკმაოდ სერიოზული მიმდინარეობა, შემაშფოთებელი სიმპტომები და არცთუ იშვიათი გამოსავლით ახასიათებს. მართალია, ეიდიდესად ეკიდ რამდენიმე ასეული წელია რაც ცნობილია, მაგრამ მეცნიერებმა მისი შესწავლა სულ რადაც ათიოდე ნლის ნინ დაიწყო. ეს უკანასკნელ ნლებში დაადგინეს გამსკვიერეთ „გაღმერიული დაავადების“ ეიდიდ ნიმედ არის მიჩნეობებული.

პათოლოგია ნებისმიერ თქვენგანს ეხეკვება და თუ მის „ლაბირეთში“ ეკერ არ მოქცეულხართ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მალე პათოლოგიის შეკრობილთა მრავალრიცხოვან რიგებს თქვენც შეუერთდეთ. მიტომაც სიცრისთვის ცეცლ ჩვენებს მართებს.

დაავადების მიმდინარეობისას, სიინნარულო ის არის, რომ ის, ვინც მას ცაკუნდება, ანსიკურად იწყება. მაგრამ გრძნობებს განსხვავებით სისუყვა და მოთეზილოთა თვეების მანძილზე გრძელდება.

პათოლოგია, როგორც ნენი, ნინფერ მებრძოლი ბუნების, რისკენაც დაავადების ეკეულის სწორედ ამიტომაც, ის ძირითადად კარეიანებთა გრიპის სახეულოებით მოსალეეს. იგი ხომ განაალებულ და ნარმაბეჭდის მქონე ადამიანებს არცეულ!

ეწრაეული, სიცეოცხლით სავსე ადამიანი უცეყრად დეშენას, სავეარეო საქმიანობიდან ეკეთხეულის მიმართ ინდიფერენტ კარეგის, აღეენიზეტა გონებადაფანტულობა. შეეძას მხოლოდ საკუთარ სახლში შეეიდ აბმოსფერო ნროა ჰგერის, ამ დროს არაფერი და არავისზეც ფიქრობს ამეი უმწყვეტად დღე და ღამე, კეროა კეიდ რამდენიმე ხანში ადამიანი აცხობიერებს, რომ მისთვის ცხოერებამ აზრი დაკარგა...

დაავადებამ თან ახლაეც:

- ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს კანის მდგომარეობას;
- განსაკუთრებით სასარგებლოა ბოსტნეულის ასეი წვენი;
- 2 ნილი ნიახურისა და 1 ნილი ჭარხლის წვენს დაუმატეთ 1 ჩ/კ ნინაბის წვენი და მიიღეთ დღის განმავლობაში მინერალურ წყალთან მონაცვლეებით.

ეოფ ტაკ №33

რა არის იპოქონდრია და როგორ ვებრძოლოთ მას

ნერეროზის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას იპოქონდრიული ნერეროზი ანუ ჰიპოქონდრია ეწოდება. იგივე ავადმყოფობა ფსიქოთერაპიულად განიცდის თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამის მიზეზი ხშირად რომელიმე სომატური დავადებაა, ანდა ადამიანს დაეჯერებინა, რომ ის ავადმყოფობს. ანდა ადამიანი სიცეოცხლეში ერთხელ მაინც ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ ფიქრობდა, რომ სიკვდილის პირას იმყოფებოდა. ასეთ დროსაც არ ნანდეს ეკეთ ნამეი სამყაროს აღქმა ხომ უნარი, არ შეინიშნეთ, რომ ქეეეან ცხეეირეთ ცეცლებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობეთ ჰრომისეულთან ადამიანის ეკეთ ნამეი ნარმოდგენა ცეეეტიური დარღეეეან, რომელიც ტკეეირებით, ეკეთ ნამეი ნარმოდგენით ეკეთ ნამეი ნეეირეთ ნეეირეთ ნეეირეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი ჩოხელი

საფლავისაკენ მიმავალ გზაზე...

უკვე მერამდენე თვეა ლოგინად არის ჩავარდნილი. ქვეყანას თავისი თვალებით ველარ ეფერება.

წევს და ფიქრობს.

საფიქრალს რა გამოულევს.

ბოლო დღეები ფეხზეც ველარ დგება.

ერთი დალოცვილი ჩიტი თავის ენაზე რაღაცას გალობს ფანჯრის იქით. მთელ ქალაქში ახლა ალბათ მხოლოდ მაგას ესმის ჩიტის გალობა, ან იქნებ სხვასაც, მაგას განსაკუთრებით, მთელი ცხოვრება ხომ ჩიტების გალობას, ბალახების ჩურჩულს, ნაკადულების ჩხრიალს, ზამთრის მოსვლასა და გაზაფხულის დადგომას უგდებდა ყურს. თავისი ქვეყნის წყალ-ჭალას ეფერებოდა.

გარედან ზარბაზნების გრუხუნი ისმის. ეს ხმა ახშობს ჩიტის გალობას. საზარელი და აუტანელია მისთვის. ბორგავს.

ყოველ დაგრუხუნებაზე შეშფოთებული ეკითხება თავზემდგომ მომვლელს:

— კაცო, გამაგებინეთ, რა ხდება?!

— ესვრიან.

— ვისა, კაცო, ვის ესვრიან?

— ისენი ესვრიან იმათ.

— ვააა, ვინ ისენი, ვინ ესენი?!

— პოზიცია და ოპოზიცია.

— პოზიცია და ოპოზიცია ვინღა არის?

— ფორმალები და არაფორმალები.

— ეხლა რომლები ესვრიან?

— რავი, რას გაიგებ, დიდ ხმაზე არაფორმალები ესვრიან, პატარაზე ფორმალები.

— რომელი ტყუის?

— რავი, რას გაიგებ, ორივე მართალია.

— ღმერთო, დალოცვილო, მა რაღა აქვთ გასაყოფი?

— რავი, რას გაიგებ.

— რას ამბობენ, რომელი აჯობებსო?

— ვერც ერთი, ორივე დამარცხდება.

— მაიცა, მაიცა...

— პოზიციას თუ იქიდან მიეხმარნენ, ოპოზიცია დამარცხდება, თუ ოპოზიციას მიეხმარნენ, პოზიცია დამარცხდება.

— რას ამბობენ, რომელს მიეხმარებიანო?

— რავი, რას გაიგებ.

ღამეა.

შემოდგომის სუსხიანი ღამე.

გარეთ ცოტა ხნით ჩაჩუმდნენ ზარბაზნები.

ავადმყოფი გულაღმა წევს და თვალგახელილი ფიქრობს თავის მშვენიერ პატარა ქვეყანაზე: ველ-მინდვრებით მორთულ-მოქარგულზე, აყვავებულზე, ამწვანებულზე, თოვლის ფიფქებით თეთრად გადაბარდნილზე, მაღალი მთებით რომ ებჯინება ზეცას. ფიქრობს ტოროლაზე, ამ საოცარ, მშვენიერ ჩიტზე. გუგულზეც ფიქრობს, შაშვზეც. ფიქრში ცდილობს წარმოდგენას იმისას, თუ რას აკეთებს ახლა წიფლისჩიტა, იპოვა რამე საკვები, თუ ვერა. ჩხაკვი დიდი მაიმუნია, უვახშმოდ არ დარჩებოდა, მელიაც იშოვიდა რამეს, სხვა თუ არაფერი, მინდვრის თაგვს მაინც წააწყდებოდა სადმე. ცივა, ნაკადულებს უკვე გაჰყინავდა მთაში. თოვლიც, ჰა-და-ჰა მოვა, თუ მოსულიც არ არის უკვე. იალაღებზე მოსული იქნება, არჩვებს ქვემოთ ჩამოჰყრიდა. ირემი ახლა ალბათ დიდი წიფლის გვერდით დგას და ნესტოებიდან თბილი ორთქლი ამოსდის...

უცებ გარედან ზარბაზნის ხმა მოისმა.

ამ ხმაზე შეკრთა.

— ეეხ! — გულდაწყვეტილმა ამოიოხრა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

გარეთ კარგა ხანს ესროდნენ ესენი იმათ.

მერე ესენიც ნელ-ნელა ჩაჩუმდნენ და ისენიც. ისევ გადმობრუნდა და ახლა მთების კალთებში შეყუჟულ სოფლებზე დაიწყო ფიქრი: „ნეტავ იქაც თუ ესვრიან ისენი და ესენი, ჰა?“ ამის გაფიქრებაზე შეკრთა. ჰაერში უმწეოდ გააქნია ხელი.

მერე ბავშვობა გაახსენდა, ბებიამისი რომ ჩაისვამდა კალთაში, შუბლიდან ქოჩორს გადაუწევდა და კარგა ხანს შეჰყურებდა შუბლზე.

— ლა იყო ბებო, ლას მიყულებ?

— იმას გიყურებ, ბებო გენაცვალოს, რო, შენ შუბლზე იქნებ ანგელოზის ნაფეხურს მოვკრა-მეთქი თვალი.

— ანგელოზი ვინლა ალის, ბებო?

— ჩემი ანგელოზი შენა ხარ, ბებო, შენ.

— ჩემი?

— შენი კიდე, ჩემო შვილო, რო დაიბადე, თავთით გედგა, ძალიან გაბრწყინებული დაგყურებდა და იღიმებოდა.

— ლატო იღიმებოდა?

— იმიტო იღიმებოდა, რო უხაროდა. ესო, ძალიან კარგი ბიჭი დაიბადაო, კეთილი იქნებაო, ჭკვიანიო, თავის დედმამასა და ბებოსაც გაახარებს და თავის ქვეყანასაცაო.

— მელე სად წავიდა, ბებო, ანგელოზი?

— ღმერთთან, შვილო!

— კიდე მოვა?

— მოვა, ბებო გენაცვალოს. აბა მა რას იზამს...

ნეტავ მართლა თუ ნახა მაშინ ბებიამ ანგელოზი?..

ისევ დააგრიალეს გარეთ.

ამჯერად მხოლოდ ერთხელ.

ცოლის საწოლს გადახედა.

ქალი ფხიზლობდა, მაგრამ დროდადრო სთვლემდა.

მასაც ჩასთვლიმა.

მერე უცებ რაღაც უცხო ხმამ გაალვიძა.

ეს ხმა არ იყო, არც იმათი, არც ამათი.

ეს ხმა თითქოს ყველასი იყო.

თვალი რომ გაახილა, საწოლთან სამი მშვენიერი ასული იჯდა, სამივე უღიმოდა, მანაც გაუღიმა.

— დაიძინე, დაიძინე — წყნარად უთხრეს იმათ.

მანაც დაიძინა.

ამჟამად ისევ ზარბაზნის ხმამ გამოაღვიძა.

გოგოები აღარსად იყვნენ.

მიმოიხედა და ცოლს ჰკითხა:

— სად წავიდნენ?

— ვინა?

— გოგოები.

— ვინ გოგოები?!

— აი აქ რო ისხდნენ, ჩემ გვერდით. კი ვერ ვიცანი ვინ იყვნენ, მაგრამ რა ლამაზები იყვნენ, ვინ იყვნენ?

— ეე, შე ეშმაკო, გოგოები მოინდომე არა! — გაეხუმრა ცოლი.

— ეეხ, შენც იტყვი რა! — გაბრაზებულმა ისევ უმწეოდ გაიქნია ხელი და ისევ კედლისკენ გადაბრუნდა. თან ერთსა და იგივეს გაიძახოდა.

— ღმერთო, ღმერთო! რა მშვენიერები იყვნენ, ეს რა საოცრება ვნახე!

ზარბაზნებმა ხმა ჩააწყვეტინეს.

ცოლს ჩაეძინა...

რო გაეღვიძა, ზარბაზნები ისევ ქუხდნენ, მაგრამ მეუღლე?

მეუღლე უკვე სხვა სოფელში წაეყვანათ ანგელოზებს.

...

ახლა იგი უკვე ზემოდან დაჰფარფატებდა თავის სხეულს და ყველაფერს ხედავდა, რაც ხდებოდა გარშემო. ახლობლები მწარედ ტიროდნენ. მას უნდოდა ენუგეშებინა ყველა, მაგრამ ვერც ამჩნევდნენ და არც მისი ესმოდათ.

გარეთ ისევ გრიალებდნენ ზარბაზნები.

ოთახში კანტიკუნტად შემოდიოდნენ მისი ნაცნობ-მეგობრები, თავდახრით, მწუხარედ ემთხვეოდნენ ჭირისუფალთ და ებოდიშებოდნენ:

— გვაპატიეთ, აქამდის ვერ მოვედით, ხომ იცით როგორი დროა, ქუჩაში ვერ გამოსულხარ კაცი.

მერე ეზოში ჩადიოდნენ და იქ ყველა სხვადასხვა აზრს გამოთქვამდა.

— ისიც იწვის!

— სკოლა?

— ჰო, აბა!

— ქაშუეთის ეკლესიაც, თითქოს...

— არ ვიცი, ეს ტელეფონებიც არ მუშაობს.

— გაიქცევაო, იძახიან.

— თუ ისინი მიეხმარნენ?

— რატო მიეხმარებიან?

— შევა ესენგეში.

— რავი, რას გაიგებ.

— ის უნდა ჩამოეყვანა და დაესვა საგარეო საქმეთა მინისტრად, ამან კიდე გინება დაუწყო.

— არ ჩამოვიდოდა, აქ რას წამოვა, ფული იმას არ აკლია და სახელი, მსოფლიო იცნობს.

— ეგეც მართალია, აქ რას ჩამოვა.

— ისე კარგი იქნებოდა, ეხლა ეგ აქ რო ჩამოსულიყო, ყველაფერს გააკეთებდა ერისათვის.

— არა, არ ჩამოვა.

— რავი, რას გაიგებ, მარა აქ არ იყო?

— მხედრიონი?

— მხედრიონი, კაცო, დიდი ძალაა, მაგრამ...

— არა, თუ ესენგეში შევა, რუსები მიეხმარებიან.

— მაგათას რას გაიგებ.

— უკრაინას ვულიარებივართ, არა?

— რავი, რას გაიგებ.

— საწყალმა, კიდევ კარგი, თავის თვალით ვერა ნახა რაც ხდება, ხო გაგიჟდებოდა, რა გულის კაცი იყო, სიტყოს იტყოდა და მთელი საქართველო ნათდებოდა.

— ნეტავ ვის მხარეს იყო?

ამასობაში ეზოში მღვდელი შემოვიდა და სულიც მას გაჰყვა სახლისაკენ.

საკმევლის სუნზე დაწყნარდა. რაღაც არაჩვეულებრივი სიმსუბუქე იგრძნო. „სულთათანამ“ საოცარი შვება მოჰგვარა. ოთახში უცებ ის სამი მშვენიერი გოგონა შემოვიდა, სიკვდილის ღამეს რომ იხილა თავის საწოლთან. ისინიც ჰაერში აწეულნი გაჩერდნენ მის აქეთ-იქით და უთხრეს:

— დაწყნარდი... დაწყნარდი...

ეს იყო ღვთაებრივი დაწყნარების წამი.

მღვდელი ლოცვას განაგრძობდა. განსვენებულის გარშემო შავებში ჩაცმული ჭირისუფლები იდგნენ ანთებული სანთლებით ხელში.

გარეთ კი გულდაგულ გრიალებდნენ ზარბაზნები.

როცა მღვდელი ლოცვას მორჩა, გასვენების სამზადისი დაიწყეს და მაშინ კი ისევ სევდა მოეძალა სულს.

...

საფლავისაკენ მიმავალ გზაზე პროცესიას სულ რამოდენიმე კაცი მიჰყვებოდა. ისინიც ძალიან ფრთხილობდნენ. მიხვეულ-მოხვეული გზებით მიდიოდნენ.

სულიც თან მიჰყვებოდათ, სამი ანგელოზის თანხლებით.

ერთი ქუჩის კუთხიდან რამოდენიმე ავტომატიანი გამოვარდა, პროცესიას თავს დაესხნენ. ერთ-ერთი მანქანიდან ჭირისუფლები გადმოყარეს. შიგ თვითონ ჩასხდნენ და გაიქცნენ. თანდათან ძნელდებოდა პროცესიის სვლა.

სული ხედავდა დანგრეულ და გადამწვარ ქალაქს, რომლის ქუჩებშიც იარაღიანი ხალხი დარბოდა და ერთმანეთს ხოცდა.

თითქოს ის ქალაქი იყო, რომელიც ასე უყვარდა მას და გული სწყდებოდა, რომ ასე არეული ხალხი დარბოდა შიგ.

არა, სული ვერა სცნობდა ამ ხალხს.

ზოგს შავი ლენტი ჰქონდა შუბლზე წაკრული და თოფმომარჯვებული სადღაც გარბოდა, ზოგსაც სამხედრო ფორმა ეცვა.

ერთ ქუჩაზე ტანკმა ისე ჩაუქროლა, კინაღამ სახლის კედელზე მიამსხვრია კატაფალკა.

ბედად გადარჩნენ, მარტო ძარა შეეზილა და საბურავი გაგლიჯა.

სანამ სათადარიგო ბორბალს დაუყენებდნენ, მათ გვერდით ისე ჩამოანგრია ნალმმა სახლი, რომ მისგან დაყენებული მტვრისაგან კარგა ხანს აღარაფერი ჩანდა.

ისევ გაუყვნენ გზას.

ახლა უკვე ახლოს იყვნენ სასაფლაოსთან, მაგრამ შეუხვიეს თუ არა მოსახვევში, ავტომატის ჯერმა გაიარა კატაფალკაში. ტყვიამ გადასახურავი გადახადა მიცვალებულს და რამოდენიმე ადგილას ტანშიც გაუარა.

იმავე წამს მიცვალებულის ვაჟი, რომელიც გვერდით იჯდა, მოცელილი გადავარდა საკაცისაკენ.

სული შეკრთა.

კატაფალკა შეჩერდა.

მოცვივდნენ ჭირისუფლები და მიცვალებულის ვაჟი, რომელიც უგონოდ ეგდო, სხვა მანქანაში გადაიყვანეს.

სულს უნდოდა შვილს გაჰყოლოდა.

ანგელოზებმა დააწყნარეს:

— დამშვიდდი, დაჭრილია, არაფერი მოუვა. საავადმყოფოში მიიყვანენ და გადარჩება.

— გზაში? გზაში რომ კიდევ რამე შეემთხვეს?

— დაწყნარდი... დაწყნარდი... აგერ სასაფლაოც აქვეა, ხომ უნდა დავასაფლავოთ შენი სხეული.

ისევ განაგრძეს გზა და როგორც იქნა მიასვენეს იმ ადგილს, სადაც რამდენჯერ, რამდენ ვინმეს მოჰყოლია განსვენებული.

...

სანამ ჩაასვენებდნენ, ტყვიებით დაცხრილულ საკუთარ სხეულს ეამბორა სული და ტირილი მოუნდა.

...

იმ ქვეყანაზე რომ მივიდა, თავის ბებომ შუბლზე შერჩენილი ქოჩორი გადაუწია და უთხრა:

— როგორ გაზრდილა შენ შუბლზე ანგელოზის ნაფეხური, ბებო გენაცვალოს!

ამის მერე თეთრი სამოსი ჩააცვეს და წარადგინეს ღმერთთან.

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური
უნივერსიტეტი და მასთან არსებული კოლეჯი
აგრძელებს მიღებას (სექტორები — ქართული, რუსული; სწავლება — დღის და დაუსწრებელი).
1. იურიდიული ფაკულტეტი. 2. ეკონომიკური. 3. უცხო ენები. 4 ინფორმატიკა.
სტაჟირება უცხოეთში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია. უნივერსიტეტი იძლევა სახელმწიფო დიპლომს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლინგაფონისა და კომპიუტერული ცენტრი სერტიფიკატის მინიჭებით. სტუდენტები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. კოლეჯის მოსწავლეები მიიღებენ პარალელურად როგორც პროფესიულ, ისე საშუალო ზოგად განათლებას. მის: კოსტავას №70, IX კორპ, IV სართ,
მ. „პოლიტექნიკური“. ტ: 36-60-59; 36-63-36; 33-53-92; 77-03-69



ცრუმეხსიერების სინდრომი

ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკაში უკანასკნელი ხანია, რაც დამკვიდრდა ე.წ. „მეხსიერების ილუზიების“ ფენომენი, რომლითაც ამერიკელი და კანადელი ფსიქოთერაპევტები დაინტერესდნენ უწინარეს ყოვლისა ბავშვებში ინდუცირებული ცრუ ანამნეზების გამო.

ახალგაზრდა ქალმა ფსიქოთერაპევტს შესჩივლა, მეხსიერება დამიქსიფიცდაო. ფსიქოთერაპევტმა „ფიქსაჟის“ კლინიკაში მეხსიერების ადდგენაში და მწვავე აგიოსნისტაზ“ — 13 წლის! რომ ვიყავი, მანანვალებდა გამაუპატურა, დავიფიქრებდი და ისე „ძალებში“ შეეიქნა, ამორჩი გამქცალიანად. მის აღსარებას ცერვაინ დაადასტურებს, მოსმე ან ოსსეთის. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ 13 წლისას ჯერ მეხსიერებაში ცოცლიც არ ჰქონია და ვერ დაიფიქრებდა მაშინვე ვერ ახსნილ და ვერ დაიფიქრებდა მაშინ, ქალმა უკან არ დაიხია და მანანვალებელს უჩივლა... სასამართლომ დაადგინა, რომ ადდგენილი მოგონებები ცრუ იყო და ამიტომ მოპასუხის ბრალდებულება არ დამოდგა.



ფროიდის ვერ ვეძებთ, რომ უსიამო მოულენების მოგონებები ქალის ფიქრებში ისეთ სიღრმეზე, რომ ყველა ფსიქოთერაპევტი ვერ შეძლებს მათ ამოგდებას. ანონდებული მოქალაქე მრისხანების შეშინებით ფრთხილობდა და დანამუშაობის ადგილიდან არც მიდის: აუცნობება, რომ მკვლელი და სრულიად თავდაჯერებული იმპიო, რომ შემთხვევით ნაანდები გვამს, პოლიციის იძახებს. ქალი, რომელიც მართლაც შეიქნა ძალადობის მსხვერპლი, ეკრაფით ხსნის, საიდან აქეს ქმაწე სისხლი ჩაცვეული და ქრილობები. სწორედ ეს გახლავთ ფსიქოტიური ამნეზიის შემთხვევები.

ჩვენს დროში სულ უფრო გავრცელდა სპირისმირო ფენომენი — ცრუმეხსიერების სინდრომი, რომლის ნარჩომთაბა დაკავშირებულია არა იმდენად სულიერ დარღვევებთან, რამდენადაც დარწმენებასა და თვითდარწმენებასთან. უსუბუსად ეს მოგონება ფსიქოთერაპევტთან სათხრისას იბადება. ამ უკანასკნელის ვარაუდი ქალიშვილისაც მოგონებად იქცევა და მძლავრად იდგამს ფესვს მის სულ-

ში. ცრუმოგონებები ხშირად ოჯახური ტრაგედიების მიზეზი ხდება — ხშირია შეიცილის მშობლებთან გაუცხოება, განქორწინებები, სამუშაოს დაკარგვა.

ამასნინანა-

დილ კონფერენციაზე, რომელიც ცრუმეხსიერების ს ი ნ დ რ ო მ ს მიეძღვნა, პროფესორმა ელიზაბეთ ლოფტუსმა დაამტკიცა, რა ინოვაციური ტექნისთვის იმის ჩაწერება, რაც სინამდვილეში არ მომხდარა — მომანიშნებელი კითხვების სერია, ბარკვედ ფორმულირებული ნინადაგებები და მორჩა, ცრუმოგონებაც მზადაა. საილუსტრაციოდ, ექსპერიმენტი ჩატარდა — პაციენტი დარწმენეს, რომ ბავშვობაში ერთხელ საფაჩო ცეცხლში გაიკარა. სხვათა შორის, ფსიქიატრმა თავად დაამატა თითქოსდა „ალდგენილ“ მოგონებას უამრავი წერილები.

დეპრესიის, ისტერიისა და ფსიქიკის სხვა დარღვევებისადმი მიდრეკილი ადამიანები იოლად ემორწმენებან დარწმენებას და ყოველთვის მზად არიან, გამოგონილი რეალურში აურიონ. პრაფესიონალმა ფსიქიატრიულმა ორგანიზაციებმა ბუღალტერ როი ამბეს განგაში პიღლო დროს. ისინი მოუწოდებენ ფსიქოთერაპევტებს, ფრთხილად მოეკიდონ თითქოსდა მეხსიერების ადდგენის სხვადასხვა ხერხის უკონტროლად გამოყენებას, ხოლო განადის ადეკვატია სამეფო კოლეგიას ან ამ ხერხების თერაპიულ პრაქტიკაში გამოყენება საერთოდ დაუშვებლად მიაჩნია.

ნლო №34



სტუმარი 1695 წლიდან

ნა: გაიოქვა, რომ ბავშვი მე-17 საუკუნის დროსიდან ენახე ლაპარაკობდა. ბიჭისან სააეადმყოფოში მთელ წელი გაატარა და 1996 წლის დამდეგს უცერად დაიკარგა. მისმა მეპნამ უცერად დაიკარგა. მისმა მეპნამ ლიმ გადაწყიტა, მოეპნინა ის მონასტერი, რომელსაც ხონ-ხეში ეწოდება. გაიოქვა, რომ იგი მარტოდა არსებობის და მე-17 საუკუნის დასაწყისში აუშენებიათ. ქალი არცერთ მან საოცარი ჩანაწერები იპოვა ოქ ნახსენები იყო ვინმე ხონ-ხეი, მონასტრის მსახური ბიჭი. ფოლუნტების მიხედვით, 1695 წლის დამდეგს ბიჭუნა უგზო-უკვლოდ დაკარგულა და მხოლოდ 1 წლის მერე გამოჩენილა აშშ-ში. ამ შეკრებილი ინფორმაციით ქალმა დაადგინა, რომ ბიჭუნა ამ ადამიანის ჰარიან“, „ცაში მბრწყინავი ორთვალები დაფრენენ და ადამიანები სარკვეს ელაპარაკებიან“.

ამ შემთხვევას შეიძლება ერთადერთი ახსნა მოეძებნოს: ბავშვმა გამოგონილი ხერხით ფრო ბავშვობის მოგონება მოიხსენა. მაგრამ თუ მან ისეც მოახერხა წარსულში დაბრუნება, გამოდის, რომ წარსული და მომავალი ერთდროულად არსებობს.

ორკული №8

ქრისტიანული სასწაული

VI საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, განმანათლებელი გრიგოლი არეციბისკოპოსი იყო. ერთხელ ეიეპარა და უმეფეთეც ქასპთა ოფიციალური მოძღვარი, ერვანს, მაგრამ ქეშმარიტ სარწმენოებაზე ვერ მოაქცია. „ვერაუსერაილო ღმერთ რაჭამ ცაკრავთ?“ უთხრა ერვანმა, — თუ გინდა, რომ შენი ღმერთ ერწმენო, მაშინ იგი ცხოველად მიეიეზს საალოსაც და ჩემს მოსწავლეებსაც ამასიეე უუბრანენო“.

მაშინ განმანათლებელმა გრიგოლმა უთხრა: „ერვან, თითქოს შეუძლებელ მთხოვ, გვეინდებას, რომ ღმერთზე ლაპარაკობ. მაგრამ, დანარწმენებად უეალს ამის გაკეთება შეუძლია. მითხარი, რა დაგარწმენებს, რომ იცო ერისმე არსებობს?“

„თუ უფალი შენი მართალია ცაშია, დე, ჩამოგიდეს მინაზე და გამოგვეცნაფოს. თუ ეს მოხდა, მაშინაც ერწმენები მას“, — უთხრა ერვანმა. არციბისკოპოსმა ერვანს — ეფიც არ შეპპარვია, რომ გრიგოლი შეიძლებილი დარწმენოდა. თავიანთ მოძღვარს გარშემოყოფმა იედეეეულებაც აეპეს მხარი.

არციბისკოპოსმა პირჯვარი გადაისახა და მხურვალე ლოცვას შეუდგა. „უფალო, გამოცხადე ბორიტებით დაბრმავებულ ეა ხალხს, — შესანახი ლოცვის დასასრულს, — დაე, ისინლ საკუთარი თვალით ეა ირწმენონ ჭეშმარიტი ღმერთი!“

ამის თქმა იყო და მინა იძრა, საოცარი ძალის ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ეა და ელვამ გაანათა იეი. თაყვანისცემელი იედეეეული

მინაზე დაეშხენ, ერვანს რომ პოვიდნენ და აღმოსავლეთს. მიაპყრეს თვალი, დაინახეს — ციდან ღეეამანაზე დაეშვა ღრუბელი, რომლის შუაგულში ეელავდა ქანსაცმლით მაცხოვარი იდგა. ნელი ნაბიჯით მოუახლოვდა ხალხს.

„ან ისიც, ერვან, ეის დანახვასაც ესპრაფვენ! — შესძახა არციბისკოპოსმა, — ირწმენე, რომ ერთია ღმერთი იესო ქრისტე, ამინ“.

და გაისმა ზეციდან ხმა: „ეპისკოპოსის ლოცვის შეხედით განგეწირთ თქვე ჯვარისეეს თქვენი მამეეისაგან!“. საოცარი ხილეა ეეიერ. როდესაც თავზარდაცემული ოედეეეული ბერის პოვიდენ, აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანი დაბრმავებულიყო, მხოლოდ ქრისტიანების მეორნიადთ თვალისინი და მაშინე ერვანმა სთხოეა არციბისკოპოსს, აღესრულებინა მშინდი ხალხის რიტუალი, რადგან მოძღვარმაც და მისმა მოსწავლეებმაც ირწმენეს ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი. ხალხმა შეძლებს დაუნრუნეთ როგორც ხორციელი, ასევე სულიერი თვალისინი და ხარობდა ოზარისის ძის. თვით ანგელოზებიც ხარობდნენ ზეციდან იედეეეული ჭეშმარიტი სარწმენოებისაკენ მოქცეეას.

ნა გრანი ნევოზმოეწოგო №30

ქალაქები, სადაც სულები სახლობენ

ამბობენ, რომ აშშ-ში ასეთი 5 ათასი ქალაქია. ისინი ძირითადად განლაგებულია ქვეყნის დასავლეთ მხარეში.

1874-1882 წლებში კალიფორნიაში, ქალაქ ბოდი 10.000 ადამიანი ნავიდა ოქროს საძიებლად. აქედან ბეერმა იპოვა ქეირფასი ლითონი — ეის ბეერი, ეის ეოლა. ქალაქი ეეეოდა და იყო ეე ლამაზი სახლები, თაღლები, პანორამა სალონები. გაზეთი გამოდიოდა და გარე სამყაროსთან კავშირი საატრისნო ფოსტით ხორციელდებოდა.

ქუსი ნელის შემდეგ იქ ოქროს მადანი გათავდა. ადეილ მოსული ტურისტები ჩადიან. მათ შეეძლიათ იქ ისეეე ყოეელი ატრიბუტების „ქალაქის“ 170 აღდგენილი სახლი. ეესკურსიამძღოლები დამთვალიერებელს ავრთხილებენ, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც კი აქეედან რაიმე სადმის აიღებს ან შეეუნება, ჯუდიციალიად ეეხდებიან ბანდად. აჩეენებენ დამცინავი ეეიმით ბანდად აწერეენ ბოლოეიის ანგარიშებს, სადაც აღნერილია, თუ რა ეეზდფრებს შეეძლეთ „მეედრო ქალაქიდან“ სუვენირების ნამდები. მაგრამ ტურისტების მსურეელი რა გამოლეეს და მაშინ კარიდეეებს ეეხსნიან.

ეეეეთ ქალაქებიდან ეეეე

თბილისის კოლორიტი... ნაღდი თბილისელი... ქალაქელი კაცი... ხშირად თქმულა და დაწერილა ეს სიტყვები და თანაც არაერთი ჩვენი თანაქალაქელის მიმართ — ხან დამსახურებულად და ალალად, ხან ლიქნით და არმად. მოყირჭდა კიდეც, ალბათ, მკითხველს მართალია სითბოთი და სიყვარულით სავსე, მაგრამ ხშირად თითქმის ერთი და იმავე ხალხის ერთი და იგივე თავგადასავლების კითხვა.

მაგრამ თუ ვინმეა ნახსენები ადამიანების რიგში, რომელთანაც ყოველი ახალი შეხვედრა კეთილ ღიმილს, გულწრფელ სიხარულსა და გაუნელებელ ინტერესს იწვევს მკითხველსა და მსმენელ-მაყურებელში, ეს ბატონი ქართლოს კასრაძეა. ქართლოს კასრაძე — კონფერანსიე, მწერალი, პაროდისტი-მსახიობი, უბრალოდ „ვერელი ბიჭი“ (როგორც თვითონ ამბობს)... საღამო ხანს ვესტუმრე შინ — ვერაზე.

— როგორ მიყვარხართ ჟურნალისტები. მოდი, მოდი — კარგ ამბებს მოგიყვები!

ბავშვობიდან დავიწყებ: 1926 წელს მომავლინეს მშობლებმა ამ ქვეყანას დროებით. ძალიან ნიჭიერი ვიყავი — ვხატავდი, იმის დედა ვატირე... პარიზში წაიღეს მაშინ ჩემი ნახატები, მაგრამ დაკარგეს. სხვათა შორის, პირველ პლაგიატს ჩემი შემოქმედების მიმართ სწორედ მაშინ შევეჯახე — საბავშვო ბაღში ზამთრის დახატვა დაგვავალეს. ავიღე ქაღალდი და ფანქრით კაკუნი დავიწყე — ფიფქებს ვხატავდი. ერთი წუთის შემდეგ ყურის წამლები ხმა ისმოდა — მთელი ჯგუფი აკაკუნებდა. მე გავჩერდი — რაღა უნდა მექნა.

ექვსი წლისა სკოლაში მიმიყვანეს. დირექტორმა — ამისთვის ადრეაო, აბა ლექსი თუ იციო. „თორნიკე ერისთავი“ ჩავაბულბულე ზეპირად. მიმიღეს. იმავე დღეს ჩემმა ბიძაშვილმა ჯიმშერ კასრაძემ და მისმა „ძმაკაცებმა“ — მიშა ესებუამ („პუჭურა“) და ნოდარ გრიგოლაშვილმა მიმბეგვეს — ჩვენ შენზე დიდები ვართ და „თორნიკე ერისთავი“ არ ვიცით, შენ რატომ იციო. ასე დაიწყო ჩემი „სასკოლო კარიერა“.

რომ არ მოგატყუოთ, სკოლაზე ხშირად თეატრში ვიყავი ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრში გავიზარდე, ახლოსაც იყო სახლიდან. პირველად ჩემმა დებმა წამიყვანეს — დიელომ და ნაისიმ, მერე მეც ვისწავლე გზა. შესანიშნავი სპექტაკლები ჰქონდათ — „ფრის ბაუერი“, „კაცი შავი სათვალეებით“... მეცხრე კლასში ვიყავი, როდესაც ჩემში რეჟისორული ნიჭი აღმოვაჩინე და პირველი „სპექტაკლიც“ დავდგი — ერთი გოგო შემიყვარდა, ჩემი სკოლელი იყო. გავვარდი „კრივანოსასთან“, ჩემი ძმაკაცი იყო, თან ჩემზე უმცროსი, მაგრამ მთელი უბნის პირველი ყოჩი — მაგარი მოჩხუბარი. სცენარის მიხედვით, როდესაც მე ჩემს „გულის ვარდთან“ ერთად ბელინსკის ქუჩას ამოვუყვებოდი, „კრივანოსა“ ზევიდან უნდა წამოსულიყო და ჩავლისას ჩემთვის მხარი გაეკრა. მერე ალბათ ხვდებით — ცემით უნდა გამეხეთქა. მოკლედ, მივდივართ ქვემოდან, გამოჩნდა ზევიდან მომავალი „კრივანოსა“, გამიხარდა, მოვემზადე, მაგრამ... ის გოგო „კრივანოსას“ ბიძაშვილი აღმოჩნდა და „სპექტაკლიც“ შედგა, ოღონდ მე და „კრივანოსამ“ როლები გავცვალეთ.

შემდეგ ომი დაიწყო — მძიმე დრო იყო, გვიჭირდა. ომის პერიოდში მოვეწყვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხუთი კურსი დავხურე, მაგრამ დიპლომი აღარ ამიღია, არ მჭირდებოდა. ლექციებზე უფრო ხშირად სცენაზე რომ ვიყავი, ალბათ დამიჯერებთ... იქ „გაიფურჩქნა“ ჩემი, როგორც კონფერანსიესა და ესტრადის მსახიობის ნიჭი. პირველად ჩამოვაყალიბეთ სმეთი — სტუდენტთა მინიატურების ესტრადის თეატრი, რომელმაც მალე მოიპოვა პოპულარობა.

შემდეგ შეიქმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვარტეტი (ცაბაძე, მირიანაშვილი, კალანდაძე, კიტია). მე უცვლელი კონფერანსიე ვიყავი და ტრაბახით არ ვამბობ, — არანაკლებ პოპულარული, ვიდრე თვითონ მომღერლები. მერე კი იყო მთელი საქართველოსთვის უსაყვარლესი და მთელ საბჭოთა კავშირში პოპულარული „რერო“. სხვათა შორის, ეს სახელი მე დავარქვი. ჯანო ბაგრატიონი გენიალური კაცი იყო, მაგრამ „რეროს“ პოპულარობას მხოლოდ ის არ განაპირობებდა, მთელი კოლექტივი ბრწყინვალე იყო. სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლშიც ვიმუშავე. მათ შესახებ ორი ტომიც დავწერე, სადაც 20 ქართული ცეკვა მაქვს გაშიფრულ-გარჩეული და ვამტკიცებ, რომ მათ წარმართული ფესვები აქვთ.

სხვათა შორის, ამ წიგნთან დაკავშირებითაც მქონდა ერთი კურიოზი. ერთმა ყოფილმა მოცეკვავემ დამირეკა — თქვენს წიგნში ვარ ნახსენები, გვარად მჭედლური ვარ და თქვენ მჭედლიშვილი გიწერიათო, ვეკითხები — რომელ გვერდზე-მეთქი. — 728-ზეო. გამეცინა. შენ მაგაზე არ იდარდო, 728-ე გვერდამდე მაგ წიგნს არავინ წაიკითხავს-მეთქი.

ყველაზე პოპულარული ქართველი კონფერანსიე

პო, ისევ ახალგაზრდობას დავუბრუნდეთ — პოლიტექნიკური ინსტიტუტის შემდეგ უნივერსიტეტში შევიტანე საბუთები. ნიკო კეცხოველი იყო მაშინ რექტორი, რატომღაც თვალში არ მოვდიოდი. ერთხელ მეხუთე კურსზე გადასასვლელი გამოცდა ვერ ჩავაბარე. მივედი რექტორის მისაღებში, მამაჩემიც მივიყვანე — ვიფიქრე, მწერალი კაცია, პატივს სცემს ბატონი ნიკოც-მეთქი. კასრაძე მოვიდაო — მოახსენეს. შემოვიდესო და ჩემ მაგივრად მამაჩემი შევიდა.

— სად არის თქვენი შვილი? — შემიყვანეს და მამაჩემს დავუდექი გვერდით.

— გადაიყვანეთ, ბატონო ნიკო, ჩემი შვილი მესამე კურსზე, გამოსწორდება.

— ვერ გადავიყვან. ცეკატეკადან რომ დარეკონ, ამ კაცმა რომ მთხოვოს (თავთან დაკიდებული ეაუა-ფშაველას სურათისაკენ აიშვირა ხელი), ვერ გადავიყვან.

— გადაიყვანეთ, ბატონო ნიკო. პირობას გაძლევთ, რომ ფრიადებზე დახურავს მესამე კურსს.

— როგორ მიყვარხართ! მოდი, მოდი — კარგ ამბებს მოგიყვები!..

ამ დროს მე გამწარებული ვეჩურჩულები მამაჩემს: „რას ლაპარაკობ, მამა, მეოთხე კურსზე ვარ, მეხუთეზე მინდა გადასვლა“.

წეღან რომ მოგიყევი, „კრივანოსა“ რომ უნდა გამელახა, დაახლოებით ეგეთი სცენა უნივერსიტეტშიც დავდგი, მაგრამ ისევ ჩავფლავდი. წარმოიდგინეთ, უნივერსიტეტის ეზოში მოწყობილი კრივის რინგი (ასეთი რამე მაშინ არცთუ ისე იშვიათი იყო), რომელზეც ქართლოს კასრაძე უნდა ეჩხუბოს უნივერსიტეტის ჩემპიონს, ფანჯრიდან კი ამ ბრძოლას (რომელიც მე უნდა მომეგო — ერთი თვის სტიპენდია გადავუხადე) თვალი უნდა ადევნოს ჩემი ოცნების ქალიშვილმა.

ყველაფერი მზად არის — მსაჯიც, უამრავი მაყურებელიც და... უცებ გამოჩნდა ბატონი ნიკო კეცხოველი, ფოტოაპარატით(!) და ჩემი „მეტოქე“ რინგიდან გააძევა. როგორ მოახერხა არ ვიცი, მაგრამ ჩვენივე უნივერსიტეტის სტუდენტი, საკავშირო პირველობის პრიზიორი მოკრივე იპოვა უცბად, რომელიც უნივერსიტეტის ჩემპიონატებზე გამოსვლას არც კადრულობდა და რინგზე შემოაგდო... შედეგზე აღარაფერს გეტყვით, მხოლოდ ის მახსოვს, რომ მთლიანად სისხლში ვიყავი მოსვრილი და როდესაც ერთადერთხელ მოვახერხე ხელის მოქნევა, ბატონი ნიკოს შეძახილი გავიგონე: „შენ არა, შენ ნუ!..“ თან სურათებს იღებდა. მეტი არაფერი მახსოვს. მერე ალბათ მაინც შევეცოდე და მითხრა: — ობიექტივზე ხუფის მოხსნა დამვიწყებია და ვერც ერთი სურათი ვერ გადამიღიაო.

შვილიშვილებთან ერთად

ეხლა რას გეტყვი, იცი? ხომ ხედავ — დავბერდი და ამბებს დროში არეულად თუ მოგიყვებით, არა უშავს. „ნიანგში“ მუშაობის დრო მინდა გავიხსენო — ცხონებული ნოდარ დუმბაძე იყო რედაქტორი. ჩემი რუბრიკა მქონდა ჟურნალში და ვიყავით ტკბილად. ერთხელ ლექსი მივუტანე. წაიკითხა და მეუბნება:

— ქართლოსია, ვიცი, — გიჭირს, შვილები გყავს სარჩენი, ჰონორარს მოგცემ თუ გინდა, მარა აგი ლექსი არ ვარგა და ვერ დაგიბეჭდავ.

მეც გავჯიუტდი, გინდა თუ არა, დაბეჭდე-მეთქი (არადა, მართლა არ იყო ცუდი ლექსი).

— წადი, ცნობა მომიტანე, რომ ნორმალური ხარ და დაგიბეჭდავ — მომიშორა ნოდარმა.

წავედი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. შევედი ავლიპ ზურაბიშვილთან.

— ოოოო... ჩანტლაძეს გაუმარჯოს! — მომესალმა პროფესორი. მეც აღარ ვიუარე.

ცნობა მომცა, რომ ნორმალური ვარ — ქვას გახეთქავდა ისეთი. რედაქციაში გამოვიქეცი — ნოდარი პარტკომის კრებას ატარებდა. მაგიდაზე დავუდე ცნობა. დიდხანს კითხულობდა, ბოლოს ამომხედა და მითხრა: „წადი ახლა ის ცნობა მომიტანე, რომ ვინც ეს ცნობა მოგცა, ისიც ნორმალურია“.

საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქში ვარ ნამყოფი გასტროლებზე — ვლადივოსტოკიდან ტალინამდე და ტაშკენტიდან იაკუტიამდე. ევროპაც შემოვლილი მაქვს. ფინეთში ფინურად მიმყავდა კონცერტი, დანიაში — დანიურად, შვედეთში — შვედურად, ჰოლანდიაში — ჰოლანდიურად და ასე... ერთხელ ცხინვალში ოსურად დავიწყე და ხელები

„გიჟდებოდნენ ფრანგი ქალები ჩემზე“

ავტოშარჟი

გადაიტყავეს ტაშისკვრით ოსებმა.

ამ მოგზაურობის დროს შიგადაშიგ ლექსებსაც ვწერდი. სამარყანდში ყოფნისას, ლანგ-თემურის საფლავი ვინახულეთ და ასეთი სტრიქონები დავწერე:

„სამარყანდი, თემურ-ლენგი, სამარყანდი...
ლანგ-თემურო, ხომ მოვედი სამარხამდი
ამ ქვაზე რომ კოჭლი ფეხით აბიჯებდი,
ქართველები ჩამოვედით — რა ბიჭები!

სამარყანდი, თემურ-ლენგი, სამარყანდი,
ლანგ-თემურო, ხელმეორედ დაგმარხავდი!“

სხვათა შორის, ცოტა ხნით ალენ დელონი და მერე ლენინიც ვყოფილვარ — ოფიციალურად, პასპორტით. რუსეთში მივდიოდით გასტროლებზე. ახალი პასპორტი უნდა ამეღო. მივედი მილიციის საპასპორტო განყოფილებაში. სურათიც მივიტანე და გამიმზადეს ახალი პასპორტი. მივიტანე პასპორტი ბილეთების ასაღებად. გაგიჟდნენ ანსამბლის წევრები — რა სურათი ჩაგიკრავს, რას გავხარ, სირცხვილიაო... წავედი, მეორე სურათი გადავიღე, ახალი პასპორტი გავაკეთე — იმაზე სულ გაგიჟდნენ — ეს უარესიაო, „სალდათის უკანალს“ გავხაროო (რომელს ჰქონდა ნანახი, ან როგორი იყო სალდათის უკანალი — არ ვიცი). ისევ წავედი... მოკლედ, მესამე პასპორტიც რომ დამიწუნეს, მერეღა მივხვდი, რომ მაშაყირებდნენ. დედას გიტირებთ-მეთქი, ვიფიქრე და წავედი ისევ საპასპორტოში, მივიტანე ჟურნალიდან გადაღებული ალენ დელონის სურათი, პასპორტისტებთან ჩავაწყვე საქმე და გამოვაწერინე პასპორტი ჩემს სახელზე. რაღას იტყოდნენ, ვეღარ დამიწუნეს, მაგრამ „ფათერაკი“ მაინც შემემთხვა — ჩვენი მომავალი გასტროლების შესახებ წერილი დაიბეჭდა ერთ-ერთ გაზეთში. კორესპონდენტს ჯგუფის ხელმძღვანელისთვის გამოურთმევია რამდენიმე ჩვენგანის პასპორტი სურათების გადასაბეჭდად და მეორე დღეს გამოქვეყნდა ალენ დელონის სურათი წარწერით: „ანსამბლის კონფერანსიე — ქართლოს კასრაძე!“

იმ დღესვე ატყდა ჩემთან ტელეფონის რეკვა. დღეში ასი გოგო მიხსნიდა სიყვარულს. მამიდა მყავდა ერთი, ათი წლის უნახავი — მეორე დღეს მოვარდა: „გენაცვალოს მამიდა, როგორ გალამაზებულხარ!“

ორი დღე გაგრძელდა ჩემი პოპულარობა, მესამე დღეს გამწარებული საპასპორტოს უფროსი მომივარდა სახლში, პასპორტი გამიხვრიტა და წაიღო.

მე კი ისე მომეწონა პოპულარობა, რომ ჩემი არ მოვიშალე: უკვე გასტროლების დროც მოვიდა, პასპორტიც აღებული მქონდა და ბილეთიც. ავიღე ეს პასპორტი, ჩემი სურათი ამოვაძვრე და ლენინის ფოტო ჩავაწებე.

ჩავედი რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში. მოვეწყვეთ სასტუმროში და მაშინდელი წესისამებრ ადმინისტრატორთან დავტოვეთ პასპორტები. იმ საღამოსვე ნომერში შემოცვივდნენ „სათანადო ორგანოების“ თანამშრომლები, გამათრიეს და შემაგდეს დერეფნის ბოლოს — უფანჯრო ნომერში. დამკითხეს, ჩვენება ჩამომართვეს, „ციხეში დალპობით“ დამემუქრნენ. არადა, მეორე დღეს კონცერტია, ყველა ბილეთი გაყიდულია. ბოლოს და ბოლოს, თბილისში დარეკეს, მილიციის რაიონულ განყოფილებაში. უფროსი გვარად მამულოვი იყო, ძალიან კარგი კაცი. მე ძალიან ვუყვარდი: „ეგ პოლიტიკურებთან არ ჩასვათ, გიჟია და იმათაც გააგიჟებსო“ — მოკლედ, გადამარჩინა.

— ბატონო ქართლოს, როგორც ვიცი, ლექსებისა და მეცნიერული გამოკვლევების გარდა, სიმღერებსაც წერდით...

— რას ჰქვია „სიმღერებსაც“. სიმღერებს ვწერდი თუ ვწერდი. „ლურჯი აპრილი“ ჩემი დაწერილია და საერთოდ, „ცისფერ ტრიოს“ მე დავარქვი ეს სახელი, ოღონდ მაშინ ცისფერი ცისფერს ნიშნავდა და არა იმას, რასაც დღეს გულისხმობენ.

— დღევანდელი დღე ახსენეთ და ბარემ ისიც გვითხარით, დღევანდელი თბილისი თუ რამით ჰგავს მაშინდელს?

— ჰგავს — კინტოებით. ბევრი კინტოა ძალიან. ისე კი ის დრო, რასაკვირველია, მენატრება. გინდაც მუსიკა, სიმღერები ავიღოთ. ქართული სიმღერა ქართულს აღარ ჰგავს. სირცხვილია, ასეთი სიმდიდრე გვქონდეს და ყურადღებას არ ვაქცევდეთ. მე რომ უფლება და საშუალება მომცენ, ავარჩევდი სამ ტენორს, ქართულ სიმღერებს შევასწავლიდი და მსოფლიოს გადავრევდი...

ესენი კი რას მღერიან?! კარგით რა, მამაცხონებულებო, ყური არ გაქვთ? შენს ნამღერს ჩანაწერში მაინც არ უსმენ?

თბილისზეც რა გითხრათ, ცხადია, შეიცვალა — ნდობა აღარა აქვს ხალხს ერთმანეთის. ცოტა ხნის წინ ბაზარში ვიყავი, ცოლმა ქათმის ბარკლების ყიდვა დამავალა. აღარ დამრჩა ორ ლარზე მეტი. ყველამ მიცნო ბაზარში. გამყიდველებმა: „უი, ბატონო ქართლოს, როგორ გვიყვარხარ, რა კარგი ხართ“... მაგრამ ლარი არ დამიკლეს. მოგიტანთ ხვალემეთქი, არ მენდვნენ. რა არი, ქათმის ბარკლებია, ბოლოს და ბოლოს, იმისი ხო არ არის, რა ქვია... ჰო, პუგაჩოვასი...

— პუგაჩოვა რამ გაგახსენათ?

— იმიტომ, რომ პუგაჩოვა იღებს 32.000 დოლარს ერთ კონცერტში, ნანი ბრეგვაძე — 12 ლარს.

— თქვენ?

— მე — ბებიაჩემისას. არც მინდა, არასოდეს არ მქონია ფულის პრობლემა, უბრალოდ — არ მჭირდება, როგორც გინდათ, ისე გაიგეთ. ყოველთვის ასე ვიყავი, ახალგაზრდობაში — მით უმეტეს. ჩემი სიმდიდრე ჩემი ძმაკაცები იყვნენ და იმათთვისაც ასე იყო. ნიაზ დიასამიძე ამბობდა, — იმდენი ვალი მაქვს, „ვერტალიოტი“ უნდა ვიყიდო, თორემ თბილისში გავლის უკვე მრცხვენია, ყველასი ვალი მაქვსო. თუმცა არავინ სთხოვდა.

— ნიაზ დიასამიძე ახსენეთ და არ შემიძლია მასზე საუბრის გარეშე დავამთავროთ ინტერვიუ.

— რა გითხრათ, ყველა ინტერვიუში თუ სცენაზე გამოსვლისას ვსაუბრობ მასზე. ყველაფერი თითქოს ნათქვამი მაქვს...

„გემო“ იყო თბილისში — ცნობილი რესტორანი, ჯანო ბაგრატიონი ცხოვრობდა იმ ეზოში, ამიტომაც ხშირი სტუმრები ვიყავით იქ. ოფიციანტი ჰყავდათ ერთი, გერასიმე ერქვა. ვზივართ, ვქეიფობთ, უცებ ნიაზმა ხმამაღლა დაიძახა: „გერასიმე!“ — მოვიდა, „რატომ დამიძახეთ, — გერასიმეო?!“ — გვეკითხება, „გერასიმე გქვია, შე კაცო და მუმუს ხო არ დაგიძახებ?!“ — ნიაზმა უთხრა. ერთხელ სიცილით მეუბნება: „ხომ იცი, ამ ბოლო დროს „ზაპოი“ მაქვს, შინ რომ მივალ, დედაჩემი უკვე კარს იქიდან გრძნობს ღვინის სუნს და სახლში არ მიშვებს-ხოლმე. ჰოდა, გუშინ მაგრად მოვატყუე — ვარდის ლიქიორით დავთვერი და რომ მივედი გახარებულმა გამიღო კარი, — ეგონა ყვავილები მივუტანე“.

რაღაცნაირი ხუმრობა იცოდა — სხარტი, გონიერი. თანაც უცებ მოიფიქრებდა ხოლმე. ერთხელ აქ, ბელინსკის ქუჩაზე ჩავდივართ, ზამთარია — მოყინულია ქუჩა... დამიცურდა ფეხი და ჯერ კიდევ ჰაერში ვიყავი, სანამ დავეცემოდი, ნიაზმა მოასწრო, ჩაიკუზა და ამომძახა: „დაჯე, ვილაპარაკოთ!“

ასეთი იყო, ასეთები ვიყავით ყველანი და ძალიან მენატრება ისინი.

დღეს კი, თუ რამეზე ვბუზღუნებთ, ალბათ ჩვენი სიბერის ბრალია. ასევე ბუზღუნებდნენ ჩვენი მამები და იმათი მამებიც. ასე რომ, მომავლის იმედი მაინც მაქვს — საქართველო გაბრწყინდება.

ზვიად გურული

მსოფლიოს ენათა აკადემიურ ლექსიკონებში კოცნა თითქმის ერთნაირად არის ახსნილი, რომ ეს არის სიყვარულის, მოფერების, მისალმების გამოხატვა (ტუჩების შეხებით).

რას ნიშნავს კოცნა, ამბორი? ადამიანები ერთმანეთს ოდნავ გაღებული ტუჩებით ეკვრიან — ე.ი. თავიანთ სულს უხსნიან ერთმანეთს. კოცნა ამით განსხვავდება სინაზის გამომხატველი სხვა ფორმებისაგან. კოცნის დროს ადამიანი თავისი სულის პატარა ნაწილს ჩუქნის მეორეს...

კოცნა მრავალგზის მოიხსენიება ძველი აღთქმის წიგნებში, მაგრამ მოიხსენიება არა როგორც ყოფითი შტრიხი, არამედ როგორც მისტიკური ნიშანი.

ამბორი, კოცნა, როგორც საკრალური აქტი, ადამი და ევას დროიდან არსებობს. იუდაიზმში შემორჩენილია წმინდა საგნების მთხვევის ტრადიცია, იქიდან მოდის ქრისტიანული სახარების წმინდანთა ნაწილებისა და ხატების ამბორყოფის წესიც.

მართლმადიდებელ ეკლესიაში სასულიერო პირნი ერთმანეთს საკურთხეველთან ორივე მხარზე ემბორებიან. მრევლი ჯერ ჯვარს ემთხვევა, შემდეგ მოძღვრის ხელს. ამით ადასტურებენ ზეციური ნების პირველადობას. კათოლიკურ ქვეყნებში მორწმუნეები პასტორს ჯერ ხელზე ემთხვევიან, შემდეგ ბეჭედს და ბოლოს ჯვარს.

საერთოდ, ქრისტიანის ცხოვრება კოცნით იწყება და კოცნითვე მთავრდება: ნათლობისას პატარას საკურთხევლის ხატს მიაახლებენ, წესის აგების დროს მიცვალებულს „უკანასკნელ კოცნას" ჩუქნიან.

მთელი ჩვენი სიცოცხლე არის ამბორი ღვთისა. ღმერთმა სული თავისი ამბორყოფით შთაბერა თიხას.

ბიბლიაში არაფერია ნათქვამი ქრისტეს „კოცნის" თაობაზე, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი ემთხვეოდა დედაღვთისმშობელს შეხვედრისას, მოწაფეებს მისალმებისას ამბორყოფდა. ახალ აღთქმაში აღწერილია პირველი კოცნა მარიამისა და ელისაბედის შეხვედრის დროს, მათი მისალმების (კოცნის) მომენტში ელისაბედის მუცელში იძრა ბავშვი — მომავალი იოანე ნათლისმცემელი.

ბიბლიაში ყველაზე ცნობილი და ყველაზე გახმაურებული ფაქტია იუდას გამცემლური კოცნა... რას ვხედავთ — სიყვარულის ნიშანი ყველაზე საშინელი — მოღალატეობისა და ბოროტმოქმედების სიმბოლოდ გადაიქცა!..

(ძველი ჭეშმარიტებაა — მთავარია არა ის, რას ვაკეთებთ, არამედ როგორ ვაკეთებთ).

უძველესი აღმოსავლური ამბორი

„კამასუტრას" მესამე ნაწილი „ამბორთა კლასიფიკაციას" ეძღვნება. აქ მკაცრ თანმიმდევრობას ვერ დავიცავთ, რადგან კოცნიან ერთმანეთს ტრფობის ტყვეობაში მყოფნი. რამდენადაც „მძიმეა ტყვეობა", იმისდა მიხედვით იცვლება კოცნის ფორმა, ადგილი და ხანგრძლივობა. „კამასუტრას" თანახმად, ქალიშვილი ფლობს კოცნის სამ სახეობას: პირველი, როდესაც იგი მძინარეს კოცნის თავისი ნებით და მას „ლტოლვის გამაღვივებელი" კოცნა ჰქვია. მაგრამ თუ იგი საქმეში გართულ კაცს ჰკოცნის — მას „განრიდების" ამბორს უწოდებენ. კაცი თუ მძინარე ქალს კოცნის, ეს „გამაღვიძებელია"... (აღმოსავლელი ქალები თავს ხშირად მოიმძინარებდნენ ხოლმე, რათა მამაკაცის გრძნობა გამოეცადათ). საზოგადოებაში კი შეყვარებული ქალი (მორიდებული) ხელის თითს უკოცნის გვერდით მჯდომ საყვარელ ადამიანს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ სტადიაშია „სიყვარული", ქალი ფეხის თითსაც უკოცნის კაცს. რასაკვირველია, ამას საპასუხო რეაქცია მოჰყვებოდა; აღმოსავლელების დევიზის; „დარტყმაზე — საპასუხო დარტყმა", თანახმად „კოცნას — საპასუხო კოცნა" ესაჭიროება. „კამასუტრა" დაჟინებით მოითხოვს სარკეში საყვარელი ადამიანის გამოსახულების კოცნას... ძალზე კეთილშობილური საქციელია, იქნებ მოგესინჯათ?

სარიტუალო ამბორი

სარიტუალო ამბორის საკმაოდ ცნობილი ფორმაა — ფეხსაცმელზე კოცნა (იგი აღწერილია მარკ ტვენის „უფლისწულსა და მათხოვარში"). დღეს მაფიოზებში მიღებულია, პატივისცემის ნიშნად, ბეჭედზე მთხვევა.

თანამედროვე აღმოსავლელი თავის პატივისცემას მხარზე კოცნით გამოხატავს (ხალხში ცოლიც ქმარს მხოლოდ მხარზე აკოცებს). ზეპური ქალბატონები მისალმებისას ლოყებით ერთმანეთს რომ ეხებიან, ჯერ კიდევ მადამ დე პომპადურის ეპოქიდან შემორჩა.

ჯადოქრული ამბორი

ზღაპრული — ყველაზე სასწაულმოქმედი ამბორია. ყველას ახსოვს უფლისწულმა რომ აკოცა და გააღვიძა, „სული შთაბერა" მძინარე მზეთუნახავს. სასწაული მოახდინა გერდამ, კაის რომ აკოცა „ყინულის დედოფალში".

ველურთა კოცნა

